K 212 772
3

მ. ბულეიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქართველი ეკლესიის მსახურები რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში

„მეცნიერება“

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. ბულეიშვილი

# საქართველოს სამღვდელოება რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში

(XVIII ს. მეორე ნახევარი)

„მეცნიერება"
თბილისი
1991

63.3 (2Г)
ბ 962

გამოქვეყნებული დოკუმენტების, სპეციალური ლიტერატურისა და ახლად მოძიებული საარქივო საბუთების საფუძველზე, ნაშრომში გაშუქებულია ისტორია ორი ელჩობისა, რომელებიც გაიგზავნენ საქართველოდან რუსეთში XVIII ს. მეორე ნახევარში (1752—1754 წწ. და 1772—1774 წწ.). მიუხედავად წარუმატებლობისა, მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის შემდგომი განვითარების საქმეში. „სათხოვარი პუნქტები", რომლებითაც ელჩები 1772—1774 წწ. წარდგნენ საიმპერატორო ხელისუფლების წინაშე, საფუძვლად დაედო რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წელს გეორგიევსკში დადებულ ტრაქტატს.

К 212 770
3

რედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი შ. ლ ო მ ს ა ძ ე

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდიდატი ზ. დ ი დ ე ბ უ ლ ი ძ ე
ისტ. მეცნ. დოქტორი მ. ქ ა ნ თ ა რ ი ა

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ 0503020906 / М 607 (06)—91 192—90 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1991

ISBN 5—520—000772—1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# წინასიტყვაობა

ნაშრომი ეძღვნება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პრობლემას, რომელიც დიდი აქტუალობით გამოირჩევა.

აღნიშნული საკითხისადმი ინტერესი დიდია, რადგან საქმე ეხება ამ ურთიერთობათა ისეთ საკვანძო პერიოდს, როგორიც არის საქართველოს რუსეთთან შეერთების წინა ხანა.

დღევანდელ ვითარებაში, ისტორიული წარსულის ამა თუ იმ საკითხის კვლევისას, გვესაჭიროება ისტორიული სინამდვილის ზუსტი ასახვა, ფაქტების ყოველგვარი შელამაზებისა და დაფარვის გარეშე, რათა თანამედროვე საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდეს გააანალიზოს საკუთარი ქვეყნის ისტორიული წარსულის როგორც ნათელი ფურცლები, ასევე დაშვებული შეცდომები, რასაც არა მხოლოდ მეფის რუსეთის ბატონობის პერიოდში ჰქონდა ადგილი, არამედ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ხანაშიც.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ორი საკითხი: 1. აღმოსავლეთ საქართველოს და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა XVIII ს. მეორე ნახევარში, კერძოდ, რუსეთში წარგზავნილი ორი ელჩობის (1752—1754 წწ., 1772—1774 წწ.) ისტორია.

2. რადგან აღნიშნულ დიპლომატიურ მისიებს ხელმძღვანელობდნენ მღვდელმთავრები (თბილისის მიტროპოლიტი ათანასე ამილახვარი და კათალიკოსი ანტონი), ამდენად განხილულია გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ერთი ასპექტი, კერძოდ, ეკლესიის მსახურთა როლი აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქართველი მკვლევრები აღნიშნულ ელჩობებს თავიანთ ნაშრომებში საკმაოდ ფართოდ ეხებიან, მაგრამ ჩვენ მიერ ახლად მოძიებულმა სარქივო მასალამ საშუალება მოგვცა ზოგი სავარაუდო საკითხი (გამოწვეული სათანადო მასალის ნაკლებობით) დაგვედგინა სა-

ბოლოოდ და ადრე ცნობილი ფაქტები მრავალი ახალი დეტალით შეგვევსო. ნაშრომში ახალ მასალაზე დაყრდნობით, შეძლებისდა გვარად, დეტალურად და თანმიმდევრულად გავადევნეთ თვალი ელჩობათა მიმდინარეობას; შედარებით ნათლად წარმოვიდგინეთ იმდროინდელი აღმოსავლეთ საქართველოს საერთაშორისო ვითარება და წარმოვაჩინეთ აღნიშნული მისიების წარუმატებლობის ობიექტური მიზეზები.

მოძიებული ახალი საარქივო მასალა საშუალებას გვაძლევს უფრო სრულყოფილად შევაფასოთ იმ მღვდელმთავართა საქმიანობა, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ესოდენ საპატიო და პასუხსაგები მისია. ნაშრომში მხილებულია ზოგიერთი მათგანის (ათანასე ამილახვრის, სიმონ საგინაშვილის, ფილიმონ ხოფელის და რომანოზ არაგვის ერისთავის) არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება მათზე დავალებული საქვეყნო საქმისადმი, რაც გამოწვეული იყო დინასტიური ბრძოლებითა და შინაფეოდალური შუღლით.

ნაშრომი ეყრდნობა როგორც გამოქვეყნებულ, ასევე დღემდე უცნობ პირველწყაროებს (საარქივო საბუთების სახით), მატიანეებსა და სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას, რომელთა ავტორებიც აშუქებენ XVIII ს. მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკურ ვითარებას და გარკვეულ წილად, რამდენადაც ეს მათი ნაშრომების სპეციფიკას ესადაგება, ეხებიან განსახილველი ელჩობების ამა თუ იმ მხარეს.

მემატიანე პაპუნა ორბელიანი, ეხება რა 1752—1754 წწ. ელჩობის უშედეგობას, მისი წარუმატებლობის მიზეზად აცხადებს ელჩებს შორის ურთიერთობის გამწვავებას, აღმოცენებულს პირადი მტრობის ნიადაგზე.

აღნიშნული ფაქტის სხვაგვარად ახსნა მას არ შეეძლო, რადგან ელჩებს შორის არსებული შუღლი გამოწვეული იყო იმ პოზიციით, რომელიც რუსეთის მთავრობას ქართლ-კახეთის მეფეთა მიმართ იმხანად ეჭირა (47.218).

მეფე ერეკლე II-ის ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე საკმაოდ ვრცლად ეხება რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წწ. ომში საქართველოს მონაწილეობის საკითხს. მოგვითხრობს მეფე ერეკლესა და ტოტლებენის ურთიერთობაზე და კაპიტან ლვოვზე, რომელიც ენერგიულად მოღვაწეობდა რუსეთის იმპერიის სურვილების შესაბამისად. ჩვენ მიერ განხილულ ელჩობებს იგი არ ეხება (47. 264—265).

გენერალ ტოტლებენის ადიუტანტი, წარმოშობით ფრანგი დე გრაი დე ფუა, 1768—1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომთან დაკავშირებული მრავალი საინტერესო ფაქტის თვითმხილველია, რასაც სა-

ინტერესოდ გადმოგვცემს თავის „ცნობებში საქართველოს შესახებ“. 1772 წლის ელჩობას იგი გაკვრით ეხება და არასწორ ინფორმაციას გვაძლევს:

„ერეკლემ თავისი მეორე ვაჟი გაგზავნა პეტერბურგს საჩივრით იმის შესახებ, თუ როგორ მოექცნენ მას“ (იგულისხმება ტოტლებენი და ხუხოტინი). მისი შეცდომა ბუნებრივია, რადგან მან არ იცოდა იმის შესახებ, რაც ოფიციალური საბუთების შესწავლით გაირკვა [26. 52].

პ. ბუტკოვი თავის მასალებში ზერელედ განიხილავს ელჩობის მიზეზებსა და შედეგებს, ხოლო რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წწ. ომში ტოტლებენისა და ერეკლეს ერთობლივი ბრძოლის ფაქტების, **მათი უთანხმოების ნამდვილი** მიზეზების შესახებ საკმაოდ მიკერძოებულ და არასწორ ინფორმაციას იძლევა: „როდესაც ისინი მიუახლოვდნენ სოფელ ასპინძას,... მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა ზოგიერთი გაუგებრობის გამო, განსაკუთრებით კი იმ მიზეზებით, რომ ერეკლე ეძიებდა საშუალებებს, რათა არა საკუთარი ძალებით, არამედ რუსთა მეშვეობით დაეკმაყოფილებინა თავისი მისწრაფება ძალაუფლებისადმი და დაეპყრო ახალი მიწები რუსთა მეშვეობით, მაშინ როდესაც რუსეთის ჯარის დანიშნულებას წარმოადგენდა მხოლოდ ერეკლე მეფის მხარის გამაგრება.

ამ მიზეზის გამო გრაფმა ტოტლებენმა დატოვა სოფელი ასპინძა და გადავიდა იმერეთში, ხოლო მეფე ერეკლემ გადაწყვიტა უკან დაბრუნებულიყო“ [26. 242].

1772—1774 წწ. ელჩობის ირგვლივ არსებული საარქივო საბუთები, რომლებიც დაცულია მოსკოვში, რუსეთის საგარეო საქმეთა არქივში, ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულში ორ ტომად გამოაქვეყნა პროფ. ა. ცაგარელმა. პირველ ტომს მან ხათანადო კომენტარიც დაურთო, მაგრამ აღნიშნულ ელჩობას მხოლოდ ორიოდ სიტყვით შეეხო.

1752—1754 წწ. ელჩობასთან დაკავშირებული ხსენებული არქივის დოკუმენტები ვრცელი კომენტარით გამოაქვეყნა პროფ. ი. ციცაძემ 1952 წელს „საისტორიო მოამბის“ № 6-ში, სადაც უმთავრესად წარმოაჩინა ის მასალა, რომელიც არქივშია (110 ფონდი, საქმე 74) თავმოყრილი[1]. აღნიშნულმა მასალამ პროფ ი. ციცაძეს საშუალება მისცა თანმიმდევრულად შეესწავლა და გაეანალიზებინა ელჩობასთან დაკავშირებული ფაქტები და მოვლენები.

პროფ. ი. ჯავახიშვილი თავის წიგნში „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“ იძლევა რუსი და

---

1 ადრე ეს საქმე მოსკოვის ძველი აქტების არქივში ინახებოდა (მ. ბ.).

ქართველი ხალხის ისტორიული ურთიერთდამოკიდებულების ობიექტურ ანალიზს. იგი ფართოდ აშუქებს 1752—1754 წწ. და 1772—1774 წწ. ელჩობათა თანადროულ ისტორიულ სიტუაციებს. ამდენად, აღნიშნულ ნაშრომს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი მონაკვეთის შესწავლის საქმეში [55].

XVIII ს. მეორე ნახევრის ისტორიის შესწავლისას დიდად მნიშვნელოვანია აკად. ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევები: „საქართველო XVIII ს. მეორე ნახევარში“ და „საქართველოს შეერთება რუსეთთან“ [24]. ამ შრომებში ზოგადად განხილულია როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა და აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთება.

ამავე საკითხების შესწავლასთან დაკავშირებით, უდიდეს ინტერესს იწვევს პროფესორ მ. დუმბაძის ნაშრომი „დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში“, სადაც ავტორი განიხილავს იმ დროის სიტუაციებს, რომლებმაც შეამზადეს და განაახლეს ვახტანგის დროს რუსეთთან წამოწყებული აქტიური ურთიერთობა. [27].

1752—1754 წწ. ელჩობის შესწავლისას მეტად მნიშვნელოვანია პროფ. გ. პაიჭაძის გამოკვლევები. 1967 წელს ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ მან გამოაქვეყნა სტატია აღნიშნული ელჩობის შესახებ [85], სადაც მოგვცა ელჩობის ორგანიზების მიზეზებისა და მიზნების ახლებური ინტერპრეტაცია, ხოლო 1973 წ. გამოსულ კრებულში („ქართული სამეფო სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, წ. II) დაბეჭდილ გამოკვლევაში „ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან XVIII ს-ის 50—60-იან წლებში“ [86. 49—90] — თავისი შეხედულებანი ელჩობის მიზეზებისა და მიზნების შესახებ უფრო დასაბუთებული სახით.

პროფ. გ. პაიჭაძე ამავე საკითხის ირგვლივ მოკლედ მსჯელობს თავის მონოგრაფიულ ნაშრომში: „გეორგიევსკის ტრაქტატი“, რომელიც რუსულ ენაზე გამოვიდა 1983 წ. აქ იგი აჯამებს თავის მოსაზრებებს ზემოაღნიშნული საკითხის ირგვლივ და ასკვნის, რომ 1752—1754 წწ. ქართლ-კახეთის გაერთიანებული ელჩობის გამგზავრება რუსეთში ნაკარნახევი იყო რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის სურვილით. მეფეთა ძირითად მიზანს შეადგენდა, რუსეთის მთავრობას ოფიციალურად ეცნო თეიმურაზ II-ის მეფობა ქართლის სამეფო ტახტზე და ერეკლე II-ის უფლებები ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფო ტახტის მემკვიდრეობაზე, რაც თავის მხრივ ნიშნავდა რუსეთის მთავრობის მიერ უარის თქმას ვახტანგ VI-ის მემკვიდრეთა მფარველობაზე, მათი ქართლის ტახტზე აღდგენის საქმეში. ამ საკითხის მოგვარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლ-კახეთის მეფეებისათვის, რადგანაც ქართლის წარჩინებულთა წრეში დიდ

ოპოზიციას ხედავდნენ. ეს უკანასკნელნი მოითხოვდნენ ვახტანგის სამეფო სახლის მემკვიდრის გამეფებას ქართლში და რადგანაც ვახტანგ VI-ის მემკვიდრეები რუსეთში ცხოვრობდნენ და რუსების პოლიტიკური მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ, ამდენად მათი ქართლის სამეფო ტახტზე აღდგენაც არ იყო გამორიცხული. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ თეიმურაზისა და ერეკლეს მისწრაფებები ვიწრო დინასტიური, ეგოისტური ინტერესებითაც რომ ყოფილიყო ნაკარნახევი, თავისი არსით მაინც პროგრესული ხასიათისა იყო, რადგან რეალურად უწყობდა ხელს აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოების გაერთიანებას და ამით ეროვნული ინტერესების განხორციელებას ემსახურებოდა [66. 53—63].

პროფესორი ი. ცინცაძე საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს 1772—1774 წწ. ელჩობას თავის მონოგრაფიულ ნაშრომში „1783 წ. მფარველობითი ტრაქტატი", განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იგი ელჩობის მიერ რუსეთის საიმპერატორო კარზე წარდგენილ „სათხოვარ პუნქტებზე" და იძლევა ამ დოკუმენტის ამომწურავ ანალიზს.

ამავე ნაშრომში იგი ეხება 1768—74 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგებს, კერძოდ, ქუჩუკ-კაინარჯის ზავს და მასში 23-ე მუხლის სახით ასახულ საქართველოს საკითხს [53. 56—83].

შ. მესხია და ი. ცინცაძე 1958 წელს რუსელ ენაზე გამოცემულ წიგნში „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან" მოკლედ განიხილავენ 1772—1774 წწ. ელჩობის მიზნებსა და უშედეგო დასასრულს [63].

პროფ. შ. ლომსაძე თავის მონოგრაფიაში „სამცხე-ჯავახეთი", ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყურადღებას ამახვილებს 1772—1774 წწ. ელჩობაში ხერთვისის ციხისთავის იბრაჰიმ-აღას მონაწილეობის ფაქტზე. იგი აღნიშნავს, რომ იბრაჰიმ-აღა ადგილობრივი თავადების, ვაჩნაძეების, გვარეულობის წევრი იყო. ელჩებს იგი გააყოლეს იმ მოსაზრებით, რათა იმპერატრიცასთვის დაემტკიცებინა, რომ შემოსაერთებელი ჯავახეთი ისტორიულად ქართულ, ქართველი ხალხით დასახლებულ ტერიტორიას წარმოადგენდა [36. 84—89].

პროფესორი ვ. მაჭარაძე 1983 წელს საიუბილეოდ გამოქვეყნებულ წიგნში „გეორგიევსკის ტრაქტატი". 1772—1774 წწ. ელჩობასთან დაკავშირებით, შეეხო რუსეთ-თურქეთის ომში გამარჯვების შედეგად ყირიმში განთავისუფლებული ქართველი ტყვეების მიმართ რუსეთის სამეფო კარის გულისხმიერ დამოკიდებულებას, რასაც იგი საყურადღებო დოკუმენტური მასალით ასაბუთებს [38. 16—17].

პროფესორი ლევან ალექსიძე თავის ნაშრომში „საქართველო-რუსეთის საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობა XV—XVIII

საუკუნეებში“ განიხილავს ქართლ-კახეთისა და რუსეთის ურთიერთობას საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. 1752—1754 წწ. ელჩობასთან დაკავშირებით, იგი მხოლოდ ცნობილი ფაქტების კონსტატირებას ახდენს. უფრო დიდ ყურადღებას იგი უთმობს 1772—1774 წწ. ელჩობას, მისი აზრით, რადგან სიგელებსა და წერილებში რუსეთის სამეფო კარი, თურქეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში, საქართველოს ჰპირდებოდა „მფარველობას“, ამდენად ელჩების მიერ წარდგენილი „სათხოვარი პუნქტებით“, შესაძლოა, ერეკლე შეეცადა დაეკონკრეტებინა რუსეთის მთავრობის ეს დაპირებანი (1752 წ. ელჩობისგან განსხვავებით, რომელიც ეძიებდა ისტორიულ-იურიდიულ პრეცედენტებს, რომელთა საფუძველზეც ითხოვდა მფარველობას). ავტორი აღნიშნავს, რომ „სათხოვარ პუნქტებში“ პრაქტიკულად ლაპარაკი იყო დაქვემდებარებაზე, რომელიც ახლოს დგას ინკორპორციასთან. მაგრამ ერეკლე ნებით მიდის თავისი ფისკალური უფლებების შეზღუდვაზე, რუსეთის მონარქიის უზენაესობის ისეთ აღიარებაზე, რომელიც ქართლ-კახეთს უტოვებს მხოლოდ ერთგვარ შინაპოლიტიკურ ავტონომიას, უკარგავს მას სუვერენული სახელმწიფოს თვისებებს და გადაჰყავს იგი პრივილეგირებული პროვინციის ხარისხში. „მაგრამ — წერს ავტორი — ჩანს, დინასტიური და პოლიტიკური ამოცანები, რაც ერეკლეს წინაშე იდგა, მისი თვალსაზრისით ასეთ მსხვერპლად ღირდა“ [20. 156].

მ. რეხვიაშვილი თავის წიგნში „იმერეთი XVIII ს“. ეხება 1773 წ. 27 ივნისის ხელშეკრულებას მეფე ერეკლესა და სოლომონ I-ს შორის, მათ ერთობლივ განახლებულ მოქმედებას თურქების წინააღმდეგ და ქუჩუკ-კაინარჯის ზავის 23-ე მუხლს, რომელიც მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ეხებოდა. [44].

შეუძლებელია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ამსახველი ნებისმიერი საკითხის შესწავლა პროფ. ა. როგავას გამოკვლევების გათვალისწინების გარეშე. წიგნში „კაპიტალიზმის ჩანასახები საქართველოში და ირაკლი II-ის პოლიტიკა“ იგი განიხილავს აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების ამსახველ საკითხებს, კერძოდ, კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვას XVIII ს. მეორე ნახევარში. ამასთანავე ავტორი ეხება საქართველოს „აღდგენასა და გამოხსნასთან“ დაკავშირებულ პრობლემებს, კერძოდ, საქართველო-რუსეთის ურთიერთდამოკიდებულების საკი-

თხებს. იგი საფუძვლიანად ასაბუთებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ურთიერთობანი საქართველოს ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ცხოვრებაში ჩაისახა არა XIX საუკუნეში, რუსეთსა და საქართველოს შორის მჭიდრო ეკონომიკური კონტაქტების შედეგად, არამედ ბევრად უფრო ადრე, ჯერ კიდევ ქართული ფეოდალური საზოგადოების წიაღში, XVIII ს. მეორე ნახევარში. საქართველოს შეერთებამ რუსეთთან მხოლოდ ხელი შეუწყო ამ ჩანასახთა განვითარებას. (69. 214). ყოველივე ზემოთქმულის დასამტკიცებლად ავტორი აყენებს მრავალ მნიშვნელოვან წერილობით წყაროსა და ისტორიულ გამოკვლევას.

ჩვენ მიერ დასმულ პრობლემებს ეხმაურება პროფ. მ. სამსონაძის მიერ 1988 წ. გამოცემული წიგნი „საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში". წიგნში ავტორს გამოთქმული აქვს საინტერესო მოსაზრებები.

განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია ავტორის მიერ 1752—1754 წ. ელჩობასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ, შესაძლებელია, მეფეებმა თავიანთი „საიდუმლო განზრახვანი", მართლაც მხოლოდ ათანასეს ანდეს, და სიმონ მაყაშვილმა მათ შესახებ არაფერი იცოდა. ავტორი წერს: „მოსალოდნელია, რომ მეფეების მიერ ათანასე თბილელს დავალებული ჰქონდა, რუსეთის ხელისუფალთა წინაშე დაეყენებინა საკითხი ქართლ-კახეთის შეერთების ფაქტის ცნობისა და დამტკიცების შესახებ, მაგრამ ვახტანგის სახლიშვილთა მიმართ თავისი ერთგულებისა და თვით ამ სახლიშვილთა ჩაგონებისა და დაძალების შედეგად, მან ეს დავალება არ შეასრულა [46. 98—99].

მაგრამ ამ მოსაზრებას სათანადო დამადასტურებელი საბუთი ესაჭიროება, რომელიც ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

საინტერესოა ავტორის მტკიცება, რომ ძველ სიგელში, რომელიც ელჩებს რუსეთში მიჰქონდათ გასაცნობლად, მოხსენებული იყო ივერია, რაც აღმოსავლეთ საქართველოს ნიშნავდა და მისი განახლება კი მათი მოთხოვნების მიღწევის ტოლფასი იყო. (46.101).

საგულისხმოა პროფ. ა. იოსელიანის წერილი სათაურით: „თვისებრივად ახალი ეტაპი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში", დაბეჭდილი 1985 წ. „საისტორიო მოამბის" № 51—52-ში, რომელიც 1772—1774 წწ. ელჩობას ეხება.

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ 1772—1774 წწ. ელჩობას „განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნება უაღრესად წინდახედული ორგანიზებულობის, კომპეტენტურობის, სათხოვარი პუნქტების ნათლად გააზრება-გაანალიზებისა და სწორი ჩამოყალიბებების თვალსაზრისით. ერეკლეს ელჩობა ერთმორწმუნე რუსეთის მთავრო-

ბას სთავაზობდა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის პირობებს, რომლებიც ითვალისწინებდნენ ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის მტკიცე და შეურყვნელი მეგობრული „ერთი-ერთობის დამყარებას. ეს ნათლად ჩამოყალიბებული პირობებისა და „ურთიერთდამოკიდებულებათა“ განსაზღვრის საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო. (82. 330).

ორიოდე სიტყვით ეხებიან 1772—1774 წწ. ელჩობის მიზნებს საქართველოს ისტორიის ნარკვევების IV ტომის ავტორები.

საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით დიდ ინტერეს იწვევს მკვლევრების — ბ. ესაძის, ნ. ტარსაიძის, გ. მაისურაძის, მ. ქავთარიას, გ. მეტრეველის, თ. ბოცვაძის, ლ. ტუხაშვილის, ნ. კანდელაკისა და სხვათა ნაშრომები.

კვლევის შედეგად შესაძლებლობა მოგვეცა დაგვედგინა რიგი სიახლების აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

1. 1752—1754 წწ. ელჩობასთან დაკავშირებით, ახალი საარქივო საბუთების გაანალიზების საფუძველზე, ჩვენ დავადასტურეთ პროფ. ი. ცინცაძის ერთ-ერთი ვარაუდი, რომ ქართლის მეფეთა ელჩი ათანასე ამილახვარი საქართველოდან აღნიშნული მისიით გამომგზავრებისას არ აპირებდა რუსეთში დარჩენას, მაგრამ მოსკოვში მცხოვრები თავისი ნათესავების, ვახტანგ VI-ის შთამომავლების აქტიურმა ჩარევამ მის საელჩო საქმიანობაში, მათ მიერ გაბმულმა ინტრიგების ქსელმა მარწუხში მოაქცია ათანასე თბილელი, აიძულეს არ შეესრულებინა დავალებული საქმე და მოსკოვში დარჩენილიყო საცხოვრებლად. უფრო მეტიც, ახლად მოძიებული საბუთების თანახმად, იგი ჯაშუშობდა კიდეც საკუთარი ქვეყნის საზიანოდ.

2. ახალმა მასალამ გამოაშკარავა ფილიმონ ხოფელის ჭეშმარიტი საქმიანობა ელჩობასთან დაკავშირებით.

3. სიმონ საგანაშვილის ზერელე დამოკიდებულებამ დავალებული საქმისადმი და საეჭვო მოქმედებამ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, თბილისის სიონის სამღვდელო კრებულში არევ-დარევა და შფოთი შეიტანა.

4. ახლადმოძიებული საბუთები ასახავენ პორუჩიკ ახვერდოვს, ანა გიორგის ასულსა და ათანასე თბილელს შორის ატეხილ დავას, ახალი დეტალებით ავსებენ ზემოხსენებული ელჩობის მიმდინარეობას.

5. ჩვენს ნაშრომში, გამოქვეყნებულ და ახლადმოძიებულ გამოუქვეყნებელ მასალაზე დაყრდნობით, ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად, შესწავლილია 1772—1774 წწ. ელჩობა, მისი წარგზავნის მიზეზები, მიმდინარეობა და შედეგები.

ახალმა საარქივო მასალამ მთელი რიგი დეტალებით შეავსო და გაამდიდრა ელჩობის მიმდინარეობა (ანტონ ბაგრატიონის წერილები მიმართული იმპერატრიცასა და ტახტის მემკვიდრისადმი; დარია დედოფლის თხოვნა სამეგრელოს მფარველობაში მიღების შესახებ; ლეონ ბატონიშვილის თხოვნის წერილი ყირიმელი ტყვეების განთავისუფლების შესახებ; საბუთი პავლე ანდრონიკაშვილთან დაკავშირებით).

6. ისტორიულ წყაროებსა და საარქივო მასალაზე დაყრდნობით, შევეცადეთ შესაძლებელი სისრულით წარმოგვედგინა და გაგვანალიზებინა 1772—1774 წწ. ელჩობის მეორე ხელმძღვანელის, შესანიშნავი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის, ლეონ ბატონიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დღემდე უცნობი ფაქტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავი I. 1752—1754 წლებში ქართლ-კახეთის ერთობლივი ელჩობა რუსეთში ათანასე ამილახვრის ხელმძღვანელობით

## § 1. რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის საწყისები

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია უძველესი დროიდან იღებს სათავეს. რუსული წერილობითი წყაროები მოგვითხრობენ, რომ თავდაპირველად ეს ურთიერთობა გამოიხატა ქორწინებრივი კავშირებით ორივე ხალხის სამეფო ოჯახის წევრებს შორის. ასე მაგალითად, დიდი მთავრის ვლადიმერ მონომახის შვილიშვილს იზიასლავ მსტისლავის ძეს ცოლად შეურთავს ობეზების (ე. ი. ქართველების — მ. ბ.) მეფის დიმიტრი I-ის ასული. ეს მოხდა 1154 წელს. კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე მიგვითითებს თამარ მეფის ქორწინება ვლადიმირის დიდი მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟზე — იურიზე.

მონღოლების შემოსევამ დროებით ხელი შეუშალა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

ქართულ სამეფოებს შორის პირველი, რომელმაც კავშირ-ურთიერთობა დაამყარა ცენტრალიზებულ რუსულ სახელმწიფოსთან, კახეთის სამეფო იყო. 1491 წ. კახეთის მეფემ ალექსანდრე გიორგის ძემ (1476—1511 წწ.) ელჩები გაამგზავრა მოსკოვის დიდ მთავართან ივანე III-თან და წერილი გაატანა.

მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის XVI საუკუნიდან მყარდება. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოსაგვარებლად არაერთხელ იგზავნებოდნენ დიპლომატებად სასულიერო პირები. ერთმორწმუნე ქვეყნებს შორის კავშირ-ურთიერთობის მოგვარებას სახელმწიფო მესვეურები მათ ავალებდნენ ხშირად. აღსანიშნავია, რომ იმდროინდელი სამღვდელოება სახელმწიფოში მოსახლეობის ყველაზე განათლებულ ფენას წარმოადგენდა.

კახეთის მეფემ ლევან გიორგის ძემ მფარველობისა და დახმარების სათხოვნელად მეფე ივანე IV-ის კარზე საგანგებო ელჩი გაგ-

ზავნა. რუსეთის სამეფო კარმა ქართველი ელჩი კარგად მიიღო. ლეკების მარბიელი რაზმების წინააღმდეგ კახეთის დასახმარებლად დამხმარე რაზმი გაიგზავნა. რუსმა მეომრებმა დაიკავეს კახეთის ციხეები და შვიდი წლის მანძილზე (1565—1572 წწ.) იცავდნენ კახელებს ლეკთა შემოსევებისაგან (63. 38).

ამ ხანებში რუსეთსა და კახეთს შორის სავაჭრო ურთიერთობა ინტენსიურად ვითარდებოდა.

1586 წ. კახეთის მეფემ ალექსანდრე II-მ მოსკოვში ელჩები მიავლინა. ქართველმა ელჩებმა „საელჩო პრიკაზის“ წევრებს გააცნეს ქართველი მეფის წინადადებანი. კახეთი რუსეთს სთხოვდა დაეცვა და მფარველობა გაეწია მისთვის მტრებთან, უმთავრესად ლეკებთან, ბრძოლაში. ელჩები ითხოვდნენ, რომ რუსეთს თერგზე აეგო დიდი ციხე და შიგ კარგად შეირაღებული რუსული გარნიზონი ჩაეყენებინა. ეს გეგმა რუსეთისათვის ხელსაყრელი აღმოჩნდა.

საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური მისიით სასულიერო და საერო პირების მიმოსვლა XVII საუკუნიდან კიდევ უფრო ინტენსიური გახდა და საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე არ შენელებულა.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კიდევ უფრო გაფართოვდა, თუ ადრე მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობა მხოლოდ კახეთს ჰქონდა, ამიერიდან საქართველოს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული დაუკავშირდა მას. ეს კავშირი, ცხადია, მეტ-ნაკლები სიახლოვით და სიმტკიცით ხასიათდებოდა. ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა რუსეთის გავლენის განუხრელი ზრდა ამიერკავკასიაში.

XVII საუკუნის დასაწყისიდან კახეთის გარდა რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს იმერეთი, სამეგრელო და გურია. ისინი მეტწილად ურთიერთშეუთანხმებლად მოქმედებენ. რუსეთში სტუმრად თვით მეფეებიც მიდიოდნენ, ანდა თავიანთი სათხოვარით ელჩებს გზავნიდნენ.

რუსეთთან აქტიურ დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს თეიმურაზ I, XVII ს. 20-იან წლებში. 1618 წ. 17 ოქტომბერს მან რუსეთში მიავლინა იღუმენი ხარიტონი, 1624 წ. 14 მარტს — არქიეპისკოპოსი თეოდოსი, არქიმანდრიტი არსენი და არქიდიაკვანი კირილე, ხოლო 1635 წ. 20 დეკემბერს — მიტროპოლიტი ნიკიფორე, რომლის ელჩობის პასუხად რუსეთიდან გამოგზავნეს ვოლკონსკი, ხვატოვი და არქიმანდრიტი იოსები, რომელთაც თეიმურაზ I-ისაგან „ფიცის წიგნი“ მიიღეს. XVII ს-ში დიპლომატიური მისიით რუსეთიდან საქართველოში ჩამოვიდნენ თავადი მიშეცკი და დიაკი კლიუ-

ჩეროვი. XVIII ს. 30-იან წლებში დასავლეთ საქართველოდან რუსეთში ელჩად მიავლინეს ეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი.

ამ ელჩობებმა დიდი წვლილი შეიტანეს რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის განმტკიცებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## § 2. საქართველოს პოლიტიკური ვითარება 1752—1754 წლების წინა ხანებში

ქართლში თეიმურაზ II-ის გამეფების შემდეგ (1745 წ.) ქვეყანამ ნელ-ნელა დამშვიდება იწყო. ფეოდალებმა ადრინდელი გავლენა დაკარგეს, მეფეებთან ბრძოლაში დასუსტდნენ და ძველებურად ვეღარ ებრძოდნენ ეროვნული დროშის ქვეშ მებრძოლ ქრისტიან მეფეს. თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ რუსეთში საგანგებო ელჩობა გაგზავნეს ათანასე თბილელისა (ამილახვრის) და თავად სიმონ მაყაშვილის ხელმძღვანელობით.

სანამ უშუალოდ აღნიშნულ ელჩობას შევეხებოდეთ, მოკლედ მიმოვიხილავთ საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას, რამაც განაპირობა აღნიშნული ელჩობის ორგანიზება.

XVIII ს. მეორე ნახევარი საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში ქართველი ხალხის მთელი რიგი წარმატებებით აღინიშნა. ქართლ-კახეთის შეერთებული ძალები ლეკებს ამარცხებენ და ამ უკანასკნელთა თარეში დროებით სუსტდება. მაგრამ მიუხედავად შედარებითი ძლიერებისა, ქართლ-კახეთი იმ ხანად სპარსეთის ვასალად ითვლება.

ნადირ-შაჰის მიერ გაერთიანებული სპარსეთი შინაბრძოლებში იყო ჩართული. შინაურმა შფოთმა იჩინა თავი მისი მმართველობის უკანასკნელ ხანებში, რასაც თვით შაჰის მკაცრი პოლიტიკაც უწყობდა ხელს. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი დევნის მანიით იყო შეპყრობილი. ამიტომ მისი ბრძანებით აუარებელი ადამიანი ისჯებოდა სიკვდილით. შაჰის მოქმედება მღელვარებას ზრდიდა. ცალკეულ ხანაში ქიშპობა იმდენად გაძლიერდა, რომ 1747 წელს კიდეც იმსხვერპლა იგი.

ქართლ-კახეთმა ისარგებლა შექმნილი ვითარებით და სპარსეთის დამოკიდებულებისაგან ფაქტიურად განთავისუფლდა. თბილისისა და სხვა ციხეებიდან სპარსთა ჯარები უბრძოლველად განდევნეს. სპარსეთს უკვე აღარ შეეძლო ქართლ-კახეთის გაძლიერებისათვის ხელი შეეშალა. როდესაც თეიმურაზმა და ერეკლემ ყაზახი შემოიერთეს, ხოლო შემდეგ ერევნისა და განჯის ხანები დაიმორჩილეს და ხარკი დააედეს, სპარსეთი იძულებული გახდა ამაზე გულისტკივილით დათანხმებულიყო. უფრო მეტი — ერეკლე და თეიმურაზი ამიერიდან თვით სპარსეთის საქმეებშიც აქტიურად ერეოდნენ, ვინაიდან იქ მე-

ბრძოლი ხანები საქართველოს მომიჯნავე ადგილებს ემუქრებოდნენ. ხანები, რომლებიც ერთმანეთს ცვლიდნენ სპარსეთის სამეფო ტახტზე, ხშირად ლეკებსაც ხელს უწყობდნენ ჩვენი ქვეყნის ძარცვა-გლეჯაში. ხელახლა აღდგნენ სპარსელთა წინააღმდეგ და თითქმის მთელი სპარსეთი ხელში ჩაიგდეს ავღანელებმა. როდესაც მათმა წინამძღოლმა აზატ-ხანმა თავრიზი აიღო, ამ ქალაქის თავმა შველა ქართველებს სთხოვა. ერეკლეს დახმარებისათვის მიმართეს ერევნის, განჯის, ყარაბაღისა და შირვანის ხანებმაც. თეიმურაზმა და ერეკლემ ჯერ თავრიზზე გალაშქრება გადაწყვიტეს, შემდეგ კი ისპაჰანზე, ბრძოლა ერევანთან მოხდა 1754 წელს. ქართველმა ჯარმა სძლია აზატ-ხანის დიდძალ ლაშქარს. ამ გამარჯვების შედეგად ქართველთა ძლიერება ყველასათვის ნათელი გახდა. აზატ-ხანის დამარცხების შემდეგ საქართველოს სპარსეთის მხრიდან შიში აღარ ჰქონდა. ერეკლემ თავის მოხარკედ გადააქცია მოსაზღვრე განჯის, ერევნისა და ნახჯევანის სახანოები. ირანში შექმნილ ვითარებას ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს მისი უახლესი მეზობლები —-რუსეთი და თურქეთი. ირანის ამბებს ფართოდ ეხმაურებოდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებიც. მაგალითად, 1752 წ. 3 სექტემბერს „სანკტპეტერბურგის უწყებანი“ წერდა: „კონსტინეპოლიდან 2 თებერვალს, სპარსეთიდან მიღებული წერილების მიხედვით იტყობინებიან, რომ ამჟამად იქ არსებობს თექვსმეტზე მეტი სახანო, რომელთა მმართველები სამეფოს უზომოდ აოხრებენ. თითქმის ყველა პროვინციას საკუთარი შაჰი ჰყავს. ქართველმა პრინცმა ერეკლემ, ხსენებული შფოთიანობა თავის სასარგებლოდ გამოიყენა, ისე, რომ ჯარით თითქმის მთლიანად შემოარტყა ალყა ისპაჰანს და დიდი იმედიც აქვს, რომ სპარსეთის ტახტს დაეუფლება“ [88. 108]. მაგრამ საფუძველი არ არსებობდა იმის საფიქრებლად, რომ სინამდვილეში ერეკლეს ირანზე ბატონობის გავრცელება მიზნად ჰქონოდა.

დასავლეთ ევროპაში ერეკლეს წარმატებები მეტად გაზვიადებულად ჰქონდათ წარმოდგენილი. სპარსეთის დაპყრობა მეტად დიდი ტვირთი იყო საქართველოსთვის, რაც მის ძალ-ღონეს აღემატებოდა.

რუსეთის დიპლომატიური წრეები მწვავედ განიცდიდნენ ერეკლეს წარმატებების ირგვლივ პრესაში დაბეჭდილ ცნობებს. ეს ქართველთა მიმართ შურით კი არ იყო ნაკარნახევი, არამედ იმის შიშით, რომ თურქეთი არ გამოსულიყო წონასწორობიდან და ირანის საქმეებში არ ჩარეულიყო, რადგან ასეთ შემთხვევაში რუსეთი ვეღარ დარჩებოდა ნეიტრალური.

საქმის ვითარების უკეთ გარკვევის მიზნით ირანსა და საქართველოში, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საგანგებო ინფორმატორები მოავლინა. მათი ინფორმაციების საფუძველზე, „სანკტ-პე-

ტერბურგის უწყებანი“ 1752 წ 1 მაისს იტყობინებოდა: „ნაწყვეტები სმირნიდან. 16 მარტს ცნობილი ქართველი პრინცის ერეკლეს სამხედრო მოქმედება სპარსეთში არც ისე მნიშვნელოვანია, როგორც ამის შესახებ ევროპაშია ხმა გავარდნილი... იგი მიუახლოვდა თავისი მეზობლების საზღვრებს, თუმცა სპარსეთის შიდა პროვინციებისაგან ჯერ კიდევ შორს იმყოფება. მას დიდი დრო დასჭირდება, სანამ ისპაჰანს მიაღწევდეს. საბაბის გარეშეც ვერ გაბედავს იგი იქით წასვლას. ისიც საეჭვოა რომ 20 თუ 10000 კაცით, რომელიც მთელ მის არმიას შეადგენს, შეძლებს ყველა დაბრკოლების გადალახვას, რომლებიც მას გზაზე შეიძლება გადაეღობოს... სპარსელები კი მრავალრიცხოვნების წყალობით მალე დაამარცხებენ მას... ჩვენი გაწაფული პოლიტიკოსები ასე ფიქრობენ: პორტა, ამბობენ ისინი, საიდუმლოდ უჭერს მხარს მას (ერეკლეს) სპარსელების დასასუსტებლად“. [88. 108—109].

თურქეთმა, რომელიც ადრე ერთმორწმუნე ავღანელებისათვის დახმარების გაწევას აპირებდა, თავისი პოლიტიკა შეცვალა, რადგან დაინახა, რომ ქართველთა გამარჯვებები ირანში არც იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ საფრთხე შეექმნა თურქეთის საზღვრებისათვის.

აზატ-ხანის გამეფებას კი შესაძლოა მთელი ირანის გაერთიანება მოჰყოლოდა, რაც თურქეთს აღარ აწყობდა, რადგან იქ კარგად ახსოვდათ ის დიდი უსიამოვნებანი, რაც თურქეთს ნადირ-შაჰის მიერ გაერთიანებულმა სპარსეთმა მიაყენა. ამდენად ერეკლეს მიერ აზატ-ხანის დამარცხება თურქეთისათვის დადებით მოვლენას წარმოადგენდა.

მაგრამ არც თურქეთი იყო ნეიტრალური საქართველოს მიმართ. მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან იგი ლეკებისა და აზერბაიჯანელი ხანების შემოსევების სულისჩამდგმელია.

რუსეთი ყოველნაირად ცდილობდა თურქეთთან ყოველგვარი უთანხმოების თავიდან აცილებას, რადგან მთელი მისი ყურადღება პრუსიის იმპერატორის აგრესიული პოლიტიკისკენ იყო მიპყრობილი, რომელიც დაქსაჭსული გერმანული მიწების პრუსიის ირგვლივ გასაერთიანებლად იბრძოდა. პრუსიას მიზნის მიღწევაში ინგლისი ემსახურებოდა, რომელიც ფინანსურ დახმარებას უწევდა მას. მოწინააღმდეგეებად გამოდიოდნენ ავსტრია, საფრანგეთი და რუსეთი. ეს იყო „შვიდწლიანი ომის“ წინა ხანები.

ასეთი იყო საერთაშორისო ვითარება, როდესაც თეიმურაზ II-ის ინიციატივით 17 კაცისაგან შემდგარი ელჩობა რუსეთში გაემგზავრა. ელჩობის ხელმძღვანელებად დაინიშნა თბილისის მიტროპოლიტი ათანასე ამილახვარი და კახელი თავადი სიმონ მაყაშვილი. აღნიშნული ელჩობის გამგზავრება იმ კონკრეტულ მომენტში გადაწყდა, რო-

დესაც ავღანელი აზატ-ხანი თავისი დიდებული ლაშქრით საქართველოს მოხარკე ერევნის სახანოს მიადგა. ბრძოლის მომენტში ერევნის ხანმა უღალატა მეფეებს და მტრის მხარეზე გადავიდა. ქართველები სასტიკად დამარცხდნენ. ცოტა ხნით ადრე საქართველომ მარცხი განიცადა შაქის მმართველ აჯი ჩელებისთან ბრძოლაში. ქვეყნის შიგნით კი პაპუნა ორბელიანის თქმით: „ალაგი არ იყო, რომ ლეკი არ იდგა“. (47. 224).

განჯასთან დამარცხებამ — წერს მკვლევარი ჭეიშვილი — ძალზე შეასუსტა თეიმურაზისა და ერეკლეს პოზიციები ამიერკავკასიაში. საქართველოს ხელდებული სახანოები ჰაჯი ჩელების ბანაკში გადავიდა, აზატ-ხანმა კვლავ განაახლა ბრძოლა ამიერკავკასიის დასაპყრობად. ერევნის ხანმა მას მორჩილება გამოუცხადა.

თეიმურაზმა და ერეკლემ შერყეული პოზიციების აღდგენის მიზნით დახმარებისათვის რუსეთს მიმართეს. (54. 8).

აღნიშნულ ისტორიულ მომენტთან დაკავშირებით მკვლევარი ბერძენიძე საწინააღმდეგო, მაგრამ უფრო მართებულ მოსაზრებას გამოთქვამს. იგი წერს: მიუხედავად იმისა, რომ 1752 წ. ელჩობა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის საკმაოდ რთულ მომენტში გაიგზავნა, მაინც აღმოსავლეთ საქართველოს ჰეგემონობა ამიერკავკასიაში იმხანად ცხადი იყო. მართალია, ათანასე თბილელი და სიმონ მაყაშვილი ქართველების განჯასთან დამარცხების შემდეგ გაიგზავნენ, მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ ელჩობით აპირებდნენ მეფეები თავიანთი მარცხის გამოსწორებას. საქართველოს წარგზავნილები ჯერ ისევ გზაში იყვნენ, რომ ერეკლემ გაანადგურა ჰაჯი ჩელების ლაშქარი. მის ძალას ირანის ტახტის პრეტენდენტი აზატ-ხანიც გრძნობდა და დიდ ანგარიშს უწევდა. სწორედ ასეთ სიტუაციაში, საკუთარი ძალის შეგრძნების პირობებში, სჭირდებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს მხარდაჭერა, რომ ქართველ პოლიტიკოსებს მათ წინაშე დასახული ისტორიული ამოცანა საქართველოს გამოხსნა-აღდგომისა საბოლოოდ გადაეჭრათ (40. 254—255).

1752 წლის ელჩობა ქართლ-კახეთის მეფეთა პირველი ერთობლივი ნაბიჯი იყო დიპლომატიურ სარბიელზე. თავად სიმონ მაყაშვილს ორი მხლებელი ახლდა, სხვები ათანასე მიტროპოლიტის თანმხლებ სამღვდელო კრებულს შეადგენდნენ. ელჩებს ქართლ-კახეთის მეფისაგან რუსეთის საიმპერატორო კარზე უნდა წარედგინათ ოფიციალური თხოვნა საქართველოსათვის მფარველობის გაწევის შესახებ, რათა დაეცვათ იგი ირგვლივ მცხოვრები მაჰმადიანების რბევა-აწიოკებისაგან. ამასთან ერთად, ელჩებს რუსეთის სამეფო კარზე მიჰქონდათ რუსეთის იმპერატორისადმი მათი წინაპრებისათვის

K 21 772
ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრე ბოძებული, ქვეშევრდომობის ამსახველი სიგელები ხელახალი დადასტურებისათვის.

ელჩებს დაევალათ საიმპერატორო კარზე გადაეცათ საიდუმლო ზეპირი დანაბარებიც, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის ჯარის დახმარებით შინაბრძოლებში ჩაბმული, დასუსტებული სპარსეთის იმ ქალაქების ხელში ჩაგდების შესაძლებლობას, რომელნიც საქართველოს საზღვართან ახლოს მდებარეობდნენ. საქართველოს მესვეურები იმედოვნებდნენ, რომ რუსთა ჯარის შემოსვლით ირგვლივ მცხოვრები მაჰმადიანები მუდმივ შიშში იქნებოდნენ.

## § 3. ათანასე ამილახვრის ცხოვრება და მოღვაწეობა

ელჩების ბიოგრაფიების შესახებ ძალზე ძუნწი ცნობები მოგვეპოვება. ცნობილია, რომ განსწავლული კახელი თავადიშვილი სიმონ მაყაშვილი ტახტის მემკვიდრის გიორგი ერეკლეს ძის ერთ-ერთი აღმზრდელი იყო. [45, 720].

სიმონ მაყაშვილის შესახებ მოგვითხრობს 1776 წლით დათარიღებული ერთ-ერთი ისტორიული საბუთი. იგი მთლიანად მოგვყავს: „1776 წ. მეფე ერეკლე წერს სიმონს, რომ მისი მამა გურგენი, თან ახლდა მეფის ბაბუას მეფე ერეკლეს ისპაჰანში. მგზავრობისას მას მეფის ცხენი მიჰყავდა და დიდი გადაღლის შემდეგ გზაზე გარდაიცვალა. ამის აღსანიშნავად მეფემ მაყაშვილს (სიმონს — მ. ბ.) უბოძა ხევისთაობა და ბრძანა, რომ მან თავისი მოვალეობა ისე შეასრულოს, როგორც განსაზღვრულია დასტურლამაში, კერძოდ მას ეკისრება გადასახადის შეგროვება და მოხელეებისათვის დადგენილი შემოსულის ნაწილის დარიგება“. [67, 24] რაც შეეხება ათანასე ამილახვარს, იგი ქართლის ერთ-ერთი გავლენიანი გვარეულობის — ამილახვართა — წარმომადგენელი იყო. ათანასე დაბადების წელი უცნობია. ცნობილია მხოლოდ, რომ იგი ვახტანგ VI-ს რუსეთში ახლდა. ასტრახანში არქიმანდრიტის წოდებაში მყოფ ათანასე ამილახვარს 1740 წელს დომენტი კათალიკოსმა რუისის (მროველი) ეპისკოპოსის წოდება მიანიჭა, ამის შესახებ თვითონ ათანასე ერთ-ერთ საბუთში წერს: „ესე წიგნი და პირი მოგართვით ჩვენ მროველ მიტროპალიტმან ამილახორის ძემან ათანასემან... (მცხეთას) და მასზედა მჯდომარესა წმიდას და ყოვლად სანატრელსა უფალსა და მეუფესა ჩვენსა... კათალიკოზსა პატრიარქსა ბატონიშვილს უფალს დომენტისა. ასე რომ ჩვენად უღირსად წყალობა მოიღეთ და ძველთაგან რუის ღვთაების საყდარსა მიტროპოლიტი არ კურთხეულიყო, საეპისკოპოსო იყო და მოვედით და მიტროპოლიტობის კურთხევას დაგეაჯენით. თქვენი მადლი და წყალობა მოვიდა ჩვენზედა მიტროპოლიტობის კურთხევა მიიღევით“. [43. 200—201].

ცნობილი არ არის როდის იკურთხა ათანასე ამილახვარი თბილელ მიტროპოლიტად. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ იგი კახელი ბაგრატიონების მოწინააღმდეგე, ქართლის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თავადიშვილების — ამილახვართა გვარეულობის წარმომადგენელი იყო, წყაროების მიხედვით, მისი მოღვაწეობა საქართველოში ცხოვრების პერიოდში ქართლ-კახეთის ბაგრატიონების, თავდაპირველად თამარის, ხოლო შემდეგში თეიმურაზ-ერეკლეს სასარგებლოდ იყო მიმართული. ასე მაგალითად, ალექსანდრე ამილახვარი თავის „გეორგიანულ ისტორიაში“ აღნიშნავს, რომ ამბოხების შედეგად განრისხებულმა ნადირ-შაჰმა დასასჯელად გივი ამილახვარი სპარსეთში გამოიძახა: „ასმა კაცმა მისი ამალიდან ამ ამბის გაგებისთანავე იარაღი შეისხა და თავი შეაფარა ადგილობრივ ეკლესიას, რათა მტერს ცოცხალი არ დანებებოდა. დედოფალმა (თამარმა) მათ ათანასე მთავარეპისკოპოსი მიუგზავნა მოციქულად, შეუთვალა თქვენ არას გერჩით, თქვენი ბატონის ძმას დაუბრუნდით ახლა მას ეკუთვნითო. მართლაც მამაჩემთან (დიმიტრი ამილახვართან) მოვიდნენ, მან ისინი თავიანთ ადგილზე დააბრუნა“. [57. 40—41].

ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს ათანასეს კიდევ ერთი სამშვიდობო მისიის შესახებ თეიმურაზ II-ის სპარსეთში ყოფნის პერიოდში: „მეფე ერეკლემ გამოუგზავნა (აჯანყებულ) ბატონიშვილ აბდულა-ბეგს თბილელი ეპისკოპოსი ათანასე, დაელაპარაკა და აღუთქვა საბატონიშვილო მამული თავის სარჩოდ, დააწყნარა და დაჰპატიჟა და ნახვაც მოინდომა; ეს არ ინება და რადგან მეფობა ეთქვა, აღარ შეიკვდიმა აბდულ-ბეგ, შეუთვალა, ქართლი ჩემიაო, და კახეთი შენნიო, შენ იმას დასჯერდი, მე ქართლი დამანებეო“, [47. 135—136].

ათანასე, როგორც ჩანს, არა მარტო სახელმწიფო საქმეში იყო ნაცადი შუამავალი და მტრული დაჯგუფების შემარიგებელი, არამედ კერძო სამოქალაქო დავაშიც მისი სიტყვა ავტორიტეტული და გადამწყვეტი იყო. ამ მხრივ საინტერესოა კიდევ ერთი საბუთი, რომელიც ათანასეს მოდავეთა შემარიგებლად ახასიათებს. საბუთი 1751 წლით თარიღდება: „ესე წიგნი მოგეც მე ნახუცრიშვილმა... ზურაბ თქვენ ნეკრესელ ეპისკოპოს იოანეს, ასე რომე დავით გარეჯის სასახლე იყო ქალაქში და იმაში ისახბეგ ბატონიშვილი, ნაიბი (ათაბაგიშვილი) იდგა; ის ვეღარ გამოიყვანეს სასახლიდან და იმის სამუქფოდ ბატონმა სხვაგან სტამბაში, სასახლე გვიბოძა. იქ მე სახლი ამეშენებინა და ხარჯი მექნა. იმ სახლების ხარჯზე გველაპარაკე, რაც მართებული სამართლიანის საქმეთ რიგი იყო გავრიგდით: თქვენსა და ჩემში სალაპარაკო არა დარჩა რა; ჩემი მე მომებარა. არის ამისი მოწამე ათა-

ნასე და გამრიგებელიცა და მე იოანე მღვდელს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა თებერვალს: კზ“. [43. 103].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ათანასე მიტროპოლიტის კანდიდატურა როგორც 1752 წლის ელჩობის ხელმძღვანელისა, შემთხვევითი არ იყო. იგი სადავო საქმეების მომრიგებლად ცნობილი ყოფილა.

ყურადღებას იპყრობს 1752 წლის საეკლესიო გუჯარი, სადაც ათანასე მის მიერ თბილელად დაყენებულ ქრისტეფორეს ავალებს რა, უპატრონოს საეკლესიო ქონებას სწერს: „ჩვენ მიტროპოლიტი ათანასე მეფემ თეიმურაზმან მეფემ ერეკლემ რუსეთს ელჩად გამგზავნეს. რახანი ამათის ბრძანებით წაველ მე მოვახსენეთ ჩემდა ნაიბად[1]. დამეყენებინა ვინმე. იმათ ნება მიბოძეს ვინც გინდოდეს დაიყენე შენის ნებითაო. ახლა შენ მროველი ქრისტეფორე დაგაყენე და მეფეთაც ნება დამრთეს ჩვენის საყდრის მამულით შემოსავალი თუ საყდრითა და ან სამწყსოთი ყველა შენ დაგიმონე და მოგაბარე:... მოვლას ეცდები... თუ რამ (მამული) წასდეს ამის გაკეთებასა ქალაქის აბანოსი ქარვასლებისა, დუქნებისა თუ რასაც მამულისა რაც ამიღია ყველას ჩემი ყაზბი უჭირავს ნავრუზამდი[2] როგორც იმ ყაზბში ეწეროს გაუთავე. ძიროს არის ოთხი დუქანა, იმის ქირას თქვენ აიღებდეთ და ერთი ბანებზე ოთხი ამას გარდა კისის ხეფს არის მთელი ღვინო, ის მოატანინე და მოიხმარე. სხვა ჩვენს სოფელში ან ჩვენი ნათესი იყოს იმისი მოსავალი ან ღალა იყოს ესენი აიღეთ და ყველა მოიხმარეთ. რომელი შენგან შეიძლებოდეს კრებულის შოვას. ეცადე და ეკლესსისა ნავრუზს უკან რაც ქალაქის მამულისგან აიღო, რაც ან თქვენ ხარჯსა ან სტუმრისას ან რითაც ფერათ დანახარჯსა გადარჩეს ეკლესიასათვის შეინახე. თუ სიკვდილი არ მეწია, წამოუსავლელი არ დავდგები, თუ სიკვდილი მეწიოს მეფემ და პატრიარქმან ვითაც ინებონ ეგრე განანონ. ჩემი და დამიგდია ორის მსახურითა. შენ იცი რაც მოუვლი და გააძლიერებ“. დამტკიცებულია ათანასეს ბეჭდით. (43. 224—225).

საინტერესოა კიდევ ერთი, იმავე 1752 წლით დათარიღებული საბუთი, სადაც ნათქვამია შემდეგი: „ჩვენი ბრძანება არის: ბატონი მიტროპოლიტი თბილელი ათანასე აშტრახანს ჩვენს საქმეზე გავგზავნეთ და თავისად მოსვლამდის თავისი ნაიბობა მროველს ქრისტეფორეს მისცა და ჩვენც წყალობა ამ ქრისტეფორეს უყავით. მანამდე

---

1 ნაიბი — მარზპანი, მოადგილე, მაგიერი, ნაცვალი. ჩუბინაშვილის ლექსიკონით, (52).

2 ნავრუზი ნიშნავს იმ დღეებს სექტემბერსა და მარტში, როდესაც დღე და ღამე ერთმანეთის თანატოლია, სულხან-საბას ლექსიკონი. (41).

თბილელი მიტროპოლიტი ათანასე იქიდან მოვიდოდეს ეს ქრისტეფორე იმისი ნაიბი არის და ვინცა ვინ თბილელის კრებული, თუ ყმანი და სამწყსონი ხართ, ყველანი მართებულის გზით ამას დაემორჩილენით და სიტყვას გაუგონებდეთ. ვინცა წინააღუდგებით და მას მართებულად არ დაემორჩილებით დიდად მიწყენთ იცოდეთ... (მოველს ქრისტეფორეს წერს: თუ არ დაგემორჩილონ მაცნობეო). როგორც თბილელმა ათანასემ დაგარიგოს ეკლესიაზე თუ მამულისაზე ყველას ისე მოუარე და რიგი მიეც, მაისს: კვ: ქრონიკოს: უმ“ [43. 217].

ამგვარად მეფენი, ათანასეს პატივისცემით ყოველნაირ დახმარებასა და თანადგომას აღუთქვამენ ათანასე ამილახვარის მიერ დროებით თბილელ მიტროპოლიტად დაყენებულ ქრისტეფორეს.

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი საბუთებისა, რომელნიც აშკარად მოწმობენ, რომ ათანასე თბილელი დროებით, მხოლოდ მეფეთა დავალების შესასრულებლად გაემგზავრა რუსეთში, თეიმურაზ-ერეკლესათვის სრულიად მოულოდნელი ფაქტი მოხდა, მათი ელჩი, იმ დროისათვის საკმაოდ ხანდაზმული ათანასე ამილახვარი, საელჩო მისიის შესრულების შემდეგ რუსეთში დარჩა და სამშობლოში დაბრუნება აღარ ისურვა. ამით მან უარყოფითი დაღი დაასვა თვით ელჩობას, რადგან თავისი საქციელით კონფლიქტური სიტუაცია შექმნა ელჩებს შორის. ამან ერთხელ კიდევ წარმოაჩინა ფეოდალური წინააღმდეგობები, რომელნიც ღრღნიდნენ ქართლ-კახეთის სამეფოებს XVIII ს. მეორე ნახევარში და რომელთა საჯაროზე გამოტანა არ იყო ხელსაყრელი ქართველი მეფეებისათვის.

ჩვენს ხელთ არსებული საბუთების საფუძველზე შევეცდებით თანმიმდევრულად გავაანალიზოთ თუ როგორ დაიჭირეს ელჩებმა თავი და როგორ წარმართეს თავიანთი საქმიანობა საიმპერატორო კარზე.

## § 4. 1752—1754 წწ. ელჩობის მიმდინარეობა

ათანასე ამილახვარს რუსეთში დაუხვდნენ თავისი ძმისწულები: ევგენი და ეგორ ამილახვრები. მათი მამა ვახტანგ ავთანდილის ძე ამილახვარი იყო ვახტანგ VI-ის უახლოესი მრჩეველი, ხოლო დედა — ელენე — სარდარ ლუარსაბ ორბელიანის ქალი. ისინი ვახტანგ VI-ს ახლდნენ რუსეთში, სადაც დარჩნენ კიდეც საცხოვრებლად. მეფის მთავრობას გენერალ-მაიორი ვახტანგ ამილახვარი სახელმწიფო და-

ვალებით სპარსეთში გაუგზავნია. გზად მიმავალი იგი ასტრახანში გარდაცვლილა. მისი მეუღლე დარჩა რუსეთში ორი მცირეწლოვანი ვაჟით, რომელთაც საკმად კარგი განათლება მიაღებინა. ერთ-ერთს ასწავლა ფრანგული ენა, ხოლო მეორეს — ლათინური. ამასთან ერთად მათ კარგად იცოდნენ რუსული და ქართული ენები. ენების ცოდნა მათ გზას უხსნიდა სახელმწიფო სამსახურში.

ელენე ამილახვარს, როგორც ვახტანგ VI-ის უახლოეს ნათესავს, რუსეთის მთავრობამ დაუნიშნა პენსია 300 მან. ოდენობით. ვახტანგისა და ელენე ამილახვრების ვაჟი ავთანდილი (იგივე ევგენი), ისევე როგორც მისი და ანა, საქართველოში დაიბადნენ, ხოლო მათი უმცროსი ძმა გიორგი (ეგორი) — რუსეთში. შემდეგში ძმები ამილახვრები მოსკოვში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნეს. ასე მაგალითად, ევგენი — აღმოსავლეთის კოლეგიის პრეზიდენტად, ხოლო ეგორი — თავდაპირველად მოსკოვის ობერპროკურორად, ხოლო შემდეგ — იუსტიცკოლეგიის მრჩეველად. იგი, მონაწილეობდა მოქმედი კანონმდებლობის, ახალი კანონების გადამამუშავებელ და გამომცემელ, ელისაბედ პეტრეს ასულის მიერ შექმნილ, კომისიაში. ეგორ ამილახვარი 55 წლის ასაკში გარდაიცვალა, ევგენი — 65 წ. ასაკში. მათი და, ანა, ცოლად ჰყავდა ვახტანგ VI-ის უმცროს ძმას ათანასეს, რომელიც ქ. მოსკოვის კომენდანტი იყო. [70. 132—135].

როგორც საბუთებიდან ირკვევა, ათანასე ამილახვარმა „ნადვორნი სოვეტნიკ“ ეგორ ამილახოროვს, თავისი საელჩო დავალებები გააცნო. შესაძლოა, მას თავის საქმიანობაში ქართლელი ემიგრანტების დახმარების იმედი ჰქონდა, რადგანაც ისინი უფრო კარგად იცნობდნენ რუსეთის სამეფო კარის წესებს, მაგრამ ემიგრანტმა თავადებმა ბოროტად გამოიყენეს მისი ნდობა, აქტიურად ჩაერივნენ მის საელჩო საქმეებში და მოქმედებდნენ ქართლელი ბაგრატიონების სურვილის შესაბამისად. თავისი ძმისშვილის — ეგორ ამილახოროვის ჩაგონებით, ათანასე, სიმონ მაყაშვილთან ერთად, გამოცხადდა არა ქართველი მეფეების ადრესატ კანცლერ ბესტუჟევ-რიუმინთან, არამედ ქართლელი ემიგრანტების მფარველ ვიცე-კანცლერ მიხეილ ილარიონის ძე ვორონცოვთან. მასვე მიართვა „კანცლერისთვის საჩუქრად განკუთვნილი ძვირფასი სპარსული ქსოვილი, თან გამოუცხადებია, რომ ქართველ მეფეთა წერილში ყველაფერი არ სწერია, რაც უმაღლეს კარს უნდა მოხსენდეს და ამიტომ დანარჩენს წერილობით მოგახსენებთო.

სიმონ მაყაშვილი, მართალია, ათანასეს ახლდა ამ აუდიენციაზე, მაგრამ მან არ იცოდა, რომ ბესტუჟევ-რიუმინისადმი განკუთვნილი წერილი ათანასეს მისთვის არ ჰქონდა გადაცემული. [89. 107].

1752 წლის 25 დეკემბერს ვორონცოვმა ელისაბედ II-ს ზოგადი სახის მოხსენებითი ბარათი წარუდგინა, რომლითაც აუწყებდა, რომ მან ქართველი ელჩები მიიღო. [89. 106].

ათანასე თბილელი ამ დროს დიდ გაჭირვებას განიცდიდა. მას თავისმა ახლო ნათესავებმა თავიდანვე გზა-კვალი აუბნიეს, როგორც ჩანს, მისთვის აუცილებელი იყო საქართველოდან დამატებითი ინფორმაციების მიღება, რაც, როგორც საბუთებიდან ირკვევა, ხშირად ფერხდებოდა იმავე ქართლელი ემიგრანტების ინტრიგების წყალობით.

ამასობაში დრო გადიოდა და ათანასე თბილელი აყოვნებდა მეფეთა ზეპირი დანაბარების ჩამოყალიბებას რუსეთის საიმპერატორო კარზე გადასაცემად. პროფ. ი. ცინცაძე წერს: „1752 წლიდან 1754 წლამდე ათანასე თბილელი მოსკოვში უდარდელად ცხოვრობს, თითქოს ელჩობისათვის სავალდებულო იყო წლების განმავლობაში უხმოდ უმაღლესი კარის რეზოლუციისათვის ეცადაო“ [89, 106].

როგორც ჩანს, პროფ. ი. ცინცაძის ამგვარი მტკიცება სათანადო მასალის უქონლობით იყო გამოწვეული. ზემოხსენებულ ნაშრომში მას გამოთქმული აქვს ვარაუდი, რომ „ათანასე თბილელი თეიმურაზ მეორესა და ერეკლე მეორის მოწინააღმდეგე იმ დაფარული პარტიის ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომელზედაც ლაპარაკი აქვს საგარეო საქმეთა კოლეგიის ჯაშუშს ოთარ თურმანოვს. ანდა ქართველ მეფეებს მხოლოდ იმის შემდეგ გადაუდგა ათანასე, როცა მოსკოვში მყოფ თავის ნათესავებსა და ქართველი ემიგრაციის მაღალ წრეში ამოჰყო თავი. ამ საკითხის დაზუსტება ახალ დამატებით მასალებს მოითხოვს [89. 110].

ჩვენ მიერ მოსკოვის საგარეო საქმეთა არქივში მიკვლეული დამატებით საარქივო საბუთების მიხედვით, პროფ. ი. ცინცაძის ეს ბოლო ვარაუდი დასტურდება. განსახილველ საკითხს ეხება ერთი საბუთი, რომელიც ხოფელი ეპისკოპოსის ფილიმონის მიერ 1750 წელს 3 ნოემბერს იმპერატრიცას სახელზე წარდგენილ სათხოვარს წარმოადგენს. იგი წერს, რომ ასტრახანში ჩამოვიდა 1753 წ. 14 აგვისტოს და რუსეთის იმპერატრიცას თხოვნით მიმართავს, რათა თავის ქვეყანაში მიიღოს და მფარველობა გაუწიოს. შემდეგ იგი განაგრძობს, რომ 1750 წლის 1 ივლისს საქართველოს ყოფილი ეპისკოპოსი იოსები, რომელიც მის სულიერ მამად ითვლებოდა, მოსკოვიდან უწმინდესი სინოდის ნებართვით საქართველოში წამოსვლისას გზაში, სარატოვში, გარდაიცვალა. ასტრახანისა და სტავროპოლის ეპისკოპოსმა ილარიონმა იგი ასტრახანში დაკრძალა. ეპისკოპოს იოსების ამალაში იმ ხანად მღვდელი ფილიმონიც ყოფილა, რომელიც 1752 წელს

ასტრახანის ეპისკოპოსის ილარიონის ნებართვით სამშობლოში დაბრუნებულა. 1753 წ. 2 თებერვალს საქართველოს კათალიკოსის ანტონ I-ის და აფხაზეთ-სამეგრელო-იმერეთის კათალიკოსის ბესარიონის მიერ იგი ხელდებულ იქნა იმერეთის, კერძოდ, ხოფის მონასტრის მიტროპოლიტად, სადაც მსახურობდა და არქიმანდრიტის სიგელიც უბოძეს. 1753 წელს, — წერს ფილიმონი, — იმერეთს თავს დაესხნენ ქრისტიანობის მტრები, რომლებიც აწიოკებდნენ წმინდა ადგილებს და იქაური სასულიერო პირები იძულებული გახდნენ თავი მთებისთვის შეეფარებინათ. მათ შორის კათალიკოსი ბესარიონიც იყო. ხოლო თვით ფილიმონმა ამ არეულობის გამო თავშესაფარი რუსეთის იმპერატრიცას სთხოვა, რაზედაც მისგან თანხმობის მიღების შემდეგ ასტრახანში ჩამოვიდა (3. 7).

გარეგნულად თითქოს ამ უწყინარი დოკუმენტის მიღმა დგას მოსკოვში მცხოვრები ქართელი ბაგრატიონების საიდუმლო დავალებების შემსრულებელი პიროვნება. უფრო ადრე მისი წინამორბედი იყო მისი უფროსი თანამდროვე, გორისა და სამთავისის მიტროპოლიტი რომანოზ არაგვის ერისთავი[3].

როგორც ჩანს, საქართველოდან წამოსული ეპისკოპოსი ფილიმონი ყიზლარში საკმაოდ დიდხანს გაჩერეს. რადგან მის მიერ საქართველოს შესახებ შეგროვილი ცნობები, რომლებიც ვახტანგ VI მემკვიდრეებს ესაჭიროებოდათ, მასთან ერთად იგვიანებდა, ამიტომ ბატონიშვილ ბაქარის ქვრივმა საგარეო საქმეთა კოლეგიას უმორჩილესი თხოვნა წარუდგინა, რათა ფილიმონ ხოფელისთვის დაუყოვნებლივ მიეცათ უფლება ყიზილარიდან თავისი ვაჟით, ქალიშვილებითა და მსახურით მოსკოვში ჩამოსულიყო“ (6. 13).

ჩვენ მიერ მოძიებული საბუთებიდან ირკვევა, რომ ამასთან დაკავშირებით მოსკოვის საგარეო საქმეთა კოლეგიამ ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიას შეკითხვით მიმართა, რათა შეეტყო ფილიმონისა და მისი ოჯახის რუსეთში ჩამოსვლის ნამდვილი მიზეზი. ამის გამო ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიას ფილიმონმა განუცხადა, რომ იგი რუსეთში წამოვიდა მოსკოვში მცხოვრებ თავის ახლო ნა-

---

3 რომანოზ არაგვის ერისთავი ანა გიორგის ასულ გრუზინსკაიას (ბაქარის ქვრივის) ღვიძლი ძმა იყო. ბაქარის ოჯახის საიდუმლო დავალებით მას არაერთხელ უმოგზაურია რუსეთსა და საქართველოს შორის. ბუტკოვის მიერ გამოქვეყნებულ „სანკტპეტერბურგსკიე ვედომოსტის“ დამატებაში, რომელიც 1753 წ. 23 ნოემბრით თარიღდება, ნათქვამია, რომ: მიტროპოლიტი რომანოზი, ეროვნებით ქართველი, 1752 წლის მაისში ჩამოვიდა კავკასიის ციხე-სიმაგრეში და წერილობითი განაცხადი წარადგინა: მისი ცნობები სრულ ნდობას იმსახურებენ, რამდენადაც იგი თვით იყო საქართველოში და იქაური ამბები საფუძვლიანად გამოიძიაო. აქვე მოყვანილია ამონაწერი მის მიერ წარმოდგენილი წერილიდან, სადაც იგი დაწვრილებით აღწერს აღმოსავლეთ საქართველოს საგარეო ვითარებას“. [59. 289].

თესავებთან შესახვედრად და მიზნად აქვს იქვე იმსახუროს, რაც ადრევე განაცხადა ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიაში, ხოლო ქართველ მეფეთაგან მას არავითარი დავალებები არა აქვს“ [3. 7].

ფილიმონ ხოფელის არაკეთილსინდისიერი მისიის დადასტურებას წარმოადგენს 1753 წლის 3 ნოემბრით დათარიღებული, ათანასე თბილელის მიერ საგარეო საქმეთა კოლეგიის სახელზე წარდგენილი უმორჩილესი თხოვნა, რომელსაც აგრეთვე ჩვენ მივაკვლიეთ; მასში ნათქვამია: „1753 წ.ოქტომბერში ყიზლარიდან მოსკოვში სხვადასხვა საქმეებთან დაკავშირებით ჩამოვიდა ყიზლარის ესკადრონის პორუჩიკი ისაია ახვერდოვი, რომლისთვისაც ყიზლარში მყოფ იმერეთის ეპისკოპოსს ფილიმონს ჩემთვის გადმოსაცემად ჩემი დის წერილი გამოუტანებია. ამ ფაქტს თვით ფილიმონიც ადასტურებს მოსკოვში თავის მეგობართან მიწერილ წერილში, სადაც ნათქვამია, რომ ათანასე საქართველოს ვითარებას თავისი დის წერილის საშუალებით შეიტყობსო, მაგრამ მე ის წერილი დღესაც არ მიმიღია. ზემოხსენებული პორუჩიკი ახვერდოვი დღესაც აქ, მოსკოვში, იმყოფება. ამიტომ საგარეო საქმეთა კოლეგიას უმორჩილესად ვთხოვ, რათა ეს პორუჩიკი გაჩხრიკონ და გამოიძიონ, რა მიზეზით აყოვნებს იგი წერილის ჩემთვის გადმოცემას. თუ წერილი მასთან აღმოჩნდება, სასწრაფოდ გადმომცენ. მე ხშირად მიფიქრია დასძენს ათანასე, სხვა დროსაც ხომ არ იყარგება ქართლ-კახეთის მეფეთაგან ჩემთვის გამოგზავნილი წერილები“, აქვეა მისი ხელმოწერა. საბუთი დათარიღებულია 1753 წ. ოქტომბრით (4. 1).

როგორც ვხედავთ, ათანასე გრძნობს, რომ მას ხელს უშლიან თავის საქმიანობაში, ამიტომაც გამოსთქვამს ეჭვს, სხვა დროსაც ხომ არ იყარგებაო საქართველოდან მისთვის გამოგზავნილი ინფორმაცია.

მას, რა თქმა უნდა, ეჭვი ჰქონდა მოსკოვში მცხოვრებ თავის ნათესავებზე, მაგრამ იცოდა რა, რომ უშუალოდ მათგან სინამდვილეს ვერ გაიგებდა, გადაწყვიტა ოფიციალურად მიემართა საგარეო საქმეთა კოლეგიისათვის.

ჩვენ დავადგინეთ, რომ საგარეო საქმეთა კოლეგიამ ათანასეს უმორჩილესი თხოვნის შედეგად პასუხი პორუჩიკ ისაია ახვერდოვს მოსთხოვა, რომელმაც თავის მხრივ შემდეგნაირი ახსნა-განმარტება მისცა: ყიზილარიდან გამომგზავრებისას, იმ დროს იქ მყოფმა იმერეთის ეპისკოპოსმა ფილიმონმა მას სთხოვა მისი ახლო ნათესავებისთვის გადასაცემად წაეღო მოსკოვში რამდენიმე წერილი, რომელთაგან ერთი მიტროპოლიტ ათანასე თბილელის სახელზე იყო გაგზავნილი მისი დის მიერ. ბოლო წუთებში მან, ე. ი. ფილიმონმა, ყველა წერილი, გზაში რომ არ დაფანტულიყო, ერთად შეკრა და ზემოდან ბაქა-

რის ქვრივის მისამართი დააწერა, ხოლო ეს შეკვრა მოსკოვში ჩასვლისთანავე ახვერდოვმა ბაქარის მეუღლეს გადასცა.

ამ ახსნა-განმარტებას ხელს აწერს თვით ისაია ახვერდოვი. საბუთი თარიღდება 1773 წ. 1 ნოემბრით [4. 2].

ფილიმონის საქციელი იმით შეიძლება აიხსნას, რომ მას იმ ხანებში ათანასე უკვე ქართლელი ბაგრატიონების მომხრე ეგონა. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა, ჩვენ დავადგინეთ, რომ საგარეო საქმეთა კოლეგიამ 1753 წ. 4 ნოემბერს ბაქარის ქვრივთან თავისი სანდო პირი გაგზავნა და საქმის ვითარების გარკვევა დაავალა. კერძოდ, მას უნდა გაეგო გადასცა თუ არა ახვერდოვმა ანა გიორგის ასულს ხსენებული წერილების შეკვრა. მასვე უნდა გაერკვია, იყო თუ არა იქ ათანასესათვის განკუთვნილი წერილი, მაგრამ ბაქარის ქვრივს კოლეგიის რწმუნებულისათვის უბრძანებია, რომ ამ ცოტა ხნის წინ, მან მიიღო ორი წერილი, რომლებსაც იგი კოლეგიას უგზავნის გადასასინჯად. ამ ორი წერილის გარდა, მითუმეტეს, ათანასე მიტროპოლიტისათვის განკუთვნილი მისი დის წერილი მას ზემოთ აღნიშნული პორუჩიკისაგან. არ მიუღია, რაც მზად არის წერილობით დაადასტუროს თავის შვილებთან ერთად, ხოლო რაც შეეხება პორუჩიკს და იმათ ვინც იგი აიძულა ასეთი ბრალდება წაეყენებინა მისთვის, იგი თვითონ უჩივლებს კანცლერთან და ვიცე-კანცლერთან და პასუხს მოსთხოვს ცილისწამებისათვის. ამასთან, იგი დასძენს, რომ ზემოხსენებულ პორუჩიკს იმ დროს, როდესაც იგი მას წერილებს აძლევდა, კიდევ რჩებოდა წერილების დიდი რაოდენობა, ხოლო ვისთვის იყო ისინი განკუთვნილი. მან არ იცის [4. 3].

ამ საბუთების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ფილიმონ ხოფელმა, რომელიც თავის სულიერ მამა იოსებთან ერთად ჯერ კიდევ 1752 წელს მოსკოვში იმყოფებოდა, კავშირი დაამყარა იქ მცხოვრებ ქართველ ბაგრატიონებთან, რომელნიც, შესაძლოა, მისი ნათესავებიც იყვნენ. მათი სწრაფვა ქართლის ტახტის დასაბრუნებლად ფილიმონისათვის კარგად იყო ცნობილი. ამიტომაც 1753 წელს, რუსეთში დაბრუნებისას, მან საქართველოდან გამოტანებული წერილები და მათ შორის ათანასეს კუთვნილიც, რომლის მეშვეობით 1752 წლის ელჩობის მეთაურს საქართველოს იმდროინდელი ვითარება უნდა შეეტყო, გამოუცდელი პორუჩიკის ისაია ახვერდოვის საშუალებით ხელში ჩაუგდო ბაქარ ბატონიშვილის ქვრივს, ანა გიორგის ასულ გრუზინსკაიას, რომელმაც მოხერხებულად აიცილა წაყენებული ბრალდება და ყველაფერი ახვერდოვს გადააბრალა.

უნდა აღინიშნოს, რომ ახვერდოვის ახსნა-განმარტება სრულ ნდობას იმსახურებს. მაშინ როდესაც ბაქარის ქვრივის პასუხში მოჩანს ინტრიგაში გაწაფული დიდგვაროვანი ქალბატონი. მოძიებული საბუ-

თები კიდევ ერთხელ ააშკარავებენ იმ დიდ წინააღმდეგობას, რომელთა გადალახვას ეცადა (მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ შეძლო) ქართლ-კახეთის მეფეთა ელჩი ათანასე თბილელი. ქართლის ბაგრატიონები არც ფარული და არც აშკარა საშუალებებს არ ერიდებოდნენ, რათა ათანასე მეფეთა თვალში გაეშავებინათ, საბოლოოდ ჩამოეშორებინათ საელჩო საქმიანობისაგან და თავიანთ მხარეზე გადაებირებინათ.

განვიხილოთ, თუ რა პოზიცია ეკავა ამ დროს მეორე ელჩს — სიმონ მაყაშვილს.

როგორც სპეციალური ლიტერატურიდან ჩანს, რადგანაც საელჩო საქმეების წარმართვა უმთავრესად ათანასე თბილელს ჰქონდა დავალებული, ელჩობის დასაწყისში სიმონ მაყაშვილი პასიურობდა. მაგრამ დრო გადიოდა და უნაყოფო ცდით შეწუხებული სიმონ მაყაშვილი მოთმინებას კარგავდა. მით უმეტეს, რომ თავისი ნათესავების ინტრიგებში გახლართული გულზვიადი ათანასე თბილელი საქმის ნამდვილ ვითარებას მას არ აცნობდა. მაყაშვილმა 1753 წ. მაისამდე თუ ივნისამდე არც კი იცოდა, რომ ათანასემ ბესტუჟევ-რიუმინისადმი მიწერილი მეფეთა წერილი ადრესატს არ ჩააბარა. როგორც ჩანს, ამ ამბის გარკვევაში მას საგარეო საქმეთა კოლეგიის თარჯიმანი დავით აბაზაძე დაეხარა. ამიტომ, უფრო მოგვიანებით, ათანასე თბილელი 1754 წ. ვიცეკანცლერისადმი მიწერილ წერილში ცუდად იხსენიებს დავით აბაზაძეს. იგი წერს: „თქვენის სულგრძელობის დიდი იმედი მაქვს, რომ ასესორ აბაზაძეს, რომელიც უმიზეზოდ სიბოროტეს ჩადის ჩემს მიმართ, თავის დროზე სამაგიერო მიეზღოსო“ [89. 163].

ელჩებს შორის დიდი უსიამოვნება ჩამოვარდა. მოთმინებიდან გამოსულმა სიმონ მაყაშვილმა გადაწყვიტა მეფეთა სიტყვიერი დავალებანი და ის კონფლიქტი, რაც მასა და ათანასეს შორის ჩამოვარდა, წერილობით ჩამოეყალიბებინა და კანცლერ ბესტუჟევ-რიუმინისათვის წარედგინა, რომელმაც შემდეგში ქართლ-კახეთის მეფეთა მისამართით შედგენილი პასუხი სწორედ ამ მისი მოხსენების მიხედვით დაამუშავა. კანცლერ ბესტუჟევ-რიუმინისადმი გაგზავნილ თავის ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში იგი წერდა, რომ მასა და ათანასეს შორის არსებული უთანხმოების ძირითადი მიზეზი იყო ათანასეს მიერ მისთვის (ე. ი. კანცელერისათვის) მეფეთა მიერ მიწერილი წერილის ჩაუბარებლობა. „... მიტროპოლიტმან, — წერს იგი, — ბოლოს გამომიცხადა, რომ ძმის წულებმან მისმან კნიაზა იაღო ამილახვრიშვილმან... თქვენის ბრწყინვალებას არა გირჩევსო და აგრეთვე მან კნიაზა იაღორ ამილახვრიშვილმან თითონ მეც პირშიგან მითხრა, რომე მაღლის ღრაფობის ბრწყინვალებას რით უნდა მივართვათო და

მერე ქვრივმან სვიმონ ბატონის კნაინმა ანამ პატას ასულმან, წინათ ხსენებულის მიტროპოლიტის ახლოვე ნათესავმან, მომიყვანა მე თავისთან და მრავლის ლაპარაკით მითხრა მე სიტყვანი ესენნი, რათა მე მორთმეული ჩემი მოხსენება იგივე უარვყო და წინაშე თქვენის ბრწყინვალების ბოდიში მოვიტანო, რომე ის ჩემი მოხსენება რუსეთის რიგის უცოდინარობით მომივიდა და ასესორ დავით აბაზაძის დარიგებითა და სწავლებითა, რომლისთვის მე თქვენის ბრწყინვალებისაგან უფროსი რისხვა არ დამემართება რა ამის მეტი რამე დურაკათ სახელდებული ვიქნებიო“ [89. 152].

როგორც წერილის ამ ნაწყვეტიდან ჩანს, ქართველი ემიგრანტების არა მხოლოდ ათანასეს, არამედ სიმონ მაყაშვილის გზიდან აცდენაც საკმაოდ ენერგიულად უცდიათ. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მათ სიმონი ვერ გადაიბირეს ბესტუჟევ-რიუმინს ისეთი ცნობა მიაწოდეს, თითქოს მაყაშვილმა აღიარა, რომ მისი განცხადება რეალურ საფუძველს მოკლებული იყო. სიმონ მაყაშვილმა ათანასესაგან ხელწერილი მოითხოვა იმის შესახებ, რომ თვითონ ათანასემ თავისი ინიციატივით არ ჩააბარა მეფეთა წერილი ბესტუჟევ-რიუმინს.

ქართველი ელჩების უთანხმოებამ, რომელიც რუსეთის სამეფო კარისათვის ცნობილი გახდა, იქ არავითარი რეაქცია არ გამოიწვია.

ნათესავების ინტრიგების შედეგად გზააბნეული ათანასე ამის შემდეგ ცდილობდა რუსეთის სამეფო კარის ჩაურევლად მოეგვარებინა საქმე და შექმნილი კონფლიქტის გარჩევა საქართველოს მეფეებისათვის მიენდო, რომელნიც მას განუსაზღვრელად ენდობოდნენ. თუ რა სახით გააცნო მან ქართველ მეფეებს საქმის ვითარება, ზუსტად არ არის ცნობილი. მაგრამ არსებული დოკუმენტების მიხედვით საკვარაუდოა, რომ მას ქართველი მეფეები თავის სიმართლეში დაურწმუნებია და მოუხსენებია, რომ საელჩოს საქმიანობაში თავისი ფანადგილო საჩივრებით სიმონ მაყაშვილი უშლის ხელს. ამიტომ სთხოვა მათ ჩამოეცილებინათ იგი საელჩო საქმიანობისათვის. თეიმურაზ II-ის და ერეკლე II-ის წერილებიდან, რომლებიც მეფის რუსეთის კანცლერისა და ვიცეკანცლერისადმი იყო მიმართული აღნიშნულია შემდეგი: „ჩვენნი ყოველნი საიდუმლოთ განზრახვითნი სიტყვანი ვარწმუნენით ყოვლად სამღვდელოსა ათანასის მიტროპოლიტსა ტფილისისასა და მაგის მიერ მოიხსენეთ. ხოლო, თუ სხვამან ვინმე ანუ თვით ჩვენმან კნიაზმანცა სიმეონ, თუ სხვა რაიმე სიტყვა მოგახსენოსთ ყოვლად სამღვდელოსა ათანასეს სიტყვათა გარდა, ცთომილ არს ყოვლად და ნუმცაღა ისმენს ელვარე გონებაი საკვირველ განმზრახობისა მაგის, რამეთუ ჩვენნი სიტყვანი მხოლოდ ათანასეს მიერ ყოვლად სამღვდელოისა, ვინებეთ მოხსენებათო“ [89. 151]. წერილი დათარიღებულია 1753 წ. 8 ივნისით.

1753 წ. 10 ოქტომბერს ქართლ-კახეთის მეფეებმა კიდევ ერთი განუსაზღვრელი ნდობით აღსავსე წერილი გაუგზავნეს ათანასეს, სადაც კვლავ სთხოვდნენ, რათა რუსეთის სამეფო კარის მოხელეებს ელჩობის პასუხი დაეჩქარებინათ. ამასთან ატყობინებდნენ, რომ სიმონ მაყაშვილი გაფრთხილებულია თავისი უტაქტო საქციელის გამო და აქვე აღუწერდნენ საქართველოს ირგვლივ შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას [89. 154—155].

ათანასემ მეფეებს სიმონ მაყაშვილის დისკრედიტირებისათვის საჭირო ცნობები, როგორც ირკვევა, ბესტუჟევ-რიუმინისადმი მაყაშვილის ოფიციალური საჩივრის გაგზავნამდე მიაწვდინა. შესაძლოა, ათანასეს იმ ხანად ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ მისი ნათესავები მას მოქმედების სწორ გეზს კარნახობდნენ, ხოლო სიმონი კი თავისი აჩქარებით საქმეს ვნებდა.

მაგრამ დრო გადიოდა და ელჩებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო მწვავდებოდა. ჯერ კიდევ 1753 წელს სიმონ მაყაშვილი ბესტუჟევ-რიუმინს წერდა: „... ჩვენის მეფეების მიწერილის წიგნის მოურთმეულობის მიზეზი ეს არის, რომე მას მიტროპოლიტს აქედამა წასვლა თავის ქვეყანაში მალე არ უნდა და ამასთან მგონია, რომე ნათესავებიც მასვე ევედრებოდნენო“ [89. 152].

სიმონ მაყაშვილი გრძნობდა, რომ ათანასე თავისი ნათესავების ხრიკების შედეგად თავის მოქმედებას მეფეების წინაშე ვერ გაამართლებდა და რუსეთში დარჩენას შეეცდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ 1754 წლამდე ამგვარი სურვილის შესახებ რუსეთის სამეფო კარისათვის არავითარი ოფიციალური განცხადება ჯერ არ ჰქონდა წარდგენილი. მაყაშვილი თავის მეორე მოხსენებით ბარათში, რომელიც მან 1753 წლის აგვისტოში წარუდგინა კანცლერ ბესტუჟევ-რიუმინს, წერდა: „... და ესეც მოუხსენებელი არ არის თქვენის მაღალ ღრაფობის ბრწყინვალებისა, რამე მე მას მღვდელმთავარს მიტროპოლიტთან ვითარი შფოთი გამომივიდა და ჩემს მრავალი გზის მოხსენებით, რომელიც მან მიტროპოლიტმან თქვენს მაღალ ღრაფობის ბრწყინვალებასთან თავისი სურვა და გარჯა არ დააკლოს და კარითგან მის იმპერატორობის დიდებულებისა მაღალი მოწყალებრივი პასუხი გამოიტანოს, ამის ზრუნვა და ცდა არა აქვს, და ყოვლის საქმეთა ჩანს, რომე მას, ზემოხსენებულ მიტროპოლიტს, თავის ქვეყანას მალე წასვლა არ უნდა, ამიტომაცაა გამოიტანა თავისთვის ნება რაიმე, აქ მოსკოვს წიროს და სახლიც მიეცა მას ზნამენსკის მონასტერშიო“ [89. 153].

ათანასე თბილელმა 1754 წლის 27—28 თებერვალს რუსეთში საელჩო მისიით ჩამოსვლიდან წელიწადნახევრის შემდეგ, როგორც

იქნა, მოხსენებითი ბარათი წარუდგინა საგარეო საქმეთა კოლეგიას, სადაც სამ პუნქტად ჩამოაყალიბა ქართველ მეფეთა ზეპირი დანაბარები. აღნიშნული მოხსენებითი ბარათი აშკარად ზერელედ ყოფილა შედგენილი და, ამდენად, ფორმალურ ხასიათს ატარებდა. აქ არაფერი იყო ნათქვამი მეფეთა მიერ წამოყენებული წინადადებების შესახებ, რომელიც სპარსეთის ქალაქების აღების შესაძლებლობას შეეხებოდა. არ იყო ნახსენები არც მათი თხოვნა ჯარით დახმარების შესახებ. ამგვარად, ამ მოხსენებით ბარათში გამოტოვებული იყო ყველა ის პუნქტი, რის განხორციელებასაც აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ მოსკოვში მცხოვრები ქართლის ტახტის მაძიებლები.

როგორც ირკვევა, ამ ხანებში ათანასესათვის უკვე აშკარა იყო, რომ იგი თავისი ნათესავების ხრიკებს თავს ვეღარ დააღწევდა, რადგან მათთან წინააღმდეგობა უშედეგო იყო და გადაწყვიტა ამ ფორმალური მოხსენებითი ბარათით თავისი საელჩო საქმიანობა ოფიციალურად დაემთავრებინა, როგორც ელჩობის ხელმძღვანელის, მიეღო რუსეთის სამეფო კარის პასუხი, და ამ პასუხით თავისი საელჩო კრებული სამშობლოში გაემგზავრებინა, თითონ კი საბოლოოდ მოსკოვში დარჩენა გადაწყვიტა, რადგან იმ ხანად უკვე გაგებული ჰქონდა (შესაძლებელია თვით ვიცეკანცლერის, ანდა თავისი ნათესავების საშუალებით), რომ კანცლერი ბესტუჟევ-რიუმინი სიმონ მაყაშვილის მოხსენებათა საფუძველზე ელჩობის საპასუხო მოხსენებას ადგენდა.

1754 წლის 21 მარტით თარიღდება ბესტუჟევ-რიუმინის საიდუმლო მოხსენებითი ბარათი, რომელიც მან იმპერატრიცა ელისაბედ I-ს წარუდგინა. აქ მან ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებანი 1752 წლის ქართლ-კახეთის ელჩობასთან დაკავშირებით, აღნიშნული მოხსენების საფუძველზე, ჩვენ საშუალება გვეძლევა თვალი გავადევნოთ მეფის რუსეთის დიპლომატიის საიდუმლო გადაწყვეტილებებს ქართლ-კახეთის სამეფოებთან დაკავშირებით XVIII საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში.

კანცლერი, უპირველესად ყოვლისა, უარს აცხადებს საქართველოში რუსეთის დამხმარე ჯარის გაგზავნაზე. მიზეზად იშველიებს შორ მანძილს, ძნელად გადასალახავ მთებსა და ვიწრო ხეობებს. იგი იმედოვნებს, რომ ყოველივე ეს თვით ქართველი მეფეებისთვისაც კარგად ცნობილი ფაქტებია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც აგზავნიან ელჩებს, რათა რუსეთთან მჭიდრო კონტაქტებით დააშინონ თურქები და სპარსელები. მისი აზრით, რუსეთის იმპერიის ინტერესები სრულიადაც არ მოითხოვენ ქართველებისათვის დახმარების გაწევით სპარსეთის საქმეებში ჩარევას, მით უმეტეს, იმ დრომდე, სანამ თურქეთი ნეიტრალიტეტს იცავს ირანის საქმეების მიმართ. ამიტომ

ისე უნდა მოვიქცეთ, რომ თურქეთს არავითარი ეჭვი არ აღვუძრათ რუსეთის ნეიტრალურ პოზიციასთან დაკავშირებითო [89. 123—124].

ყოველივე ამის შედეგად, მას საჭიროდ მიაჩნია, ქართლ-კახეთის აღნიშნულ ელჩობაზე მეფეთათვის ოფიციალური წერილობითი პასუხის გაგზავნა.

ცხადია, რომ რუსეთისათვის საქართველოს მეფეების რეაქციას რუსეთის სამეფო კარის ამგვარ მოქმედებაზე მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან თუ განაწყენებული მეფეები რუსეთის ორიენტაციას უღალატებდნენ, რუსეთში ხომ მრავლად იყვნენ თავშეფარებული ქართლის ტახტის მაძიებელი ბაგრატიონები, რომელნიც ყოველგვარ პირობებზე თანახმა გახდებოდნენ. კანცლერი ამიტომ სათანადო სიფრთხილეს იჩენს, როცა იმპერატრიცას წერს: „... როდესაც მიტროპოლიტი ათანასე და თავადი მაყაშვილი აქაური პასუხით და საჩუქრებით საქართველოში დაბრუნდებიან, ზედმეტი არ იქნება იმის გარკვევა, როგორ მიიღებენ ამგვარ პასუხს მეფეები: დაკმაყოფილდებიან ისინი ამ პასუხით და კვლავ დარჩებიან ჩვენი ერთგულნი, თუ თურქეთში დაიწყებენ ახალი პროტექციის ძებნას“. ყოველივე ამის შედეგად, მას საჭიროდ მიაჩნია საქართველოდან ხშირი და სწორი ინფორმაციის მიღება [89. 160—161].

ამ სახის დაზვერვითი სამუშაოების ჩასატარებლად კანცლერი შესაფერის კანდიდატურად ასახელებს ქართველ ჰუსართა პოლკის ოფიცერს ოთარ თუმანოვს[4].

ზემოაღნიშნულ მოხსენებით ბარათზე იმპერატრიცა ელისაბედ I-ის ხელით დაწერილია „Быть по сему“. ეს ნიშნავდა, რომ ამ მოხსენებითი ბარათის ყოველი პუნქტი ცხოვრებაში უნდა გატარებულიყო.

1754 წლის მარტში საგარეო საქმეთა კოლეგიამ, კანცლერ ბესტუჟევ-რიუმინის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ქართლ-კახეთის სამეფოთა 1752 წლის ელჩობაზე განზრახ უმისამართო და ხელმოუწერელი პასუხი შეადგინა [89. 161—162]. როგორც პროფ. გ. პაიჭაძე აღნიშნავს, რუსეთის მთავრობის ოფიციალური პასუხი ქართლ-კახეთის მეფეთა ელჩობაზე, მათი კანონიერ მემკვიდრეებად ცნობის ტოლფასი იქნებოდა [66. 63]. რაც რუსეთის დიპლომატიურ წრეში ჯერ დღის წესრიგში არ იდგა (ეს ნათლად ჩანდა ელჩობის მიმდინარეობის თანმიმდევრული განხილვისას). სწორედ

---

4 მისი სადაზვერვო მუშაობის შესახებ იხ. პროფ. იასე ცინცაძის გამოკვლევები, ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1941, II, გვ. 83—96. და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები XXVII, 1946, გვ. 11.

ზემოაღნიშნულმა ვითარებამ განაპირობა ელჩობის პასუხად არაოფიციალური, უმისამართო და ხელმოუწერელი პასუხის გამოგზავნა ქართლ-კახეთის მეფეებთან.

კვლავ დავუბრუნდეთ ელჩებს და მათ ურთიერთობას მეფის რუსეთის პასუხით სამშობლოში დაბრუნების წინ.

1754 წლამდე ათანასეს ოფიციალურად თავი ისე უჭირავს, თითქოს რუსეთში დარჩენას სრულიადაც არ ფიქრობს და სამშობლოში გამგზავრების სამზადისშია. ჩვენს ხელთ არის 1754 წლის მაისით დათარიღებული ორი საბუთი. ერთი მათგანი წარმოადგენს ოფიციალურ მიმართვას საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი, სადაც ათანასე აუწყებს მას, რომ ავადმყოფობის გამო ძალზე დასუსტებულია და ამიტომ ასე შორ მანძილზე უჭირს გამგზავრება გამყოლის გარეშე. ამიტომ ითხოვს, რომ გამცილებლად თბილისამდე გააყოლონ რუსეთის სამსახურში მყოფი კაპიტანი გაბრიელ გელოვანი (89. 153—154).

მაგრამ მისი საქციელი უკვე აშკარა თვალთმაქცობაა. ამას ადასტურებს იმავე 1754 წლის მაისით დათარიღებული საიდუმლო საბუთი, რომლის სათაური და შინაარსი ამტკიცებს, რომ ამ ხანებში ათანასე თბილელი, თავისი ნათესავების ჩაგონებით, სრულიად ჩამოსცილდა დიპლომატიურ საქმიანობას და ფარული თანამშრომლობა დაიწყო მეფის რუსეთის სადაზვერვო სამსახურში, რასაც ბუნებრივია თავის სასულიერო მოღვაწეობასაც უთავსებდა.

ხსენებული საბუთი წარმოადგენს ათანასეს უმორჩილეს თხოვნას, იმპერატრიცა ელისაბედ I-ის სახელზე წარდგენილს, სადაც ნათქვამია:... გთხოვთ თქვენი იმპერატორობით უდიდებულოსობის სადაზვერვო სამსახურში მყოფი ნადვორნი სოვეტნიკი თავადი ევგენი ამილახოროვი დააწინაუროთ კოლეექსკი სოვეტნიკად და, ამასთან, მას და კოლეექსკი სოვეტნიკ თავად ეგორ ამილახოროვს, იმის გამო რომ ისინი უცხოელები არიან, მათი რანგის მიხედვით თითოეული ათას ორასი მანეთით დააჯილდოვოთ“ (5.1).

აშკარაა, რომ ათანასე მიტროპოლიტი ასეთ ჯილდოს მეფის რუსეთის დავალებით განხორციელებულ რაღაც საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის ითხოვს[5].

---

5 მაგრამ, როგორც ირკვევა, იმპერატრიცას ეს თხოვნა არ შეუწყნარებია, ანდა, შესაძლოა, ნაწილობრივ შეიწყნარა და ფულით დააჯილდოვა ამილახვრები, რადგან 1761 წელს თეიმურაზ II-ის პეტერბურგში ჩამოსვლასთან დაკავშირებულ საბუთებში ვკითხულობთ, რომ „... 21 მარტს კანცელარიისაგან მის ბრწყინვალება გამგებელთან (თეიმურაზი) მისთვის და მისი ჩინოვნიკებისა და მხლებლებისათვის გაიგზავნა სამი კარეტა..., რთაც იგი მობრძანდა კანცლერთან მასთან პრისტავად განწესებულ ნადვორნი სოვეტნიკ ამილახოროვის თანხლებით (ე. ი. თეიმურაზ II-ს პრისტავად ააბლეს ჯერ ისევ ძველ თანამდებობაზე მყოფი ევგენი ამილახოროვი).

1754 წლის ივნისში ათანასე თბილელმა ვიცეკანცლერ მ. ი. ვორონცოვის სახელზე გაგზავნა არზა, სადაც მოითხოვდა ავადმყოფობის გამო რუსეთში დარჩენას და სიმონ მაყაშვილისა და მთელი მისი საელჩო კრებულის საქართველოში გამგზავრების ნებართვას. წერილში იგი ვორონცოვს აუწყებდა, რომ იმპერატრიცას მიერ ქართლ-კახეთის მეფეებისათვის ბოძებული საჩუქრები მან გადასცა არქიმანდრიტ ქრისტეფორეს, რომელიც მეფეებს ამ საჩუქრებს იმპერატრიცას პასუხთან ერთად გადასცემს. იქვე დასძენდა, რომ მაყაშვილს საჩუქრებს ვერ ანდობს, რადგან თვით ქართლ-კახეთის მეფეებმა ჩამოაშორეს იგი საელჩო საქმიანობას [89. 167—168].

ამგვარად, ათანასე თბილელი ყოველ მოხერხებულ შემთხვევას იყენებს სიმონ მაყაშვილის დასამცირებლად.

1754 წლის 20 აგვისტოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი ივანე ტოპილსკი საგარეო საქმეთა კოლეგიას აცნობებდა, რომ სიმონ მაყაშვილი და ათანასე თბილელის სამღვდელო კრებული საქართველოში ცარიცინის გზით გაემგზავრა [89. 168].

სიმონ მაყაშვილს და ათანასეს სამღვდელო კრებულს გამყოლებად სამი შეირაღებული კაცი გააყოლეს და ცხენებშებმული დროგებით სამშობლოში გაისტუმრეს. ცარიცინიდან ასტრახანამდე მათ ვოლგით იმგზავრეს, ხოლო შემდეგ ყიზლარში ჩამოვიდნენ, საიდანაც საქართველოში გადმოვიდნენ [7. 133].

მიუხედავად 1754 წლის ელჩობაზე რუსეთის საიმპერატორო კარის არადამაკმაყოფილებელი პასუხისა, ქართლ-კახეთის მეფეებს სხვა არაფერი რჩებოდათ და 1754 წლის 4 დეკემბერს რუსეთის სამეფო კარს მადლობის წერილი გაუგზავნეს, სადაც კიდევ ერთხელ არწმუნებდნენ რუსეთის იმპერატრიცას თავის სრულ ერთგულებაში [89. 168].

ჩვენთვის უცნობია, როგორი ახსნა-განმარტება მისცა სიმონ მაყაშვილმა მეფეებს ათანასეს საქციელის შესახებ. შესაძლოა, პირველ ხანებში ვერც დაიჯერეს, რომ ათანასე მომიზეზებული ავადმყოფობის შემდეგ სამშობლოში არ დაბრუნდებოდა.

1754 წლის 23 დეკემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიამ უწმინდესი სინოდისაგან ცნობა მიიღო, რომ მიტროპოლიტმა ათანასემ ხანდაზმულობისა და ავადმყოფობის შედეგად, ამასთან ერთად მის სამშობლოში მუდმივი ხიფათის და არეულობის გამო, სამუდამოდ რუსეთში იმპერატრიცას ქვეშევრდომად დარჩენა გადაწყვიტა.

---

კოლეგიის მრჩეველი ეგორ ამილახოროვიც აქტიურად მონაწილეობდა თეიმურაზის მიღებაში: „... შუადღემდე საიმპერატორო კარის დავალებით მის ბრწყინვალება გამგებელთან (თეიმურაზი) გამოცხადდა კოლეგიის მრჩეველი თავადი ამილახოროვი სამეფო სახლის სამი კარეტით. [11. 303].

ამასთან ერთად, მან შესაფერისი ჯამაგირის დანიშვნაც ითხოვა. ყოველივე ამის გამო სინოდი საგარეო საქმეთა კოლეგიას ცნობას სთხოვდა ათანასეს საელჩო საქმიანობასთან დაკავშირებით და ამ თხვით მიმართავდა მას იყო თუ არა მისი თხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობა [89. 173].

სინოდს საგარეო საქმეთა კოლეგიამ პასუხად აუწყა, რომ მას ათანასეს თხოვნის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მაგრამ საჭიროდ მიაჩნია, თვით ათანასემ, ყოველგვარი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, სამუდამოდ რუსეთში დარჩენის ნებართვა ქართლ-კახეთის მეფეთაგან ითხოვოს. ხოლო საქართველოდან პასუხის მიღებამდე მას 500 მანეთის ოდენობით ჯამაგირი დაენიშნა.

მაგრამ, როგორც ირკვევა, ათანასეს ამგვარი თხოვნით ქართლ-კახეთის მეფეებისათვის არ მიუმართავს და მთელი წლის ლოდინის შემდეგ თეიმურაზი და ერეკლე დარწმუნდნენ, რომ ათანასემ რუსეთში დარჩენა გადაწყვიტა.

მეფეები იძულებული გახდნენ, რათა ათანასეს სამშობლოში ჩამოსაყვანად რუსეთში სპეციალურად გაეგზავნათ 1752 წლის ათანასეს საელჩო კრებულის ერთ-ერთი წევრი, თბილისის სიონის მღვდელი სიმონ საგინაშვილი [43. 218—219]. ერთი მხლებლითურთ. თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებული ერთ-ერთი საბუთიდან ცნობილია, რომ სიმონი იყო ათანასეს გაზრდილი და მის მიერვე სიონის მღვდლად ნაკურთხი. რუსეთში ელჩად წასვლისას მან იგი და სიონის დეკანოზი ნიკოლოზი საელჩო კრებულის წევრებად თან წაიყვანა. ელჩობის დაბრუნების შემდეგ იგი კვლავ სიონში მოღვაწეობდა, ამასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა სიონის კრებულთან: „მყოვარ ჟამ მშვიდობით ყოფილიყო სვიმონ სიონის კრებულისთანა და კრებულნი სვიმონისთანა“. [43. 219]. ამგვარად, 1755 წელს სიმონ საგინაშვილი კვლავ რუსეთში გაემგზავრა. მას მეფეებმა რუსეთის სამეფო კარზე წარსადგენი წერილები გაატანეს. რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში წარდგენილ მოხსენებით ბარათში საგინაშვილი წერს, რომ ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიამ მხოლოდ 1756 წლის 29 ივნისს მისცა მოსკოვში გამგზავრების უფლება. ქართლ-კახეთის მეფეთა მიერ გამოგზავნილი წერილები მან საგარეო საქმეთა კოლეგიის მოსკოვის განყოფილებაში წარადგინა, საიდანაც ისინი პეტერბურგის საიმპერატორო კარზე უნდა გაეგზავნათ, რადგან თვით საგინაშვილმა ავადმყოფობა მოიმიზეზა, პეტერბურგში გამგზავრებაზე უარი განაცხადა და გადაწყვიტა პასუხის მოლოდინში მოსკოვში დარჩენილიყო. აღნიშნულ მოხსენებით ბარათში იგი სარჩენ ფულს ითხოვს თავისთვის და მსახურისათვის. საბუთი 1756 წლის 6 მარტით თარიღდება [8. 6].

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარაუდოა, რომ საგინაშვილმა ათანასეს ჩაგონებით აარიდა თავი პეტერბურგში გამგზავრებას და, ამრიგად, პირადად არ შეხვდა რუსეთა მეფეთა დანაბარები, ხოლო საგარეო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების მოლოდინში მოსკოვში თავის ყოფილ პატრონთან მოკალათდა, სადაც სამშობლოში გამგზავრების წინ, როგორც ჩანს, საკმარისად აღჭურვეს მეფეთა საწინაალმდეგო ინსტრუქციებით.

სიმონ საგინაშვილმა მოსკოვში ქართველი მეფეების მიერ მეფის რუსეთის კანცლერთან და ვიცეკანცლერთან მიწერილი თითქმის ერთი და იმავე შინაარსის ორი წერილი ჩაიტანა. მათში ნათქვამია: „...ეს ზემორე მოხსენებული ტფილისის მიტროპოლიტი ათანასე თავისი სნეულების მიზეზით წამოსვლა რომ არ შეძლებოდა მანდავ დარჩომილიყო, ეხლა ამას მოვახსენებთ მათს სიმაღლესა, ეს ზემოხსენებული არქიერე წარმოგვივლინოთ, რომ თავისავ ადგილს დავადგინოთ. მაგისს ეკლესიას მაგისი აქ ყოფნა დიდათ ეჭირვება და თუცა რომ მაგისი ნებაც არ იყოს მანდიდამ წამოსვლისა, წყალობას ვთხოვთ, რომ მაინც არ დააყენოთ მანდა და წარმოგვივლინოთ [89. 169—170].

1756 წლის 6 აპრილს საგინაშვილმა საგარეო საქმეთა კოლეგიას კვლავ წარუდგინა ოფიციალური თხოვნა პასუხის დაჩქარებისა და მისი სამშობლოში გამგზავრების შესახებ [7. 9].

საგარეო საქმეთა კოლეგიამ ამ საქმის გადაწყვეტა სინოდს დაავალა, თანაც გამოთქვა მოსაზრება, რომ არსებულ ვითარებაში „... მიტროპოლიტის რუსეთში გაჩერება არ არის მიზანშეწონილი, ხოლო რაც შეეხება ზემორე ნახსენებ მღვდელს, რომელიც სამშობლოში დაბრუნებას თხოულობს, საგარეო საქმეთა კოლეგიის მიერ მოსკოვის განყოფილებაში ამჟამად გაგზავნილი მითითებით ნაბრძანებია, რომ იგი და მისი მსახური გაამგზავრონ ასტრახანამდე, ხოლო შემდეგ საზღვარგარეთ და მისცენ სარჩენი ფული“ [1. 221—222]. და „თუ ეს მღვდელი (ე. ი. საგინაშვილი — მ. ბ.) სამშობლოში გამგზავრებისას სათანადო რეზოლუციას მოითხოვს მის მიერ ჩამოტანილ წერილებზე, გამოეცხადოს რომ ამ საკითხთან დაკავშირებით პასუხი იქნება სინოდის გადაწყვეტილება“ [7].

ამგვარად, სიმონ საგინაშვილი ყოველგვარი პასუხის გარეშე გაისტუმრეს სამშობლოში. საგინაშვილის მისიის საპასუხოდ ათანასემ სასწრაფოდ კვლავ წერილით მიმართა თავის მფარველს — კანცლერ მიხეილ ილარიონის ძე ვორონცოვს, სადაც წერდა: „... ვბედავ მოგმართოთ უმდაბლესი თხოვნით თქვენს მაღალგრაფობით ბრწყინვალებას: საქართველოდან გამოგზავნილი მღვდლისაგან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ თქვენ მაღალგრაფობით ბრწყინვალებასთან გამოგზავნილია წერილები ჩემი სამშობლოში დაბრუნების მოთხოვნით... თქვენს მაღალგრაფობით ბრწყინვალებას უმორჩილესად, ცრემლების

ფრქვევით ვთხოვ, გაიღოთ ჩემს მიმართ თქვენი მამობრივი გულისხმიერება და თქვენი დიდი ძალაუფლებით წინაღუდგეთ მათ მკაცრ მოხოვნას, დამიცვათ და არ დაუშვათ, რომ ჩემი ღრმა სიბერის ჟამს წარვდგე დიდი საშიშროების წინაშე“ [10. 1].

1756 წლის აგვისტოში სინოდი საგარეო საქმეთა კოლეგიას აუწყებდა, რომ ხსენებულ მიტროპოლიტს იგი რუსეთში დარჩენას არ უკრძალავს, ხოლო, რაც შეეხება მეფეთა მოთხოვნას, ამაზე იგი შემდეგნაირად პასუხობს: „... მეფეთა მიერ არ არის ზუსტად განსაზღვრული ის მიზეზები, რისთვისაც ხსენებული მიტროპოლიტის აქ დარჩენა შეუძლებელია. მათ თავისი მოთხოვნის საბუთად მხოლოდ ის მოჰყავთ, რომ იგი თავის ეპარქიაში არის საჭირო. სინოდის განსჯის შესაბამისად გადაწყდა, რომ მისი მოვალეობის შესრულება იქ სხვასაც შეუძლია, ხოლო მოსკოვში მისი წოდების განათლებული იერარქების დიდი ნაკლებობაა. და რადგან მათ ევალებათ უმნიშვნელოვანეს დღესასწაულებზე სავალდებულო ღვთისმსახურების შესრულება ეს მის აქ ყოფნას აუცილებელს ხდის, ამის საფუძველზე სინოდმა დაადგინა, რომ, ათანასეს თხოვნის შესაბამისად, მიღებულ იქნას იგი რუსეთის სამუდამო ქვეშევრდომად, ჩამოერთვას ერთგულების ფიცი და მიეცეს შესაფერისი ჯამაგირი. ამ გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს საგარეო საქმეთა კოლეგიას. საბუთი 1756 წ. 9 ოქტომბრით თარიღდება [89. 174—175].

ამგვარად, მიუხედავად **ქართველი მეფეების** კატეგორიული მოთხოვნისა, ათანასე თბილელი მოსკოვში იქნა დატოვებული, რაც, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ მისი სურვილით არ იყო ნაკარნახევი. მიზეზი იმისა, რომ მას აგრერიგად მფარველობდა სინოდი და საგარეო საქმეთა კოლეგია ჩვენთვის უკვე ნათელია. მას, საქართველოდან ახლად ჩასულ, განსწავლულ მღვდელს, ბევრი რამ უნდა სცოდნოდა იმდროინდელი საქართველოსა და საერთოდ, მთელი კავკასიის პოლიტიკური ვითარების შესახებ. ამიტომ იგი ერთნაირად საჭირო იყო როგორც მეფის რუსეთში მოკალათებული რეაქციული ქართლელი თავადაზნაურებისათვის, ასევე თვით მეფის რუსეთისათვის მისი დამპყრობლური პოლიტიკის გასატარებლად. ათანასეს მფარველი სინოდი, როგორც მეფის რუსეთის იდეოლოგი, დაინტერესებული იყო ათანასეს მსგავსი მოხელეებით, რომელნიც თავის სასულიერო სამსახურს წარმატებით უთავსებდნენ რუსეთის სადაზვერვო უწყებაში მუშაობას[6].

---

6 ცნობილია, რომ ათანასეს უფროსი თანამედროვე, სახელგანთქმული რუსი ღვთისმეტყველი თეორეტიკოსი, პეტრე I-ის უახლოესი თანამშრომელი, რომლის მოადგილე წლების მანძილზე იყო ჩვენი თანამემამულე იოსებ სამებელი, პროკოპოვიჩი მეფის რუსეთის სადაზვერვო უწყების აქტიური თანამშრომელი იყო. თავადი ჩშერბატოვი თავის ცნობილ წიგნში მასზე შემდეგს წერს: Между сими Поркопо-

სამშობლოში დაბრუნებულმა სიმონ საგინაშვილმა, როგორც ჩანს, ათანასე თბილელის ინსტრუქციის შესაბამისად დაიწყო მოქმედება და დიდი არეულობა და შფოთი ატეხა სიონის ეკლესიის სამღვდელოებაში. კერძოდ, დავა და უთანხმოება მოხდა მასა და დეკანოზ ნიკოლოზს შორის, რომელიც მასავით 1752 წლის ელჩობის მონაწილე იყო. ქართული ეკლესიის ამ უპირველეს სამიტროპოლიტოში ატეხილი არეულობის შესახებ თ. ჟორდანიას მიერ გამოცემულ იმავე 1764 წლით დათარიღებულ საბუთში ვკითხულობთ: „...შემდგომად საბრვითა ბოროტთა დასაბამისა ეშმაკისათა შური-რაიმე შემოხდომილ იყო დეკანოზსა და სვიმონს შუა, ასე აღეტყინა, რომელ ვიდრე მეფის ყურამდეც მიაღწია და სამსაჯვროში განაცხადნა... მეფემ ამ შფოთის დასახსნელად აიღო და თავისი სახასო აზნაურიშვილი სიონთა ღვთისმშობელს შესწირა წერილითა. მაგრამ მაინც კიდევ შფოთი არ დაიხსნა, შემდგომად მეფისაგან ჩვენ გვებრძანა ამა საქმის ვითარება ხოლო ჩვენ ვსაჯეთო სვიმონი ისევ კრებულში დააბრუნეს სრულის უფლებით, „ყოველსა შინა სამღვდელოსა და სჯულიერსა საქმესა“ და თუ ამის შემდეგაც ამბოხი არ დაწყნარდაო დამნაშავეს მღვდელობისაგან განვაშიშვლებთო“. ხელი უწერია კზს ანტონს, რუსეთიდგან დაბრუნებისა ჩვენისა წელსა მეორესა“, მიტროპოლიტს. ქრისტეფორე და დეკანოზს სიონისას ნიკოლოზ“. საბუთი 1764 წლით თარიღდება [43. 218—219].

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ ათანასეს, რომელმაც დიდი პოპულარობა მოიხვეჭა არა მხოლოდ რუსეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს შორის, არამედ თვით რუს მოსახლეობაშიც.

სხვა ქართველ იერარქებთან ერთად, იგი მღვდელმსახურებას კრემლის მეფე-მთავართა განსასვენებელ არხანგელსკის ტაძარში ასრულებდა. 1755 წლის 24 ოქტომბერს სინოდის მოსკოვის განყოფილების დადგენილების თანახმად, მას ხელქვეითად **დაენიშნა ერთი** იპოლიაკონი და საეკლესიო მგალობლები [71. 72]. ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთხელ მიუთითებს მის „დამსახურებაზე“ მეფის რუსეთის მმართველი წრეების მიმართ.

მოსკოვში იგი ცხოვრობდა ბატონიშვილ ბაქარის მემკვიდრეთა სახლში, მაშინ, როდესაც სულ ცოტა ხნით ადრე, 1753 წელს ელჩობის მიმდინარეობის დროს, ბაქარის ქვრივ ანასთან, საგარეო საქმეთა კოლეგიის საშუალებით ამყარებდა ურთიერთობას. ახლა მას რუსეთში საკმაოდ დამოუკიდებლად ეჭირა თავი და შეძლებულადაც ცხოვრობდა. [71. 72].

საბუთებიდან ირკვევა, რომ ათანასეს, სხვა ქართველი მღვდლე-

---

вич... иже не устыдился быть судьею тайной канцелярии быв архиепископом церкви Божьей“ (76. 27).

ბის მსგავსად, მნიშვნელოვან საეკლესიო და საზოგადოებრივ ცერემონიებში მონაწილეობის მიღება ევალებოდა. მაგრამ მას სრულიად დამოუკიდებლად ეჭირა თავი და სამსახურს ხშირად თავს აიდებდა ავადმყოფობის მომიზეზებით, მაშინ როდესაც გამორჩენის მიზნით სამრევლო ეკლესიებსა და მონასტრებში მიცვალებულთა დაკრძალვაზე ხალისით ეწეოდა სამსახურს. ასეთი შემთხვევების დროს ათანასეს ფეხით რამდენიმე ვერსის გავლა უხდებოდა დამკრძალავ პროცესიასთან ერთად.

სახელმწიფო მნიშვნელობის საეკლესიო ცერემონიებში იგი იძულებით იღებდა მონაწილეობას და როდესაც ყველა იერარქი სადღესასწაულოდ იყო შემოსილი მხოლოდ ათანასეს ეცვა უბრალოდ, არა სადღესასწაულოდ. ათანასეს ამგვარი მოქმედება უკმაყოფილებას იწვევდა მმართველი საეკლესიო ფენების მხრივ და მას ამის შესახებ კიდეც მიეთითა [71. 72].

ათანასე, როგორც მღვდელთმთავარი, თვით რუს მოსახლეობაშიც საკმაო პოპულარობით სარგებლობდა. 1765 წელს მოსკოვში სტაროობრიადელთა ორგანიზაცია დაიშალა. შემდეგ წელს ამ სექტის წევრებმა ათანასეს თხოვნით მიმართეს, რათა მას თავისი ხელდებული ეპისკოპოსი დაენიშნა მათთვის. მაგრამ ათანასემ უპასუხა, რომ რუსეთში საეპისკოპოსოს დაწესების უფლება მხოლოდ სინოდს ენიჭება და ამიტომ იგი უფლებამოსილი არ არის მათი თხოვნა შეასრულოს. სამაგიეროდ ურჩია: „წადით ჩვენთან საქართველოში, იგი რუსეთის სინოდს არ ემორჩილება, იქ ჩვენ ავტოკეფალური პატრიარქი გვყავს და ის შეასრულებს თქვენს თხოვნას“. [71. 73].

რა გააკეთა ათანასე თბილელმა საქართველოსთვის რუსეთში ცხოვრების პერიოდში? აკად. ნ. ბერძენიშვილი ახასიათებდა რა ვახტანგ VI-ის დროს რუსეთში გადასახლებულ ქართველ ემიგრანტთა მოღვაწეობას, სამართლიანად აღნიშნავდა: „... მეფის რუსეთი მარჯვედ სარგებლობდა ხელმწიფის ქვეშევრდომად ქცეული ქართველებით არა მარტო რუსეთის სასარგებლო განწყობილების პროპაგანდისათვის საქართველოში, არამედ პოლიტიკური ინტრიგებისთვისაც ქართლ-კახეთის მეფის წინააღმდეგ. ამ კოლონიიდან გადიოდნენ XVIII საუკუნეში ქართლის მეფობის მაძიებლები, რუსეთის დიპლომატიური მოხელეები საქართველოს მეფესთან და სხვა წვრილი პოლიტიკური აგენტები. ხოლო XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც მეფის რუსეთმა საქართველო რუსეთის გუბერნიად აქცია, ამავე კოლონიამ სამშობლოს არა ერთი პავლე ციციანოვი და დიმიტრი ორბელიანი მისცა“ [79. 186].

აკად. ნ. ბერძენიშვილის ეს მოსაზრება კოლონიის წევრთა მოღვაწეობის მხოლოდ პოლიტიკურ მხარეს ეხება. რაც შეეხება მათ მო-

ღვაწეობას ქართული კულტურისა და განათლების განვითარების მხრივ, რასაც ისინი წარმატებით მისდევდნენ, დიდად ამდიდრებდა იმდროინდელ ქართულ საზოგადოებას. ასეთივე გაორებულ ხასიათისა იყო ათანასე თბილელის მოღვაწეობა რუსეთში ცხოვრების პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ იგი მშობლიურ მიწა-წყალს მოსწყდა, კავშირი გაწყვიტა ქართლ-კახეთის მეფეებთან და მათ მიმართ მტრულად განწყობილთა ბანაკში გადაინაცვლა, კულტურის სფეროში მოღვაწეობით მან მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია თავის სამშობლოს.

1761 წლის 21 დეკემბერს ათანასემ სინოდს თხოვნით მიმართა, რათა ნება მიეცათ მისთვის მოსკოვში ქართული სტამბა მოეწყო. სინოდმა ამაზე მას თანხმობით უპასუხა და ათანასემ პრესნიაზე დაარსა ქართული სტამბა, რომელსაც უფრო მოგვიანებით ანტონ კათალიკოსის მიერ ვლადიმირში მოწყობილი სტამბაც შეუერთა. სტამბის კორექტორად მან მელქისედეკ კავკასიძე დანიშნა, ხოლო სტამბის საერთო ზედამხედველად — ჩვენთვის ცნობილი ნადვორინი სოვეტნიკი ევგენი ამილახოროვი. რუსული ტექსტების მიხედვით საბეჭდი მასალის გამსწორებლად მუშაობდა ათანასეს ახლო ნათესავი დიმიტრი ციციანოვი.

1765 წელს ამ სტამბაში მთელი რიგი საეკლესიო ხასიათის წიგნი დაიბეჭდა: სამეცილულო, დავითანი, ლოცვანი, ჟამნი და ლათინური, ბერძნული და რუსული ანბანი, რომელიც სინოდმა რუსეთის იმპერატრიცას საჩუქრად მიართვა. ამავე სტამბიდან 1762 წელს გამოვიდა „დაუჯდომელი“, 1767 წელს — „პარაკლისი“ და სხვა.

1769 წლის 20 სექტემბერს ათანასემ სინოდს გადასცა კათალიკოს ანტონ I-ის თხოვნა წმინდა მირონის რუსეთიდან საქართველოში გაგზავნის შესახებ. სინოდმა ამაზე თანხმობა განაცხადა და ათანასეს ხელწერილით საქართველოში ვედრონახევარი მირონი გაიგზავნა.

ამ ფაქტს იმ დროისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთ-საქართველოს შემდგომი დაახლოების საქმეში.

რუსეთში მოღვაწეობისას ათანასე მჭიდრო კავშირ-ურთიერთობას ამყარებს ქართულ ეკლესიებთან. მის მიერ დაარსებულ სტამბაში დაბეჭდილ სასულიერო ლიტერატურას იგი რეგულარულად აგზავნის სამშობლოში. მის მიერ გამოცემული დავითნის 354-ე გვერდზე დაბეჭდილია, რომ წინამდებარე ხუცური დავითნი დაიბეჭდა მოსკოვში„... დიდი ხელმწიფე ჩვენი იმპერატრიცა ეკატერინე ალექსისა... სინოდი... და მეცა შემიწყალე... აცხოვნენ მონასტერნი რუსეთისა და საქართველოსანი“ და ბოლოს — „... მომიხსენეთ მიტროპოლიტი ათანასე“ [51. 384].

ათანასეს მიერ 1768 წელს მოსკოვში ნუსხა-ხუცური შრიფტით დაბეჭდილი „ლოცვანის“ თავფურცელს შემდეგი წარწერა აქვს: „სადიდებლად წ-ისა ერთისა, ცხოველ მყოფლისა და განუყოფელისა სამებისა, მამისა და ძისა და სულის წმინდისა, ბრძანებითა უმართლმადიდებლისისა და უპყრობილისისა დიდისა ხელმწიფისა იმპერატორიცა ეკატერინა ალექსეევნასისა სრულიად რუსეთის თვითმპყრობელისათა. ჟამსა მემკვიდრისა მისისა.... ნებართვითა მმართებლის სრულიად რუსეთის მემკვიდრისა მისისა... ნებართვითა მმართებლის სრულიად რუსეთის სინოდისათა. საფასითა და წარსაგებლითა თბილისის მიტროპოლიტი ათანასეს თავადი ამილახოროვისითა გაკეთდა საბეჭდავი ესე და დაიბეჭდა ღვთივ სულიერი წიგნი ესე ლოცვანი დიდს სამეფო ქალაქს მოსკოვს წელსა ჩღჩ. რიცხვით 4 .[51. 310].

წარწერიდან ჩანს, რომ იგი თავის თავს ძველებურად თბილისის მიტროპოლიტს უწოდებს, მაგრამ საქართველოს მეფეს, მის მემკვიდრეს და პატრიარქს აღარ იხსენიებს. მათ ნაცვლად იგი თავის ახალ მფარველებს ასახელებს — რუსეთის ხელმწიფეს და სინოდს.

ათანასე სიცოცხლის ბოლო ხანებში ცხოვრობდა მოსკოვის ჯვართ-ამაღლების მონასტერში, სადაც გარდაიცვალა 1774 წლის 9 იანვარს. იგი დონის მონასტერში დაკრძალეს.

## §5. აღმოსავლეთ საქართველოს საელჩო მისიები რუსეთში 1772—1774 წწ. ელჩობის ზენა პერიოდში

1752—1754 წწ. ელჩობის წარუმატებლად დასრულებამ ვერ შეაფერხა რუსეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის შემდგომი გაღრმავება.

1760 წელს მეფე ერეკლეს ინიციატივით რუსეთში კვლავ გაემგზავრა ელჩობა, რომელსაც მეფე თეიმურაზ II თაოსნობდა.

მეფე თეიმურაზის სათხოვარს შეადგენდა ჯარი ანდა ჯარის დასაქირავებელი ფულადი სესხი, რათა აელაგმათ მოძალებული ლეკები და შეჭრილიყვნენ ფეოდალური შინაამლილობით დასუსტებულ ირანში, სადაც სპარსული დიდებულების ყრილობა უნდა მოეწვიათ და რუსეთისათვის სასურველი პირი შაჰად დაესვათ. მაგრამ რუსეთის მთავრობა თურქეთის გაღიზიანებას მოერიდა, რადგან თვითონ ევროპის საქმეებით იყო დაკავებული. პრუსიის აქტიური პოლიტიკა ევროპაში მეფის რუსეთის მთავრობას მეტად მწვავე და საშიშ მოვლენად მიაჩნდა. პრუსიის წინააღმდეგ შვიდწლიან ომში ჩაბმული, იგი აღმოსავლეთის საქმეებში ჩარევას არ აპირებდა. ამიტომ

იყო, რომ თეიმურაზის რუსეთში ჩასვლასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა კოლეგიის წევრები კანცლერ მიხეილ ილარიონის ძე ვორონცოვს წერილით ატყობინებდნენ: „თუ თეიმურაზს აქ, სანკტ-პეტერბურგში ჩამოსვლის უფლება მიეცემა, შეუძლებელი იქნება თავი ავარიდოთ იმ პატივისცემის გამოხატვას, როგორი პატივითაც წინათ აქ ჩამოსული ქართველი მეფეები სარგებლობდნენ — მისი იმპერატორობითი დიდებულების განკარგულებით, რაც გამოიხატებოდა საზოგადოებრივი პატივისცემითა და ჯეროვანი წყალობის მიღებით, ხოლო ამჟამად პორტასათვის ამგვარი რომ არ დაიფარება. იგი თეიმურაზის რუსეთში ჩამოსვლას თავისი ინტერესებისთვის საწინააღმდეგო მოქმედებად მიიჩნევს. ამასთან, არც პრუსიის მეფე დააყოვნებს რათა თურქეთში მყოფი თავისი ემისარების საშუალებით და მისი მოკავშირე ინგლისის მეფის მხარდაჭერითა და დახმარებით შესაბამისად გამოიყენოს ეს შემთხვევა და ეცდება პორტა და რუსეთი გადაჰკიდოს ერთმანეთს. ამდენად, შექმნილი ვითარება აქაური ინტერესებისათვის მეტად სახიფათო მდგომარეობას ქმნის, რომლის შედეგების თავიდან აცილება შეიძლება მეტად ძნელი ანდა სრულიად შეუძლებელიც კი გახდეს“ [38. 295].

ამავე წერილის მარცხნივ არეზე კანცლერ მიხეილ ილარიონის ძე ვორონცოვის თანამშრომლის მიერ გაკრული ხელით მიწერილია: „თუ გავითვალისწინებთ სხვადასხვა პოლიტიკურ მიზეზებს, რა თქმა უნდა, საქართველოს მეფე თეიმურაზის ჩამოსვლა ჩვენთვის არ არის სასურველი, მაგრამ, რადგან იგი უკვე გზაშია, ალბათ, უხერხული იქნება აქ ჩამოსვლაზე უარი ეთქვას. მისი ბრწყინვალება კანცლერი თვლის, რომ ამჟამად არ არსებობს იმის საჭიროება, რომ მას (თეიმურაზს) მიეგოს მეტისმეტი პატივი, რომელიც უთუოდ საბაბი გახდება არასასურველი აზრების დაბადებისა და სათანადო დასკვნების ?ამოტანისა“ [38. 295]. მართლაც, მეფის მოხელეებმა, სარგებლობდნენ რა კანცლერის ამ ინსტრუქციით, თეიმურაზი კარანტინის საბაბით კარგახანს ასტრახანში დააყოვნეს.

თავის მხრივ თეიმურაზიც იცავდა კონსპირაციას, რათა თურქეთთან და ირანთან ურთიერთობა არ გაემწვავებინა. ამიტომაც იგი ოფიციალურად აცხადებდა, რომ პეტერბურგში მიემგზავრება, რათა თავისი წინაპრების მსგავსად თაყვანი სცეს რუსეთის ხელმწიფე იმპერატორს.

1761 წლის მარტში იგი წარსდგა იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულის წინაშე და წარუდგინა თავისი წინადადებანი. მაგრამ მეფის რუსეთის მთავრობა, როგორც მოსალოდნელი იყო, მის წინადადებებს დადებითად არ გამოეხმაურა, რადგან ისინი, როგორც უკვე აღინიშნა, იმხანად, მის ზრახვებს არ ეთანხმებოდა.

რუსეთის მხრიდან რეალურ დახმარებაზე იმედგაცრუებული თეიმურაზი სამშობლოში გამომგზავრების წინ თხოვნით მიმართავდა მეფის რუსეთის მთავრობას, რათა იმედი მაინც მიეცა, რომ მომავალში დაეხმარებოდა ქართლ-კახეთს, მაგრამ ვერც ამ თხოვნაზე მიიღო დადებითი პასუხი. შვიდლწლიანი ომის დამთავრების მოლოდინში მეფის რუსეთს სხვა საქმეებისათვის აღარ ეცალა.

1762 წ. 8 იანვარს თეიმურაზ II მოულოდნელად პეტერბურგში გარდაიცვალა. მისი ამალის წევრებმა იგი ასტრახანში ჩამოასვენეს და თავისი სიმამრის მეფე ვახტანგ VI-ის გვერდით ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში დაკრძალეს. ასე რომ, 1760 წ. ელჩობა რუსეთში წარუმატებლად დამთავრდა.

ამის შემდეგ რუსეთ-თურქეთის ომით (1768—1774 წწ.) გამწვავებულ პოლიტიკურ ვითარებაში, მნიშვნელოვანი ზეპირი დავალებებით, მეფე ერეკლე II-მ რუსეთში ელჩად მიავლინა თავადი არტემონ ანდრონიკაშვილი. იგი 1769 წლის 5 ივლისს გაემგზავრა რუსეთში, ერთი აზნაურისა და 7 მსახურის თანხლებით.

არტემონ ანდრონიკაშვილს მეფის რუსეთის მთავრობისთვის უნდა მოეხსენებინა, რომ მეფე ერეკლე II ყოველთვის მონდომებულია ჯეროვანი სამსახური გაუწიოს ჭელმწიფე-იმპერატორს, რათა მოიპოვოს რუსეთის მფარველობა, რასაც მომავალში ელოდება. ერეკლეს წინადადებანი კი ასეთი იყო: 1. თუ მისი იმპერატორობითი დიდებულება საჭიროდ მიიჩნევს სპარსეთზე გალაშქრებას, იგი სიხარულით დაიწყებს ომს სპარსეთთან. 2. ამჟამად კი, როდესაც იგი მეფე ერეკლე, თურქეთთან ომისათვის ემზადება, რუსეთის მთავრობისგან ითხოვს, რათა მან საქართველოსთვის სიმშვიდე უზრუნველყოს სპარსეთის მხრიდან. ამის შესახებ რუსეთის სამეფო კარმა სპარსეთის მესვეურებს უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება. 3. საქართველოში ბევრგან მოიპოვება ოქროს, ვერცხლის და სხვა მადნები. ამიტომ მეფე ერეკლე ითხოვს, რათა მისი იმპერატორობითი დიდებულების ჯარს გამოაყოლონ მეცნიერები, რომლებიც ამ სიმდიდრეს აქ მოიძიებენ, რისი განხორციელებაც ამდენ ხანს ვერ ხერხდებოდა მტრების გამუდმებული შემოსევების შედეგად [4. 431].

ამასთან, მეფე ერეკლემ არტემონ ანდრონიკაშვილის ხელით რუსეთის უპირველესი მინისტრის ნიკიტა ივანეს ძე პანინისათვის გადასაცემად გაატანა ქართულ ენაზე შედგენილი აღწერილობა (შემდეგ ხვაბულოვის მიერ რუსულად თარგმნილი) იმ ქალაქებისა და ქვეყნებისა, რომლებიც ქართლსა და კახეთს ემიჯნებოდნენ. აღწერილია იქ მცხოვრები ხალხების ზნე-ჩვეულება, თუ როგორი მეომრები არიან, ვის მფლობელობაში თუ ქვეშევრდომობაში ითვლებიან და სხვა [74. 432—433].

არტემონ ანდრონიკაშვილის ელჩობამ დადებითი შედეგი გამოიღო. ამას ამტკიცებს რუსეთის სამხედრო კორპუსის ჩამოსვლა საქართველოში, გენერალ ტოტლებენის მეთაურობით და სამთამადნო საქმის ოსტატების ჩამოსვლა პროფესორ გიულდენშტეტის წინამძღოლობით.

არტემონ ანდრონიკაშვილი რუსეთში მოქმედებდა მასთან ერთად წასულ იმერეთის მეფე სოლომონ I-ის (1751—1784 წწ.) დესპან დავით კვინიხაძესთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავი II. ანტონ გაგრატიონისა და ლეონ გატონიშვილის ელჩობა რუსეთში 1772—1774 წწ.

## §1. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება 1772—1774 წწ. ელჩობის წინა პერიოდში

XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედში საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება მკვეთრად შეიცვალა. 1768 წელს რუსეთმა თურქეთთან ომი დაიწყო. ორივე მხარე მტრის წინააღმდეგ თავისი მეზობელი მცირე ხალხების ამხედრებას ცდილობდა. რუსეთი დიდ იმედს ამყარებდა ბალკანეთის მცხოვრებლებზე: ბერძნებსა და განსაკუთრებით ჩერნოგორიელებზე, ასევე პოლონელებსა და კავკასიის ქრისტიანებზე.

თურქეთი თავის მხრივ იმედოვნებდა დახმარების მიღებას ყირიმისა და კავკასიის მაჰმადიანებისაგან.

რუსეთის მთავრობის ოფიციალურ მოწოდებას ბალკანეთის ხალხები არ გამოეხმაურნენ. პოლონეთის მეფეს, რომელიც ეკატერინე II-ის აქტიური დახმარებით იქნა პოლონეთის სამეფო ტახტზე აყვანილი სტანისლავ-ავგუსტის სახელით, თვით რუსეთის ჯარი ეხმარებოდა აჯანყების ჩაქრობაში. ამდენად მას ომში ჩაბმა არ შეეძლო. ყირიმის ხანი, როგორც მოსალოდნელი იყო, ომის გამოცხადებისთანავე შეიჭრა რუსეთის სამხრეთ საზღვრებში და თარეშით თვით კიევამდე მივიდა. შემდეგ კი მთელი სამხედრო კომპანიის განმავლობაში იგი თურქეთის მხარეზე იბრძოდა რუსეთის წინააღმდეგ. ყაბარდოელებსაც მუდმივად ეჭირათ თავიანთი ერთმორწმუნეების — თურქების მხარე. ომის დასაწყისიდანვე ისინი მტრულ განწყობას ამჟღავნებდნენ რუსეთის მიმართ, მაგრამ გენერალმა მედემმა დაამარცხა ისინი 1769 წელს და მიაღებინა რუსეთის ქვეშევრდომობა.

მხოლოდ ქართველი მეფეები გამოეხმაურნენ ხალისით რუსეთის მთავრობის მოწოდებას და თურქეთთან ომში აქტიურ მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს. მაგრამ ამისთვის მათ აუცილებლად მიაჩნდათ რუსეთიდან ჯარის ანდა ნივთიერი დახმარების მიღება. ქართველ მეფეებს სრულიად გარკვეული მიზეზები ამოძრავებდათ. სოლომონს რუსეთის ჯარი თავისი საშინაო და საგარეო საქმეების მოსაგვარებ-

ლად სჭირდებოდა. მისი აზრით, რუსების ხელშეწყობით იგი თავადებს დაიმორჩილებდა, ოსმალთა მიერ მიტაცებულ ტერიტორიას დაბრუნებდა და თურქებს იმერეთიდან გააძევებდა.

ერეკლეს მიზანს შეადგენდა რუსთა ჯარის დახმარებით ოსმალეთის მიერ მიტაცებული მესხეთის შეერთება, ჭარ-ბელაქნის დაპყრობა და ქართლ-კახეთში ლეკიანობის მოსპობა. ამის გარდა, რაკი საქართველო რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობაში იქნებოდა, ეს მას ირან-ოსმალეთის მომავალი თავდასხმებიდან დაიცავდა.

რუსეთი მიზნად ისახავდა „საქართველოს მხრიდან მძლავრი დივერსიის მოწყობას", ძირითადად, ქართველთა სამხედრო ძალის გამოყენებით, რათა ამ გზით მტრის დიდი ძალები მიეზიდა საქართველოს საზღვრებთან და ამით ხელი შეეშალა თურქთა საომარი მოქმედებისთვის ძირითად ფრონტზე. საქართველოს საქმეების რწმუნებულს თავად მოურავოვს რუსეთის მთავრობა 1769 წლის 28 მაისის ინსტრუქციით ავალებდა, რომ მას ყოველი ღონე ეხმარა ქართველი მეფე-მთავრებისა და გავლენიანი თავადების დასარაზმავად" [74. 190]. სამაგიეროდ მეფის მთავრობა არ იშურებდა ქართველ მეფეთათვის უხვ დაპირებას. იგი აღუთქვამდა მათ, რომ მომავალ სამშვიდობო ტრაქტატში, რომელიც თურქეთთან დაიდებოდა სპეციალური „არტიკულობით" მათი სამეფოების ინტერესები იქნებოდა დაცული. [74. IV].

იმ დროს, როდესაც ერეკლე მეფესთან რუსეთის იმპერატორის ელჩი იმყოფებოდა, მას ოსმალეთის დესპანები ეწვივნენ, რომელნიც თავისი მთავრობის სახელით მხოლოდ იმას ითხოვდნენ, რომ საქართველოს ამ ომში მონაწილეობაზე უარი ეთქვა, მაგრამ ერეკლემ, ისინი უპასუხოდ გაისტუმრა და უყოყმანოდ მიემხრო რუსეთს [59. 27]. ქართველ მესვეურთა საგარეო პოლიტიკას ყოველთვის ახასიათებდა რუსეთის ასეთი დიდი ნდობა.

მეფის რუსეთის მთავრობამ საქართველოში ოსმალეთის საწინააღმდეგო სამხედრო მოქმედებისთვის გამოგზავნა გენერალი ტოტლებენი ერთი ქვეითი პოლკით, ორი ასეული ცხენოსანი კარაბინერით, ორი ასეული ცხენოსანი ჰუსარით, ორასი დონელი კაზაკით, სამასი ყალმუხით და თორმეტი საველე ზარბაზნით. [59. 280—281]. რუსთა ჯარის გამოჩენამ საქართველოს მმართველი წრეები კიდევ უფრო მეტად განაწყო რუსეთის მიმართ. ცნობილია, რომ XVIII საუკუნეში რუსეთის ჯარი და საომარი იარაღი ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა მთელ მსოფლიოში. საქართველოში ერთობლივი მოქმედებისას რუსეთ-საქართველოს შეერთებულ ლაშქარს არც ერთხელ არ განუცდია მარცხი. მართალია, მხედართმთავრებს შორის ხშირად აღი-

ძრა მნიშვნელოვანი უთანხმოება, მაგრამ ამან ქართველებში რუსეთის ორიენტაციის პოპულარობა ვერ მოშალა.

ცნობილმა ავანტიურისტმა გენერალმა ტოტლებენმა თავისი ადვირახსნილი მოქმედებით დახმარების ნაცვლად ქართველ მეფეებთან ურთიერთობა უკიდურესად გაამწვავა. მართალია, იგი საიმპერატორო ხელისუფლების დიდმპყრობელური მითითებებით ხელმძღვანელობდა, მაგრამ მან ეს მითითებები თავისი დაუფარავი მოქმედებით საჯაროზე გამოიტანა და ამდენად უკიდურესად გაამწვავა ურთიერთობა ქართველ მეფეებთან. მისი გამომწვევი მოქმედების შედეგად რუსეთის სამეფო კარმა ტოტლებენი უკან გაიწვია და მის ნაცვლად გენერალი სუხოტინი დანიშნა. გენერალმა სუხოტინმაც 1771 წლის 13 იანვარს ეკატერინე II-ისგან საქართველოში გამომგზავრების წინ შემდეგნაირი ინსტრუქცია მიიღო: „... Ежели начатое графом Тотлебеном и еще продолжаемое приведение Грузинцов к присяге в верности к нам, поступя он на то после разлучения своего с Ираклием и когда уже явная между ими вражда открылась, будет служить к лутчему Грузинцов совокуплению в единомыслие в разсуждении поисков против неприятеля, то и вам сие средство при подающихся случаях употребить останется, а без того оной обряд со всем излишним почитается, непроча мы, как выше сказано, Грузии в непосредственную собственность империи на ей“ (54. 472).

მაგრამ არც სუხოტინს გაუღიმა ბედმა. იგი ადგილობრივ პირობებს არ იცნობდა, ხოლო გამოცდილი ხალხის რჩევას არად აგდებდა. ყოველთვის თავისი სურვილის შესაბამისად მოქმედებდა, რითაც დიდი ზიანი მიაყენა რუსეთის მხედრობას.

1771 წელს, ჯერ კიდევ რუსეთის ჯარის საქართველოში ყოფნისას საქართველოს მესვეურნი დარწმუნდნენ, რომ თურქეთი ამ ომიდან გამარჯვებული ვეღარ გამოვიდოდა. ამ ხანებში ქერიმ ხან ზენდთან ერეკლეს მიერ მიწერილი წერილიდან აშკარა ხდება, რომ ერეკლე ზუსტ ინფორმაციას ფლობდა აღნიშნულ ომში რუსეთის გამარჯვების შესახებ, ჯერ კიდევ 1771 წელს ქართველმა დიპლომატებმა დაასკვნეს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლა დროული აქტი იქნებოდა. მით უფრო, რომ დამარცხებული თურქეთი საზავო ხელშეკრულების დადებისას საქართველოს საკითხის ამგვარ გადაწყვეტას წინ ვეღარ აღუდგებოდა. ამით დაიმედებულმა აღმოსავლეთ საქართველოს მმართველმა წრემ რუსეთთან მჭიდრო კონტაქტის დამყარება ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის 1772—1774 წწ. ომის მიმდინარეობის პირობებში გადაწყვიტა.

სწორედ ამ მიზნით 1771 წლის 29—30 დეკემბერს ერეკლე II-ის განკარგულებით საქართველოდან რუსეთის საიმპერატორო კარზე გაიგზავნა საგანგებო ელჩობა ანტონ კათალიკოსისა და ლეონ ბატონიშვილის ხელმძღვანელობით.

ვიდრე უშუალოდ განსახილველ საკითხს შევეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ელჩების ცხოვრებასა და მოღვაწეობას შევეხოთ.

## §2. ანტონ ბაგრატიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა

დიდი ქართველი მეცნიერი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე კათალიკოსი ანტონ I, ერისკაცობაში თეიმურაზი, დაიბადა 1720 წლის 17 ოქტომბერს[1]. [81] იგი იყო შვილი ქართველის მეფის იასე ალი-ყული ხანად წოდებულისა. მისი დედა ელენე (მონაზვნობაში ელისაბედი) იყო თეიმურაზ II-ის და, ქალიშვილი — ერეკლე ნაზარალი-ხანისა. ანტონს 7 წლის ასაკში გარდაეცვალა მამა. ადრევე დაეხოცნენ დები — ანასტასია და მარიამი.

პირველდაწყებითი აღზრდა-განათლება ანტონმა იმ დროისათვის დიდად განათლებული დედისაგან მიიღო. დედამ დაიცვა იგი აღვირახსნილი მამის გავლენისაგან, ჩაუნერგა ის მაღალი ზნეობრივი და სულიერი თვისებები, რომლებიც აგრერიგად გამოარჩევდნენ მას მისი დროის ბევრი სასულიერო და საზოგადო მოღვაწისაგან.

ანტონის პირველი მასწავლებლები იყვნენ გარეჯის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი სპირიდონი, მონასტრის ბერი კოსმა, თავადები ნოდარ ხერხეულიძე და იოსებ ფალავანდიშვილი. მასვე ასწავლიდა მაჰმადიანობიდან მოქცეული მირზა ალი ისპაანელი. მათ შეასწავლეს თეიმურაზს საღვთო წერილი, ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, სპარსული და თათრული ენები. ბერძნულ ენაში წვრთნიდა თბილისში მცხოვრები პამფილიის მიტროპოლიტი პართენი. ახალგაზრდა ბატონიშვილს დედა ქართლის სამეფო ტახტის დასაკავებლად ამზადებდა. შესაძლოა ამიტომ 15 წლის თეიმურაზი დაინიშნა ქართლის დიდი თავადის გივი ამილახვრის ასულ თამარზე. მაგრამ მოხდა უბედურება. მისი საცოლე ნადირ-შაჰმა თავისი ჰარამხანისათვის მოითხოვა. გივი ამილახვარი იძულებული გახდა უსიტყვოდ შეესრულებინა შაჰის ბრძანება. 1737 წელს თეიმურაზის დედა ელენე მონაზვნად აღიკვეცა და იძულებული გახდა რუსეთში წასულიყო საცხოვრებლად. მას თან თეიმურაზიც გაჰყვა და ასტრახანამდე მივიდა კიდეც, მაგრამ აქ მოსკოვში გამგზავრების ნებართვა მხოლოდ დედამ

---

1 სტატიის ავტორი წერს: „ანტონი დაიბადა 17 ოქტომბერს 1720 წელს. უკანასკნელმა მეფე ერეკლეს უსწრო 10 დღითა“.

მიიღო. თეიმურაზი იმერეთში წამოვიდა და 1739 წლის 3 თებერვალს ბერად აღიკვეცა გელათის მონასტერში, ანტონის სახელით. ამგვარად, ქართლის ტახტის მაძიებლობას მან სასულიერო ასპარეზი არჩია, რაც მეტ საშუალებას აძლევდა დაეკმაყოფილებინა ცოდნის მიღების დიდი წყურვილი, რომელიც ასე ჭარბად ჰქონდა ბუნებით მომადლებული.

ანტონის ბერად შედგომამ თავზარი დასცა მოსკოვში მცხოვრებ მის დედას, მონაზონ ელისაბედს, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ შვილს ქართლის სამეფო ტახტზე იხილავდა. მან საყვედურით სავსე წერილი გამოუგზავნა ანტონს: „რად შვილო ჩემო, მახვილი ეც გულსა ჩემსა, მწუხარესა უცხოობითა“? ახლა დაიკარგა ყოველი იმედი ქუეყნად ჩუენისა მოქცევისა! ძმა შენ არა გყავს და რად დაჰკარგე სამეფო და იმედი მეფობისა, რომელსაცა გამოიხსნიდა ღმერთი რუსთა ძალითა, რომელნიცა მეცადინეობენ შეწევნასა განსადევნებლად თურქთა“ [30. 145].

1740 წელს ანტონი აფხაზეთის კათალიკოსმა გიორგიმ აკურთხა ქუთაისის მიტროპოლიტად, მოსკოვში 1738 წელს იმერეთიდან ელჩად მივლინებული ტიმოთე გაბაშვილის ნაცვლად.

1742 წელს მძიმედ ავადმყოფმა კათალიკოსმა დომენტი III-მ მოიწვია იგი თბილისში თავის შემცვლელად. ამ მიზნით მან სასულიერო კრებაც მოიწვია, რომელმაც ერთსულოვნად დაუჭირა მხარი, მაგრამ 22 წლის ანტონმა თავი ღირსად არ სცნო ესოდენ დიდი პატივის და უარი შეუთვალა, რის შემდეგ პატრიარქად არჩეულ იქნა ნიკოლოზ ხერხეულიძე.

1743 წელს ანტონი ტოვებს იმერეთს და დავით გარეჯის მონასტერში გადმოდის საცხოვრებლად, მაგრამ წყნარმა სამონასტრო გარემომ იგი ვერ დააკმაყოფილა. მას საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფართო გეგმები ჰქონდა დასახული და ჩქარობდა მათს განხორციელებას. შემთხვევამაც არ დააყოვნა — 1744 წელს მოკლეს კათალიკოსი ნიკოლოზ ხერხეულიძე. დაცარიელებულ საკათალიკოსო ტახტზე მიიწვიეს ანტონი, რომელმაც ამჯერად თანხმობა განაცხადა და იმავე წელს კათალიკოსად იკურთხა მცხეთაში. ამ დროს იგი 24 წლისა იყო და „სულიერისა მეფობისაც ღირს იქმნა“ [47. 110].

1744 წლიდან ანტონ კათალიკოსი საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრში იმყოფება.

თანდათან საქართველოში ხელსაყრელი პირობები იქმნება ანტონის მიერ ჩაფიქრებული ფართო მიზნების, კერძოდ, საეკლესიო და სახელმწიფოებრივი გარდაქმნების განსახორციელებლად.

XVIII ს. მეორე ნახევრისათვის ქართლი და კახეთი მამა-შვილის — თეიმურაზისა და ერეკლეს — ხელქვეით გაერთიანდა. მათ

თურქები განდევნეს ქართლიდან, ირანი კი შინაომლობის შედეგად დამოუკიდებელ სახანოებად დაიშალა. ქართლ-კახეთის სამეფოებმა გარკვეულ პოლიტიკურ აღმავლობას მიაღწიეს. ორ სამეფოში ერთი ოჯახის წარმომადგენელთა გამეფებამ საგრძნობლად შეამსუბუქა ქვეყნის მდგომარეობა და საშუალება მისცა ქართველ პოლიტიკოსებს წარმატებით განეხორციელებინათ თავიანთი საზოგადოებრივი მიზნები.

მრავალრიცხოვანი მტრის შემოსევებისა და შინაფეოდალური აშლილობის შედეგად, მატერიალურად და სულიერად დაბეჩავებული საქართველოს მწარმოებელი მოსახლეობა XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის დიდ გაჭირვებას განიცდიდა. ეკლესიები დანგრეული იყო, სკოლები არ არსებობდა, ქვეყნის ცალკეული ნაწილები გაუკაცრიელდა. ფეოდალურმა დაქუცმაცებულობამ ერთიანი სასულიერო ხელისუფლების მოშლაც გამოიწვია. საფეოდალოთა ადგილობრივი იერარქები თავს პატრიარქ კათალიკოსისაგან დამოუკიდებლად აცხადებდნენ. ასე მაგალითად, ალავერდელი ანტონის ნებართვის გარეშე შეიმოსა შავი მიტრით და თავისი სამწყსოს დამოუკიდებლად მართვა დაიწყო. ამასთან, მართლმადიდებლურ ქართულ ეკლესიას დიდი საფრთხე ელოდა სომხური მონოფიზიტური და კათოლიკური ეკლესიების გავლენისაგან. კათოლიკე მისიონერებმა XVIII ს. პირველ ნახევარში დიდ წარმატებებს მიაღწიეს და კათოლიკობაზე მოაქციეს როგორც წარჩინებული კლასის წარმომადგენლები, ასევე მოსახლეობის საკმაო ნაწილი. ქვეყნის ასეთმა მდგომარეობამ ანტონ I ფართო სამოქმედო გეგმები დაუსახა, რის ხორცშესხმასაც მან დიდი გულმოდგინებით მოჰკიდა ხელი.

ანტონმა განსაზღვრა თავისი ურთიერთობა სამეფო ხელისუფლებასთან და თავის გავლენას დაუქვემდებარა სახელმწიფო აპარატის მრავალი მხარე, რაც მისი აზრით, გამართლებული იყო ვახტანგისეული კანონებით, რომლის მიხედვით საერო და სასულიერო ხელისუფალნი თანაბარი უნდა ყოფილიყვნენ თავიანთი უფლებებითა და გავლენით. ანტონმა გადაწყვიტა გაემაგრებინა ქართლში მეფე თეიმურაზის მერყევი პოზიციები და შემდეგ მასზე დაყრდნობით მოეწესრიგებინა საეკლესიო საქმეები. ამ მიზნით მან შეიმუშავა უკვე დავიწყებული მეფედ კურთხევის ქრისტიანული წესი და თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში პირველად დიდი ზეიმით აკურთხა თეიმურაზ II ქართლის მეფედ. და ეს იმ დროს, როდესაც ქართლის თავადაზნაურობა რუსეთში გადახვეწილ ვახტანგ VI-ის მემკვიდრეებს ემხრობოდა, თეიმურაზის მიმართ კი მტრულად იყო განწყობილი.

თეიმურაზის მეფედ კურთხევა მოხდა 1745 წელს, მცხეთობა დღეს, 1 ოქტომბერს. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას პაპუნა ორბე-

ლიანი ასე აგვიწერს: „რამდენი წელიწადი გარდასულიყო ჟამთა გითარებისაგან და ცხებული მეფე ქართლში არ მჯდარიყო, ...მობრძანდნენ მეფენი და დედოფალნი ქართლისა და კახეთისანი მცხეთასა, ანტონი კათალიკოზი კეთილ-სათნოებითა აღჭურვილი, ტრფიალებითა საზენაოთა ზედ მიწევნითა აღგზნებული და ყოვლად სარწმუნოებითა მტკიცედ დამტკიცებული, ხოლო მადლთა მიერ გაბრწყინებული, არ დააცადებდა ჟამითი ჟამად სიბრძნე მრავლობით წესთა და მართლიად გამოიკვლევდა წერილთაგან კურთხევასა მეფისასა,... დღესასწაული იყო სვეტი-ცხოველისა დღე, იყო ის დღე და მეფის კურთხევის რიგიც შესძინეს: ყოვლად ნეტარმა ანტონი პატრიარქმა არარად კლებულ ქმნა მრჩობელ დღესასწაული“ [47. 109—111].

ანტონმა ქართლის თავადაზნაურობის გულის მოსაგებად ახლადნაკურთხი ქართლის მეფე ნათესაურადაც დააკავშირა ქართლელებთან, მან დაქვრივებული მეფე თეიმურაზი იესე მეფის ნათესავ ქალზე — ანა ხანუმზე დააქორწინა.

ანტონი გაბედულად გამოვიდა სამეფო ხელისუფლების დასაცავად მაშინაც, როდესაც „მარკოზაშვილის დარბაზის“ წევრთა შეთქმულება გაიხსნა. ამასთან დაკავშირებით მან საეკლესიო კრება მოიწვია, რომლის ძალით შეთქმულ ფეოდალებს მამულები ჩამოერთვათ.

ანტონ კათალიკოსი საეკლესიო შემოსავლის დიდ ნაწილს სახელმწიფოს სწირავდა, რათა დახმარებოდა მეფეს სახელმწიფოებრივი მიზნების განხორციელებაში. თავის მხრივ, თეიმურაზიც ცდილობდა ანტონს დახმარებოდა მის მიერ ჩაფიქრებული საეკლესიო გარდაქმნების გატარებაში. სახელმწიფო და საეკლესიო ინტერესების შერწყმის მიზნით კათალიკოსი ყოველგვარ განკარგულებას მეფის სახელით იძლეოდა და ამგვარად თავიდან იცილებდა ვახტანგის კანონების მიხედვით თითქოსდა თანაბარი უფლების მქონე ხელისუფალთა შორის უთანხმოებას და გაუგებრობას. სამონასტრო მფლობელობის გასარკვევად მან შეაგროვა მეფეთა მიერ სხვადასხვა დროს მონასტრებისათვის გაცემული ყველა წყალობის სიგელი და ხელახლა წარუდგინა მეფეს დასამტკიცებლად.

ანტონის ინიციატივით აღდგენილ იქნა ვახტანგისეული სტამბა. მისი დამხმარე ამ საქმეში იყო მეფე ერეკლე.

ანტონის განმანათლებლურ საქმიანობას დიდად უწყობდნენ ხელს კათოლიკე მისიონერები, რომელთაც იმედი გაუღვივეს ქართველ მოწინავე საზოგადოებას, რომ მათ დაეხმარებოდა განათლებული ევროპა. ამიტომაც ანტონ კათალიკოსმა და მისმა მომხრეებმა, თვით მეფე ერეკლემაც ფარულად გეზი დასავლეთისკენ აიღეს. კათოლიკე მისიონერები, რომლებიც ამ დროს გააქტიურდნენ დიდად განათლებული ადამიანები იყვნენ. მათ ღვთისმეტყველებასთან ერთად კარგად

ჰქონდათ შესწავლილი ფილოსოფია, პოეზია, ისტორია, ახალი და ძველი ენები. ისინი ეკლესიებთან სკოლებს ხსნიდნენ, სადაც მაღალი წრის ბავშვებს სქოლასტიკური ხასიათის განათლებას აძლევდნენ. ქართველი ხალხის პატივისცემა მათ მოიპოვეს იმითაც, რომ ქართული ენა შეისწავლეს. მათი გავლენით კათალიკოსმა ანტონ პირველმა საქართველოში სქოლასტიკური განათლების შემოღება განიზრახა, რისთვისაც მისიონერებს დაუახლოვდა და მათი ხელმძღვანელობით შეისწავლა ხსენებული მიმდინარეობის ნაშრომები. მის მიდრეკილებას კათოლიკობისკენ, შესაძლებელია, იმანაც შეუწყო ხელი, რომ თავისი სასულიერო მოღვაწეობის დასაწყისში, დასავლეთ საქართველოში ყოფნისას, იგი ქართველ კათოლიკეთა წრეში მოხვდა. მისი მფარველი მეფე ალექსანდრე, კათალიკოსი ბესარიონი და მის ძმა როსტომ რაჭის ერისთავი კათოლიკები იყვნენ [28. 368].

რადგანაც ანტონმა ლათინური ენა სუსტად იცოდა, თავდაპირველად იგი სომეხ კათოლიკებს დაუახლოვდა, რომელთა საზოგადოება პაპმა კლიმენტი XI-მ ჯერ კიდევ 1717 წელს დაარსა ვენეციაში. სომხური წყაროების შემწეობით ანტონი გაეცნო სქოლასტიკურ ნაწარმოებებს და ზოგიერთი მათგანი, რომლებიც სკოლებში სახელმძღვანელოდ გამოდგებოდა (მაგალითად, არისტოტელეს „კატეგორიები“, მხითარ სევასტოსის „დიალექტიკა“, პორფილე ფინიკიელის თხუზულება და სხვა) სომხურიდან ქართულად გადმოითარგმნა. ერთ-ერთი კათოლიკე ბერი რომში „პროპაგანდას“ წერდა: „დევნულობის დრომდე ჩვენ გვიცავდა კათალიკოსი ანუ ქართველთა პატრიარქი, რომელიც თავის თავს ყველასაგან დამოუკიდებლად რიცხავდა. ამ კათალიკოსმა, ღვთის მადლით აღძრულმა, ბოლოს მიიღო რომის წმინდა სარწმუნოება და ჩვენის მისიონერის გორის უფროსი პატრი იერონიმე ნორჩელის წინაშე აღიარა კათოლიკე სარწმუნოება. რადგან თვითონ სცნო ჭეშმარიტება, ძალიან ცდილობდა სხვებისთვისაც ეცნობებინა [28. 72].

კათალიკოსის დამოუკიდებელი მოქმედება მეფე თეიმურაზს არ გამოპარვია. იგი უკმაყოფილოდ ადევნებდა თვალს ანტონის ძალაუფლებისა და ავტორიტეტის განუხრელ ზრდას. ასე მაგალითად, ანტონი აშკარად თანაუგრძნობდა აბდულა-ბეგ იესეს ძეს მისი ამბოხების დროს. თეიმურაზს არც ის მოსწონდა, რომ მან სპარსეთიდან მოიწვია თავისი ნახევარი ძმა — იესე მეფის შვილი — ალექსანდრე (ისაყ-ბეგი) თავისი ოჯახით, რომელიც მონათლა და თავისი მფარველობის ქვეშ ქართლში დაასახლა.

ჩვენს ხელთაა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის სახელზე წარდგენილი უმორჩილესი თხოვნა ანტონის ძმის ალექსანდრე იესეს ძისა, სადაც ლაპარაკია თეიმურაზსა და ანტონს შორის ჩამოვარდნილ

უთანხმოებაზე, იგი წერს: „მე დავიბადე სპარსეთში, ქ. ისპაანში, ჩემი მამის იესე ლევანის ძის სპარსეთში ყოფნის დროს. მისი საქართველოში დაბრუნების შემდეგ დავრჩი დედასთან ისპაანში და ვიზრდებოდი ნადირ-შაჰის კარზე, ვაღიარებდი მაჰმადიანობას, ნადირ-შაჰმა მომანიჭა მაღალი წოდება და სოფლები საკმაო რაოდენობით, მაგრამ მე ყოველთვის მახსოვდა, რომ ქრისტიანი მამის შვილი ვიყავი და ამიტომ დიდი სურვილი მქონდა მიმეღო მართლმადიდებლობა. ამ მიზნით წამოვედი საქართველოში მამის მხრივ ჩემს ღვიძლ ძმასთან, რომელიც ამჟამად რუსეთში ვლადიმირის ეპარქიის არქიეპისკოპოსად იმყოფება. მან მომნათლა მე მთელი ჩემი სახლობით, რის შემდეგ დღემდე ვაღიარებ მართლმადიდებლობას.

ჩემი ძმისაგან ადრევე გამიგონია, რომ ამჟამად საქართველოში მეფობის არაკანონიერი ტახტის მემკვიდრე და რომ აღნიშნული ტახტი ეკუთვნის ჩემი მამის გვარეულობის ახლობელ შტოს. სამეფო ტახტის ამჟამინდელმა მფლობელებმა იციან, რომ ჩვენი გვარეულობა საკმაოდ შემცირებულია და ჩვენ მაინც ვიმედოვნებთ, რომ ოდესმე, მომავალში, კანონიერი ტახტის მემკვიდრე ქართლის ტახტს დაეპატრონება, ამიტომ აღნიშნული მმართველები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ჩვენი სამეფო სამუდამოდ ხელში ჩაიგდონ. ამ მიზნით ისინი არბევენ და ავიწროებენ ჩვენს სამფლობელოს. სწორედ ამაზე მიუთითებდა მათ ჩემი ნახევარძმა — ვლადიმირის არქიეპისკოპოსი, ჯერ კიდევ მისი საქართველოში ყოფნისას. მას ამის უფლებას მაღალი წოდება აძლევდა. იგი შეძლებისდაგვარად ზღუდავდა მათს უსამართლო მოქმედებას და ცდილობდა დაეშოშმინებინა ისინი და ყოველნაირად იცავდა თავის ღვიძლ ერს. მმართველებმა ამის გამო იგი შეიძულეს, გადაეკიდნენ, დაატოვებინეს საკათალიკოსო ტახტი და განდევნეს თავისი ქვეყნიდან, რის შემდეგ იგი წარსდგა თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის წინაშე და მიღებულ იქნა დედობრივი მზრუნველობით.

ჩემი ძმის განკვეთის შემდეგ მმართველებმა დაიწყეს ჩემი შევიწროება. ბევრი უსიამოვნება და რბევა მომაყენეს, რათა როგორმე მეც იძულებული გავეხადე საქართველოდან წავსულიყავი რასაც მიაღწიეს კიდეც...“ [9. 7—8].

ცხადია ანტონმა განზრახ მოიწვია სპარსეთიდან თავისი მაჰმადიანი ძმა და მონათლა იგი. შესაძლებელია, მას მიზნად ჰქონდა დიდი დიპლომატისა და ძლიერი პიროვნების თეიმურაზ II-ის ნაცვლად ქართლის ტახტზე მისი ნების ამსრულებელი ალექსანდრე აეყვანა.

აღნიშნული საბუთი მეფესა და კათალიკოსს შორის არსებულ დიდ წინააღმდეგობაზე მიგვითითებს. ამ საბუთთან ერთად მოსკოვის საგარეო საქმეთა არქივის იმავე ფონდში ინახება ანტონ კათალიკო-

სის საპროტექციო წერილი ვახტანგ VI-ის მემკვიდრეთა მფარველ კანცლერ მიხეილ ილარიონის ძე ვორონცოვის სახელზე, სადაც ეგზ-სთხოვს გრაფს, შემწეობა აღმოუჩინოს რუსეთში ჩასულ მის ძმას ალექსანდრე იესეს ძეს [9. 4].

როგორც ჩანს, ანტონს მისი წყალობით გზააბნეული ძმის საქმეების მოგვარება რუსეთშიც უკისრია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეფე თეიმურაზ II-ის უკმაყოფილება ანტონ კათალიკოსით თანდათან მწვავე კონფლიქტამდე მივიდა, მით უფრო, რომ თეიმურაზს, ანტონისა და ერეკლესაგან განსხვავებით, პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა არ ჰქონდა განზრახული. ირანი მის პოზიციებს იცნობდა. ახალი გეზი, იქნებოდა იგი მიმართული რუსეთისაკენ, თუ ევროპისაკენ, მისი აზრით, ახალი სიძნელეების წინაშე აყენებდა ქვეყანას. ამიტომ ერიდებოდა თეიმურაზი სპარსეთთან ურთიერთობის გამწვავებას. მას არ სურდა გადაეხვია ნაცადი გზიდან. ამიტომ აღიზიანებდა ანტონ კათალიკოსის საკმაოდ დამოუკიდებელი პოლიტიკა, რაც ევროპასთან დაახლოების ცდაშიც გამოიხატებოდა.

თეიმურაზმა პოლიტიკური გართულების თავიდან აცილების მიზნით კონფლიქტს ვიწრო რელიგიური მიმართულება მისცა. კათოლიკობისაკენ მიდრეკილ ანტონს მან მართლმადიდებლობის დამცველი, თავისი კარის მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი დაუპირისპირა. ზაქარია, თავის მხრივ, უკმაყოფილო იყო ანტონის საეკლესიო რეორგანიზაციით, რაც მას სამუალებას ართმევდა განუკითხავად ესარგებლა საეკლესიო ქონებით. ნინოწმინდელ ეპისკოპოსს საბა ტუსიშვილს დაევალა, ფარულად გაერკვია ნამდვილად იყო თუ არა ანტონ კათალიკოსი მოქცეული კათოლიკურ რელიგიაზე, თუ მხოლოდ აპირებდა გაკათოლიკებას. მ. თამარაშვილს გამოქვეყნებული აქვს ერთი კათოლიკე ბერის წერილი ამ ამბის შესახებ: „ამ ამბის კარგად გამოსარკვევად მეფემ და მისმა მოძღვარმა რაბეთიმ მოიმიზეზეს და მიაგზავნეს ერთი მონაზონი, რომელმაც ბევრი ეჭვი მოიგონა სარწუმნოების შესახებ და მივიდა პატრიარქთან ასახსნელად. პატრიარქს თავი ისე მოაჩვენა, ვითომც დიდად კმაყოფილი ყოფილიყოს მისის სიტყვა-პასუხისა და აზრებისა, მერმე მობრუნდა და ყოველივე აცნობა მეფეს და მის მოძღვარს.

მეფემ რა მოისმინა ყველაფერი ცრუ მონაზონისაგან, განრისხდა, მაშინვე შეკრიბა არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები და მონაზონების უფროსები ტფილისში. რა შეიკრიბნენ, მეფისა და კრების სახელით, მიუგზავნეს ორი არქიეპისკოპოსი პატრიარქს საკითხავათ, თუ რომელ სარწმუნოებას მისდევდა. ანტონმა პასუხის ნაცვლად შემოუთვალა, რომ კრებაზე თვით მივიდოდა, ვითარცა მათი უფროსი. გარნა

მეფემ და კრებამ ნება არ მისცეს შიშის გამო, რომ თავის თანდასწრებით არ შეერცხვინა მოწინააღმდეგენი და „ესრე გამარჯვებული არ გამოსულიყო შესაკრებელიდან, სადაც მისი დასჯა უნდოდათ, ამიტომ მიგზავნეს ორი ეპისკოპოსი და ჰკითხეს, თუ რომელ სარწმუნოებას აღიარებდა. მეორეჯერ დიდის სიმსნით უპასუხა: რომის კათოლიკე ვარ და ვისაც ცხონება უნდა, უეჭველად უნდა მიიღოს და დაიცვას ეს სარწმუნოებაო. ასეთმა პასუხმა უმეტესად განარისხა მეფე და პატრიარქის მტერნი, რომელთაც მაშინვე ახადეს ღირსება ბევრს რასმე შეჰპირდნენ, დაემუქრნენ კიდევაც, რათა მიეზიდნათ თავიანთკენ, მაგრამ მისი სიმტკიცე ვერ შეარყიეს, ამიტომ ერთ სოფელში გააგზავნეს, გარნა პირადად კი არავითარი უპატიურობა მიაყენეს, იმ მოსაზრებით, რომ ამით არ განერისხებინათ მისი სახლობა და ნათესავები, რომლებისაგან თვით მეფესაც ერიდებოდა, ხოლო ქართველებმა თავიანთი ჯავრი ამოიყარეს სამ კათოლიკე სასულიერო პირზე, რომელნიც პატრიარქს ახლდნენ. სამი დღე ქალაქის მთელ ქუჩებსა და მეიდნებში ატარეს ყოველნაირი შეურაცხყოფით და გაუპატიურებულნი, აგრეთვე სიბრაზით ეგოდნად გალახეს, ორი კათოლიკე დედაკაცი, რომ მეტი სიმწრისაგან ორივე სამი დღის შემდეგ მიიცვალა“ [28. 374—375].

ერთ-ერთი ნაწამები ქალი ანტონის დეიდა ხორეშანი იყო. ანტონი ერთ-ერთ თავის რუსეთიდან გამოგზავნილ წერილში წერდა: „დედიდა ხუარაშან მომიკვდა და ჩემი სიყუარულის პატიჟი მკუდარსაც მიეხადა, რომ მეფის ერეკლეს ქალი, სამის ხელმწიფის ძმების დაი, ორი ხელმწიფის ძმის წულების მამის დაი ცილდაწამებულ ძაღლთა და მხეცთ მისაგდებელიდაცა დაისაჯა“ [49. 102].

თეიმურაზმა დაუნდობელი დევნა დაუწყო კათოლიკე პატრებს, არც ერთი მათგანი აღარ დატოვა თავის სამეფოში, ხოლო კათოლიკური ეკლესიები მართლმადიდებლურად აქცია: „1740 წლიდან ვიდრე 1755 წლამდე, — წერს თამარაშვილი, — ქართველ მეფეთა შორის მარტო თეიმურაზმა განითქვა სამწუხარო სახელი, რადგან მხოლოდ მან ჩაიდინა ისეთი საქმე, რომლის მსგავსი არცერთ მის უწინარეს გვირგვინოსანს ექმნა. ეს ფაქტი დევნულობაა, რომელიც მან აუტეხა დიდად განვითარებულ ანტონ კათალიკოსს და კათოლიკეთა მოძღვრებს“ [28. 379]. ეს ფაქტიც იმის მანიშნებელია, რომ თეიმურაზი გარემოებამ აიძულა კათოლიკების დევნა დაეწყო.

1756 წლის 6 დეკემბერს მოიწვიეს საეკლესიო კრება, რომლის ძალით ანტონი გადაყენებულ იქნა კათოლიკოსობიდან და აეკრძალა მღვდელმსახურება. იგი საპყრობილეში ჩასვეს, მისი თანამოაზრენიც სასტიკად დასაჯეს. დაცულია საეკლესიო კრების გადაწყვეტილება

ანტონის დამხობის შესახებ. იგი დათარიღებულია 1755 წ. 16 დეკემბრით [18].

ანტონმა თავის გადარჩენის მიზნით საპყრობილედან მეფე თეიმურაზს წერილი მისწერა, რომელშიც აღიარებდა თავის შეცდომას და პატიებას ითხოვდა.

1756 წლის 4 აპრილს კვლავ შედგა საეკლესიო კრება, სადაც ანტონმა აღიარა თავისი დანაშაული, უარყო კათოლიკობა და რუსეთში წასვლის ნება ითხოვა, ამასთან, ღვთისმსახურების უფლებით. ეს თხოვნა კრებამ შეიწყნარა და ანტონი მოსკოვში გაემგზავრა.

ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება ე. წ. „განჩინება კათალიკოზს ანტონის ზედა, დამხობად, განდევნად და წირვისაგან დაყენებად და კუალად შენდობა და მიტევება და რუსეთს გაგზავნა მისი". აქ ნათქვამია: „წელსა განხორციელებითგან სიტყვისა ღვთისა 1755 წ. თუესა დეკემბერსა 16 ჩუენმან მეფემან ქართუელთამან თეიმურაზ და ძემან ჩუენმან მეფემან კახთამან ირაკლიმ, და ორთავე სამეფოსა ამის ეპისკოპოსთა: მოგივლინენით არხიმანდრიტი ორნი შენ ანტონი კათალიკოზსა ჩვენსა, გამოკითხვად, თუ რომლისა სარწმუნოებისა ხარ. ამისათვის, არაერთხელ რომელ გუესმოდა და ჭეშმარიტცა იყო ლათინთა სარწმუნოებისა მიმართ მიდრეკა შენი... მაშინ მივლინებულთა ჩვენ მიერ არხიმანდრიტთა არღარა დაუფარე საანჯამოდ აღიარე წვალება ლათინთა და საუწყებოდ ჩვენდა გამოუცხადე, და ვითარცა ესე ვსცანით, მყის დაგამხნევით და საყდრისაგან შენისა და შენთანა ერთხმანი სამღუდელონი დავსაჯენით და ერისკაცნი უზიარებელ ვჰყვენით.

ხოლო შემდგომად რაოდენათმე დღეთა მიეგე გონებასა ცნობათ ჭეშმარიტება სარწმუნოებისა და იწყე გოდება და ტირილი და შევრდომა და თხოვად შენდობისა და უარჰყავ ბოროტი ცთომილება შენი და განჰგმე სიდრუკე და სარწმუნოება ლათინთა, რომელიცა შეგეწყნარა" [19].

ანტონის პატიება და რუსეთში გაგზავნა მხოლოდ მეფე თეიმურაზის სულგრძელობით არ აიხსნება. გარკვეული წვლილი მეფე ერეკლეს ეკუთვნის, რომელიც თავის თანატოლ ანტონთან ძმასავით იყო შეზრდილი და მასთან დიდი მეგობრობა აკავშირებდა. ამის დამადასტურებელია მისი მეტად გულთბილი წერილები ანტონის მიმართ. აი ერთ-ერთი მათგანი: „ანტონი ღმერთმან შენი ჭირი მისცეს შენის მოშორებისათვის სიცოცხლე გაუგემურებულს შენს ძმას, ბატონიშვილს, წმინდანს კათალიკოზს ხელს გაკოცებ და ღვთის შეწევნით თუ იმისი ნებაც არის ადრე სამსახურში ხლების სურვილს მოგახსენებ... თქვენი დიდი მწუხარება გვესმის, — მაგრამ ჩემგან თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, საქმე რომ მოვა, შეწუხება ვერას გზას მისცემს კაცს. ისევა შენი გონება მიეც შენ ნუ მოგიკვდები, შენს თავს გაუფრთხილ-

დი, შენის თავის მომვლელი შენვე შეიქმენ და გული გაიმაგრე, ანგრის სკჰ ჩღნვ“ [49 189—190].

რუსეთში წასასვლელად გამზადებული ანტონი არზით მიმართავდა მეფე თეიმურაზს, სადაც მხურვალე ცრემლების ფრქვევით სთხოვდა საბუთს, რომელიც მას საშუალებას მისცემდა თავი ემართლებინა უწმინდესი სინოდის წინაშე [49. 184—190]. თეიმურაზმა შეიწყნარა ანტონის ვედრება და შემდეგ შინაარსის წერილი გაატანა მას სინოდში წარსადგენად: „უფალს პატრიარქს ანტონს დიდსა და უწმინდესსა მამამთავარსა, ჩვენსა დისწულსა ბატონიშვილსა, მათის დღეგრძელობით და კეთილად გიებისა უსაზღვროდ მონატრებ ბიძა მეფე თეიმურაზ მარჯვენის ამბორებასა მოვახსენებ. ზაქარია მღვდლის ხელით წარმოგზავნილი წერილი და სია მივიღეთ და პასუხიც ამით მოგვიხსენებია, ნება გაქვთ თქვენის კრებით სწიროთ გორში ბრწყინვალე აღდგომის დღეს და შემდეგ წაბრძანდეთ როგორც ინებებთ. ვისაც თქვენი ნახვა უნდა, მანდ გორში გეახლებიან. სხვას ზაქარია მღვდელი მოგახსენებს სიტყვიერად“. აპრილი 4 1756 წ. [30. 162].

ამ საბუთით მეფემ ანტონს მღვდელმსახურების უფლება აღუდგინა. მასში არ იყო აღნიშნული მიზეზი მისი რუსეთში განდევნისა, რამაც ანტონს საშუალება მისცა იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ასულისა და სინოდის წინაშე დაეფარა თავისი კათოლიკობა. აღნიშნული წერილის გარდა ანტონმა თან წაიღო ანტიოქიის პატრიარქ სილვესტრის და იერუსალიმის პატრიარქ პართენის სარეკომენდაციო წერილები, რომლებშიც მას მართლმადიდებელ პატრიარქს უწოდებდნენ [49. 243].

დამცირებულმა და შეურაცხყოფილმა ანტონმა გადაწყვიტა რუსეთში თავისი მრავალრიცხოვანი ნათესავების, ვახტანგ VI-ის მემკვიდრეების მფარველობით ეცხოვრა. მოსკოვში მას შეხვდა და დიდი მონაწილეობა მიიღო მის დაბინავებაში ვახტანგ VI-ის შვილიშვილმა ალექსანდრე ბაქარის ძემ. ალექსანდრე ქართლის ტახტის მაძიებელთა შორის ყველაზე აქტიური იყო. საქართველოდან განდევნილ პატრიარქს მისი მიზნების განხორციელებისათვის დიდი სამსახურის გაწევა შეეძლო, ხოლო ანტონს იმედი ჰქონდა, რომ იგი, როგორც ელისაბედ პეტრეს ასულის კარზე დაახლოებული პირი, დაეხმარებოდა. ეს მას მით უფრო ესაჭიროებოდა, რომ რუსეთის მთავრობისათვის უკვე ცნობილი იყო მისი კათოლიკობა. ალექსანდრე ბაქარის ძის თანხლებით იგი ჩავიდა პეტერბურგში და ელისაბედს მოხსენება წარუდგინა, სადაც წერდა: „მართალია, მე ბერი ვიყავი, მაგრამ არა ისეთი, რომელიც მუდმივად მონასტერში ცხოვრობს. ამიტომ ყველა თავადი და პატივსაცემი პირი ჩემთან მოდიოდა რჩევისათვის. მე მათ ვაშოშმინებდი, რის უფლებასაც ჩემი მაღალი წოდება მაძლევდა. ეს მეფეს

ვერ აიტანა და ჩემი გადაყენება გადაწყვიტა. ამ მიზეზით მან უსაფუძვლოდ დამწამა ცილი და წამართვა წოდება, რის შემდეგაც წამოვედი აქ, სამართლიანობის ნავთსაყუდელში...“ [49. 258].

ელისაბედ პეტრეს ასულმა მისი საბუთები „უწმინდეს სინოდს“ გადასცა, სადაც ანტონის მართლმადიდებლობა უნდა შეემოწმებინათ. სინოდშიც, მას პატივისცემის ნიშნად ფეხზე ადგომით შეხვდნენ. ანტონმა დაახლოებით ასეთივე შინაარსის ახსნა-განმარტება წარადგინა. იგი დასძენდა: „საშინელი ცილი დამწამეს, თითქოს მე მოვინდომე მართლმადიდებლური სარწმუნოებისაგან განდგომილი პაპის მესვეურებთან დაკავშირება და ნამდვილად მივიღე მათი რწმენა. არავითარ ჩემის თავის მართლებას ყური არ ათხოვეს და არც ძველი ქრისტიანული წესით დადგენილ სასულიერო კრებაზე გამასამართლეს. ამრიგად, სრულიად უდანაშაულოს, ჩემივე მრევლის წინაშე პატივი ამყარეს და მიბრძანეს, გავცლოდი საქართველოს საზღვრებს და წავსულიყავი, სადაც მოვისურვებ“. [49. 248]. საბუთი 1757 წ. 30 აპრილით თარიღდება.

დოკუმენტიდან ჩანს, რომ ისეთი დიდი პიროვნება, როგორიც ანტონია, არ იყო მოკლებული სუსტ ადამიანურ თვისებებს.

ანტონმა სინოდის წინაშე აღიარა „სარწმუნოების სიმბოლო“, რომელიც რუსულისა და ქართულ ენაზე დაწერილი წარუდგინა მას. ამით იგი აღიარებდა მართლამდიდებლური ეკლესიის მიერ დაწესებულ ყველა დოგმას. ამის საფუძველზე, სინოდმა იგი მართლმადიდებლად სცნო და გაამართლა. ანტონის თხოვნაზე — დაეტოვებინათ მისთვის კათალიკოსის ტიტული — სინოდმა უარით უპასუხა. 1757 წ. 8 აგვისტოს ანტონს სამწყსოდ ვლადიმერისა და იაროპოლის არქიეპისკოპოსის კათედრა მისცეს. მისივე თხოვნით, მას თარჯიმნად დაუნიშნეს ქართველი მღვდელი გიორგი დავითაშვილი ქალაქ სვიაჟიდან.

ამგვარად, თეიმურაზ II-მ ანტონის სახით მოცილე და პოლიტიკური მოწინააღმდეგე ჩამოიცილა. ამას კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი, როგორც მ. თამარაშვილი აღნიშნავს: „საკვირველი საქციელი“... „ასეთ ამბავს აზრადაც არ წარმოვიდგენდით, უკეთუ არ შეეხვედროდა ნამდვილი მისი ხელთნაწერი საბუთი, რომლის პოვნამ დიდად გაგვაოცა. ეს საკვირველი ამბავი ისაა, რომ თავის მიერ წინეთ დევნულის კათოლიკობისათვის ისევ თავს იდო შემწეობის აღმოჩენა, როცა დაინახა კათოლიკობის სულიერი გაჭირვება, თვითონვე მიმართა თავისგან გაძევებულ კაპუცინებს და სთხოვა, მათთვის შემწეობა აღმოეჩინათ“ [49. 376].

მოგვყავს თეიმურაზ II-ის მიერ საქართველოდან კათოლიკების განდევნის შემდეგ დაწერილი წერილი, რომელიც მ. თამარაშვილმა „პროპაგანდის“ არქივში მოიძია: „აქ მეფის თეიმურაზის და მეფის

ირაკლის კეთილი სახსენებელოდა არასოდეს არ დასავიწყარო ახალ-ციხის ხუცების უფროს პატრი ლეონარდო, მერმე, რაც ამ ჩვენს ქვეყანაში თქვენის სარწმუნოებისა არიან ვინმე და რადგანაც იმათ მღვდელი ეჭირვებოდათ მოვიდნენ და შემოგვეხვეწნენ და ჩვენც თქვენთვის მოგვიწერია რომ ერთი ახალციხელი ხუცესი გამოგზავნო ამათ უმღვდლოს ახალციხელი ტერ სტეფანე რო არის თუ ის სიბერი-კაცით არ დაზარდება და წამოვა კარგი იქნება თუ არა და რომელიც შენ მუნასიბი ნახო ის გამოგზავნე, მაგრამ ახალციხელი ხუცესი კი იყოს მოვიდეს აქ იმათ უმღვდლოს... ნუ რა ეფიქრება რა. კაცებს გამოვატანთ ღვთის შეწევნით, მშვიდობით გამოვატარებინებთ. თქვენს ამბავს მოგვეწერდეთ. იანვარს კგ. ქ. ეც უმ თეიმურაზის ბეჭედი, ერეკ-ლეს ბეჭედი“ [28. 377].

ამგვარად, განდევნა რა ანტონი, თეიმურაზმა კვლავ ლმობიერი დამოკიდებულება განაახლა კათოლიკე პატრების მიმართ.

ანტონი თავისი ერთგული კრებულით დამკვიდრდა ვლადიმირში, სადაც სამეურნეო საქმიანობის მოგვარების შემდეგ დაიწყო რუსულ-ისა და ლათინური ენების შესწავლა. იგი ახლოს გაეცნო მაშინდელ ფილოსოფიურ და საღვთისმეტყველო ლიტერატურას. რუსეთში ცხო-ვრების პერიოდში ანტონი დაუღალავად შრომობს ქართული კულტუ-რის განვითარებისათვის, კერძოდ, მშობლიურ ქართულ ენაზე განა-თლების საქმის გაუმჯობესებისათვის. რუსეთში მან შეადგინა მთელი რიგი სახელმძღვანელოებისა, რომლებიც საჭირო იქნებოდა მის მიერ ჩაფიქრებული ახალი ტიპის ქართულ სკოლებში. მისი შრომები სა-მეცნიერო და პედაგოგიურ სფეროში მეტად მრავალმხრივია. სასუ-ლიერო ხასიათის წიგნების გარდა, მან თარგმნა ბაუმაისტერის ფილო-სოფია, ლოღიკა და მეტაფიზიკა, რასაც კომენტარები დაურთო. ამას-თან ერთად მან გადმოთარგმნა ვოლფის ფიზიკა, კურციუსის ალექსა-ნდრე მაკედონელის ისტორია და სხვა. მანვე დაწერა გრამატიკის, რიტორიკის, ისტორიის, ფილოსოფიის და ღვთისმეტყველების სა-ხელმძღვანელოები. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა მოწმობს მის უდი-დეს ცოდნასა და არაჩვეულებრივ ენერგიას. მისი საუკეთესო ნაშრომებია: „გრამატიკა“, „მზამეტყველება“ და „წყობილი-სიტყვაობა“. „მზამეტყველება“ მიმართულია მონოფიზიტობის წი-ნააღმდეგ, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული იმდრო-ინდელ საქართველოში. ანტონის საისტორიო თხზულებათა შორის ყველაზე საყურადღებოა მისი „წყობილსიტყვაობა“, სადაც სასული-ერო ნაწილის გარდა მოცემულია ისტორიული ნაწილი, საქართველოს მოკლე ისტორია, რომელიც მან დაწერა ყიზლარის კომენდატის ფრა-

უენდორფის თხოვნით (1756—60 წწ.) და ალესქანდრე მაკედონელის ისტორია კვინტუს კურციუსისა..

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთში ცხოვრების პერიოდში ანტონი ცდილობდა კონტაქტის დამყარებას თავის მოწინააღმდეგე დეკანოზ ზაქარია გაბაშვილთან, რომელიც მეფე თეიმურაზ II-ის კარზე დიდი გავლენით სარგებლობდა. მან პირველმა მისწერა ზაქარიას წერილი, რომელიც თავდაჭერილი მოკრძალებით, შემრიგებლური ტონით არის დაწერილი.

ანტონი რამდენადმე პირმოთნეობს კიდეც, როდესაც ზაქარიას წერს: „... ვითხოვთ თქვენისაგან მამობრივსა სიყვარულსა, რათა განაახლო ჩემდამი პირუელი იგი სიყვარული და სიმშვიდისა უროითა შემუსრო კერპი სიძულვილისა“ [49. 93—94]. ეს წერილი 1759 წ. დაიწერა. ზაქარიას პასუხმა ამ წერილზე ჩვენამდე არ მოაღწია. მაგრამ ანტონის მეორე წერილიდან ჩანს, რომ ზაქარიამ უარყო მასთან კონტაქტი და ამჯერად არც ანტონი ჩამორჩა მას გულზვიადობაში [49. 94—96].

ბუნებრივია, რომ ამგვარი მიმოწერის შედეგად ანტონსა და ზაქარიას შორის ყოველგვარი შემაკავშირებელი ძაფი გაწყდა. ამიერიდან ისინი სამუდამოდ მტრებად დარჩნენ. მათი მტრული ურთიერთობა მკაფიოდ გამოვლინდა ანტონის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

ანტონი წერილებს წერდა ერეკლესა და თეიმურაზს, ამასთან ერთად იგი ყველა თავის ნაშრომს სამშობლოში გზავნიდა. ამგვარი მოქმედებით იგი სამშობლოში დასაბრუნებლად ნიადაგს ამზადებდა.

თეიმურაზ II-ისადმი მიწერილი მისი წერილები უაღრესი პატივისცემითა და მოწიწებით არის გამსჭვალული. იგი არც ერთი სიტყვით არ ადანაშაულებს არც მას და არც ზაქარია გაბაშვილს, მხოლოდ საკუთარ სისუსტესა და შეცდომებზე ლაპარაკობს [49. 96—99].

თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ ერეკლემ ანტონი კვლავ სამშობლოში მოიწვია და საკათალიკოსო ტახტზე დასვა. ამის შემდეგ ზაქარია გაბაშვილის გავლენა ძლიერ შეიკვეცა, რამაც იგი დიდად გააღიზიანა და ანტონის მიმართ ახალი მტრობა აღუძრა. შურისძიების მიზნით ზაქარიამ ანტონს კვლავ კათოლიკობაზე მიდრეკა დასწამა. ასე რომ, ჭირვეული და დაუდეგარი ზაქარია ხუცესი კვლავ იწყებს ბრძოლას ანტონის წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნისას ანტონმა, სხვა ნაშრომებთან ერთად, საქართველოში, ე. წ. „მოწყალეს თარგმანება“ გამოგზავნა. ეს იყო 50-ე ფსალმუნის ქართულად თარგმნილი ტექსტი. ზაქარიამ იგი საქართველოში გამოგზავნისთანავე აკრძალა, როგორც მწვალებლური ხასიათის ნაწარმოები და დააწვევინა. აღნიშნული „მოწყალეს თარგმანება“ გახდა მიზეზი, ერთი მხრით ანტონისა და მისი მომხრეების,

ხოლო მეორე მხრით ზაქარია ხუცესსა და მის შომხრეთა შორის ახალი შეტაკებისა.

ამ საქმესთან დაკავშირებით 1764 წ. 18 ოქტომბერს კათალიკოსის სადგომში მოიწვიეს საეკლესიო კრება, რომელსაც მეფე ერეკლეც ესწრებოდა. კრებამ ზაქარია ცილისმწამებლად სცნო, რადგანაც იგი მეფეს, კათალიკოზს, ეპისკოპოსებს, საეკლესიო კრებულს და წარჩინებულ პირებს მწვალებლებად აცხადებდა.

ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება ამ კრების „განჩინება და მსჯავრი სამოციქულო ზეიმისა საქართველოს მამამთავრისა ანტონის მიერ ეპისკოპოსთა სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს. პალატსა საკათალიკოზოსა კრებულთაგან ზაქარიასთვის ხუცისა და ვიეთთამე მიდგომითა მისთა ცხადად თრგუნველთა სჯულთა საღმრთოთა და მამათა კანონისათა“ [30. 166—168].

განჩინებიდან ჩანს, რომ განხეთქილების მოსპობის მიზნით მეფემ აკრძალა ზაქარიას მიერ უარყოფილ თხზულებაზე მსჯელობა და ამოიღო იგი ხმარებიდან. მაგრამ ზაქარიამ, თუმცა კათალიკოსის ხელიდან მიიღო ზიარება, ეკლესიიდან გამოსვლის შემდეგ მაინც არ გამოიცვალა თავისი აზრი და ძველებურად განაგრძო კათალიკოსის მხილება.

საეკლესიო კრებამ დაადგინა, რომ თუ დამნაშავენი გამოიცვლიდნენ თავიანთ მცდარ შეხედულებას და დანაშაულს მოინანიებდნენ, ყველანი თავის ძველ პრივილეგიებს დაიბრუნებდნენ.

ზაქარიამ არ ინება ცოდვების მონანიება და საქართველოდან რუსეთში გაიპარა 1767 წელს. ყიზლარში იგი სამღვდელოებამ მიიღო. ამიტომ მეფე ერეკლემ ყიზლარის ციხის კომენდანტს პოტაპოვს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „ხუცესი ვინმე, სახელით ზაქარია, ნათესავით გაბაშვილი ჩუენისა სამეფოსაგანო ბოროტ განმჰსჭელი და უკეთურსა ზედა გზასა დადგრომილი, მისმან უწმინდესობამან მამამთავარმან ჩვენმან და ეპისკოპოსთა სამეფოისა ჩუენისათა შეკრებით შეაჩუენეს და ყოველისაგან მადლისა განაშიშვლეს წელიწადსა ჩღიდ წელსა, თვესა ოქტომბერსა. იგ, ქალაქსა ტფილისსა და ოდეს იგი შეიჩუენა, მიერითგან უკეთურესთა საქმეთა მოქმედი წელიწადს ამას ჩღიზ გავაგდეთ სამეფოით ჩუენით და გვესმის, რომელ ყიზლარ ქალაქად მისრულ არს, რომლისა ჭეშმარიტი უწყებაი მოგართვათ თქუენსა მაღალზე აღმატებულსა, ნუ შეიწყნარებთ ამას ვითარცა ქრისტიანსა ამად, რომელ ყოვლისაგან ქრისტიანეთა მადლისა შიშუელ არს. მეფე ირაკლი“ [30. 174].

ამ წერილმა ზაქარიას საქმე გაუფუჭა და ამიტომ მან ასტრახანის მღვდელმთავარს თავის გასამართლებლად მოხსენება გაუგზავნა, სადაც ამხელდა ანტონს, როგორც მწვალებლურ 50-ე ფსალმუნის

შთარგმნელს, რომელიც მან დაწერა ჯერ კიდევ ვლადიმირში ეპისკოპოსად ყოფნის პერიოდში [30. 174]. ამ წერილს ხელს აწერდა ზაქარია და მისი მომხრე სასულიერო დასი. მათი დიდი რაოდენობა მოასწავებს, რომ ანტონს მრავალი მტერი ჰყოლია სამღვდელო პირთა შორის.

ასტრახანში ეპისკოპოსმა მეთოდემ თითონ ვერ გადაწყვიტა, როგორ მოქცეოდა ზაქარიას და ყოველივე მოახსენა უწმინდეს სინოდს. 1768 წ. ზაქარიამ დიდი გაჭირვებით მიაღწია პეტერბურგამდე და სინოდს წარუდგინა ანტონის ნათარგმნი ფსალმუნი, რასაც თან დაურთო თავისი საჩივარიც. [30. 176—178]. საჩივარი იმავე ხასიათისაა. ზაქარიას ტონი მოკლებულია წინანდელ მედიდურობას, მაგრამ ბრძოლის უნარი ჯერ კიდევ დაკარგული არა აქვს, საერთოდ, იგი სასულიერო პირისათვის სრულიად შეუფერებელ სალანძღავ სიტყვებს ხმარობს („კატის ომი"), მაშინ როდესაც ანტონს მოწინააღმდეგესთან ბრძოლის დროს ღირსეულად ეჭირა თავი. ზაქარიას საჩივარმა სინოდის წევრებზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა. მათ ზაქარიას ურჩიეს დაბრუნებულიყო სამშობლოში და ანტონ კათალიკოსისათვის შენდობა ეთხოვა [49. 37].

განკვეთილი და გაუბედურებული ზაქარია 1783 წლის 6 თებერვალს იმერეთში გარდაიცვალა.

ანტონ კათალიკოსი, როგორც ერეკლეს უახლოესი მრჩეველი, აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფო საქმეებში. რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ იგი დიდად უწყობდა ხელს რუსეთ-საქართველოს დაახლოების საქმეს. ამიტომ იგი მეფე ერეკლემ ლევან ბატონიშვილთან ერთად, დიდი ამალის თანხლებით 1772 წელს რუსეთში ელჩად გააგზავნა.

რუსეთში ცხოვრებისას ანტონმა აღმოაჩინა რუსეთი თავისი დიდი კულტურით, ევროპული განათლებითა და შესანიშნავი ლიტერატურით. იგი გატაცებული იყო რუსული სქოლასტიკური სასულიერო სწავლებით, რაც ადრე მისთვის უცნობი იყო, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ მან თბილისსა და თელავში გახსნა სასულიერო სემინარიები, სადაც სწავლება რუსული სქოლასტიკური სკოლების მაგალითისამებრ მიმდინარეობდა. სემინარიებში ასწავლიდნენ გრამატიკას, რიტორიკას, ფილოსოფიას და ღვთისმეტყველებას. სასწავლო პროგრამები შეთანხმებული იყო მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემიის პროგრამებთან.

ანტონმა საეკლესიო სასამართლოებიც რუსულ ყაიდაზე დიკასტერიას დაუმორჩილა.

1783 წლის ივნისში, რუსეთთან დადებული ტრაქტატის ძალით, ანტონს რუსეთის სინოდის წევრობა მიენიჭა. პატივმოყვარე ანტონი

დიდად კმაყოფილი დარჩა სინოდის გადაწყვეტილებით. ერთ-ერთ თავის ეპისტოლეში იგი სიამაყით წერს: „ჩემისა სინოდალნის ჩლენობა უბოძებიათ“.

1788 წლის 1 მარტს 68 წლის ანტონ კათალიკოსი გარდაიცვალა თბილისში და დაიკრძალა სვეტიცხოვლის ტაძარში.

ანტონ ბაგრატიონის მრავალმხრივი მოღვაწეობა მნიშვნელოვანი ეტაპია საქართველოს კულტურულ თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. თავისი უდიდესი ნიჭიერება, ცოდნა და დაუშრეტელი ენერგია მან დაუღალავად მოახმარა მშობლიური ერის წინსვლისა და კულტურული განვითარების საქმეს.

## §3. ლეონ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

ლევან, იგივე ლეონ ბატონიშვილი, დაიბადა 1756 წლის 9 თებერვალს. იგი უფროსი იყო დარეჯან დედოფლის ვაჟიშვილებს შორის. 18 წლისამ მდივანბეგ ქაიხოსრო ანდრონიკაშვილის[2] ქალზე — ელენეზე — იქორწინა[3]. ლევანი უაღრესად ნიჭიერი და უშრეტი ენერგიის ახალგაზრდა იყო. 16 წლის ყრმა ბატონიშვილი მამას მხარში ამოუდგა და ქვეყნის მართვა-გამგეობაში აქტიურად მონაწილეობდა.

---

2 ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი 1772 წ. მარტყოფისა და საგარეჯოს მოურავად იყო [2. 24].

3 ქავთარიას ცნობა, რომ ლევან ბატონიშვილის მეუღლე ჩოლოყაშვილის ქალი იყო, სახელად ნინა, სწორი არ არის (49.214).

ბატონიშვილი ლეონის მეუღლე მშვენიერი გარეგნობის ქალი ყოფილა. იგი ახლო ნათესავი იყო გიორგი ბატონიშვილის პირველი ცოლის ქეთევანისა, სწორედ ამ ქეთევანის გარიგებით შეურთავს ლევანს ელენე. ბატონიშვილს მეუღლე ძალიან ჰყვარებია, მაგრამ ელენე, ალექსანდრე ორბელიანის ცნობით, „ქარიანი“ და „მსუბუქი ჭკვის“ ქალი ყოფილა. მეფის სასახლეში ბევრს რაღაც სულელობას წამოროშავდა თურმე. „მეფე ირაკლი და დედოფალი დარეჯანი ისე არა სწუხდნენ იმის არეულს ხასიათისათვის, როგორც ბატონიშვილი გიორგი და ნამეტნავად იმისი ცოლი ქეთევან. თურმე ეტყოდა ბატონიშვილი გიორგი თავის ცოლსა... შენ ასეთი საქმე უყავ ჩემს ძმას ლევანს, რომ საუკუნოთ გააუბედურე იმ შენი ნათესავის შერთვით. — მართალს ბრძანებ, მაგისთვისა ჯოჯოხეთიც ცოტა არს ჩემთვის, ცრემლით მიუგებდა ისიც“.

ლევან ბატონიშვილის სიკვდილთან დაკავშრებული საქმის გამოძიების შემდეგ, ალექსანდრე ორბელიანის გადმოცემით, „მეფის ირაკლის საიდუმლოს მტრების მოწყალებით ლევან ბატონიშვილის ცოლი ზრდილობიანის მოქცევით სასახლიდან გაიყვანეს და ცალკე მისცეს ცხოვრება“ [29. 14—19]. ცხადია, რომ გამოძიებას ლევანის სიკვდილში მისი ქვრივის რაღაც, თუნდაც არაპირდაპირი, ბრალი აღმოუჩენია [86. 251]. ელენე ანდრონიკაშვილს ამის შემდეგ კარგახანს ავლაბარში უცხოვრია. გარიყული და ყველასაგან მოძულებული, იგი, მარტოობაში გარდაცვლილა, დაკრძალულია თბილისის ავლაბრის მთავარანგელოზის ეკლესიაში [29.17].

ამ მხრივ ვერც ერთი ძმა მას ვერ შეედრებოდა. ლევან ბატონიშვილის დის თეკლას ვაჟიშვილი, ცნობილი მწერალი ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი თავისი სახელოვანი ბიძის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: „ლევან ბატონიშვილი ასეთი კარგი რომ გამოსულა, რომ მართლა მარჯვენა მხარი მეფის ირაკლისა, თითქმის თავის მამას სჯობნებია, რომელსაცა სწორედ იმას ცოდნია თავის ქუეყნის მოვალეობა რა არის, იმის დროსა მეფე ირაკლიმ კარგად დააწყო საქართველოს საქმე, დიდი ანტონი კათალიკოზი რა რიგად ხელს უმართავდა იმათ, როგორ ეწეოდა იმათ და რა რიგათ წესიერად აწყობდნენ საქართველოს საქმეს — ეს სამი საკვირველი კაცი! ამ სამის კაცისაგან ეს ანბები რომ დაინახეს, გუარის ღირსება და ადგილების მოთაობაც შეეწეოდა იმათ, რომლებიც ყოველი წინააღმდეგნი წინააღმდეგობიდან მეფობის ერთგულებაში და მორჩილებაში მოვიდნენ. ეს სამი კაცი ასე გაძლიერდნენ საქართველოში, რომ სულ ხელში დაიპყრეს ყველა უფროსი ერთი ესენი სულ ერთად იყვნენ და ერთად არჩევდნენ საქართველოს საქმეს. მეფობის წინააღმდეგობას საქმით ვეღარავინ ვეღარ ივლებდნენ გულში, ასე შეკრეს ყუელა. მეფე ირაკლი ქუეყნის მართვას შეუდგა, ანტონი კათალიკოსი ეკლესიების საქმეს და ლევან ბატონიშვილი გარეშე მტერსა სწყლავდა“ [41. 11].

თექვსმეტი წლის ბატონიშვილი, ანტონ კათალიკოსთან ერთად, რუსეთში ელჩად გაიგზავნა. ობიექტური მიზეზების გამო, ელჩობა წარუმატებლად დამთავრდა, მაგრამ მაინც გარკვეული როლი შეასრულა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საქმეში. ახალგაზრდა ბატონიშვილი, ანტონ კათალიკოსის მსგავსად, თავიდანვე რუსული ორიენტაციის მომხრე იყო. ალექსანდრე ორბელიანი წერს, რომ გარდა საელჩო დავალებებისა, ანტონ კათალიკოსისა და ლეონ ბატონიშვილის მიზნები „ეკატერინა ხელმწიფის კარზედ“ ყოფნისას სხვა მიზნებსაც ითვალისწინებდა, კერძოდ: „შეიტყონ და გამოიკვლიონ იქაური დაწყობილება, როგორც ადმინისტრაცია, ისე მხედრობის რიგი, რომ იქაურის კვალობაზედ საქართველოშიც ისე დააწყონ“ [29. 11].

ამის უტყუარ დადასტურებას წარმოადგენს თუნდაც ის, რომ ასტრახანში ყოფნისას ლეონმა იქაურ გუბერნატორს პორუჩიკ ბეკეტოვს თხოვნით მიმართა, რათა იგი რუსეთის სამხედრო სამსახურში მიეღოთ. ბეკეტოვი ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრს პანინს 1773 წ. 22 იანვრის წერილში შემდეგს ატყობინებდა: „P. S. ქართველმა მეფის ძემ თავისი უმორჩილესი სურვილის შესახებ სიტყვიერი თხოვნით მომმართა, გახდეს ღირსი, რათა მიღებულ იქნას ჩვენი

უკეთილშობილესი ხელმწიფის სამსახურში, ამასთან გადმომცა ამ თავისი თხოვნის შესახებ თქვენი ბრწყინვალების მიმართ ქართულ ენაზე დაწერილი წერილი. თქვენგან ამაზე ნებართვის მისაღებად გამოვაგზავნეთ კურიერი. პასუხის მოლოდინში ზემოხსენებული წერილი ჩვენთან იქნა დაყოვნებული, რადგანაც მისი თხოვნა საკმაოდ თამამად მიგვაჩნია, რაც შემდეგ თქვენც დაადასტურეთ, მაგრამ, ამის მიუხედავად, მან შემდეგშიც არაერთხელ გაიმეორა თავისი სურვილი. ამდენად, უნდა დავასკვნათ, რომ როდესაც იგი თქვენი ბრწყინვალების წინაშე წარსდგება, თავის თხოვნას კვლავაც გაიმეორებს. ყოველივე ამის შემდეგ თავს მოვალედ ვთვლი წინასწარ შეგატყობინოთ ყოველივე, რათა მის თხოვნაზე უყოყმანოდ შეძლოთ პასუხის გაცემა მისი იმპერატორობითი დიდებულების სურვილის შესაბამისად" [12. 65]. ჩვენთვის უცნობია რა მიზეზით არ იქნა შეწყნარებული ლეონ ბატონიშვილის თხოვნა.

1772—1774 წწ. წარუმატებელი ელჩობის შემდეგ, საქართველო აღმოჩნდა გაღიზიანებული მაჰმადიანური სამყაროს გარემოცვაში. ასეთ პირობებში საჭირო იყო დიპლომატიური ლავირება სპარსეთსა და თურქეთს შორის. მათ შორის არსებულ წინააღმდეგობას ჯეროვნად იყენებდა მეფე ერეკლე, მაგრამ ლეკების გამუდმებული შემოსევების მოგერიება დიპლომატიური სვლებით შეუძლებელი იყო. ამიტომ საჭირო იყო საკუთარ მყარ სამხედრო ძალაზე დაყრდნობა. ასეთ რთულ ვითარებაში ლევან ბატონიშვილი გახდა მორიგე ჯარის შექმნის ინიციატორი. მორიგე ჯარი საგრძნობლად აძლიერებდა მეფის ხელისუფლებას. მისი არსი შემდეგში მდგომარეობდა: ქართლ-კახეთის მამაკაცი მოსახლეობის აღწერის შედეგად დაწესდა, რომ ლაშქრობის შემძლე ყოველი მამაკაცი წელიწადში ერთი თვის განმავლობაში სალაშქროდ უნდა გამოსულიყო. თითოეული მოლაშქრე თავისი ხარჯით მოდიოდა. ამის სამაგიეროდ მეფემ ქართლ-კახეთის გლეხობა სასურსათო გადასახადისაგან გაათავისუფლა. მორიგეს იარაღიც საკუთარი უნდა ჰქონოდა. მორიგე ლაშქარში გლეხების უკლებლად გამოცხადებაზე სოფლის მებატონე და მოხელე იყვნენ პასუხისმგებელნი. ბატონი მოვალე იყო მორიგედ მიმავალი გლეხი ყველაფრით მოემარაგებინა, თუ ამ უკანასკნელს საკუთარი სახსარი არ ჰქონდა. მორიგე ლაშქარი ცალკეულ ერთეულებად იყოფოდა, რომლებსაც მეფის მიერ დანიშნული მეთაურები, ასისთავნი, ხუთასისთავნი და ათასისთავნი მეთაურობდნენ. პირველ ხანებში მორიგეში ყოველ თვიურად ხუთასი ათასი მეომარი გამოდიოდა. მორიგეში სამსახურის საფასურს ხაზინა იხდიდა. ლაშქარში იყვნენ ცხენოსანი და ქვეითი მეომრები. წელიწადში თითო თვე მორიგე ჯარში თვით მეფე და მისი ვაჟებიც მსახურობდნენ [59. 286]. მორიგეში სამსახუ-

რომლებსაც ლეკების გადმოსასვლელი გზები ეჭირათ, და აგრეთვე ვაჭარ-ხელოსნები.

მორიგე ლაშქრის წყალობით ლევან ბატონიშვილი დიდი წარმატებით იგერიებდა ლეკთა შემოსევებს. მეფე ერეკლეს ისტორიკოსი რომან ხერხეულიძე წერდა მის შესახებ: „... გარნა ჩვეულნი იგი ლეკნი არა დაცხრებოდნენ რბევასა ქართლისასა, არამედ მოჰსცა ღმერთმან მეფესა ირაკლის ძე ერთი სახელად ლეონ, რომელიცა ემსგავსა მამასა თვისსა სიმხნითა და მრავალგზის შემუსრნა მან ლეკნი და მოსპო ამან ლეონ ხშირად რბევა ქართლისა ლეკთაგან და ეგრეთვე განაწესა მეფემან ირაკლი მორიგე ქართლ-კახეთით...“ [47. 496].

ქვეყანა თანდათან ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდა, მიტოვებული სოფლები კვლავ გაშენდა. ხალხმა ციხე-გალავნები დატოვა და მშვიდობიან საქმიანობას შეუდგა [25. 397].

ლევან ბატონიშვილის პიროვნების დასახასიათებლად მოგვყავს ორი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან. მათ შესახებ მოგვითხრობს მისი დისშვილი ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი. ეს ცნობები იმდენად არის ძვირფასი ჩვენთვის, რამდენადაც მისი ცხოვრების შესახებ ძალიან ძუნწი ცნობები მოგვეპოვება.

ალ. ორბელიანის წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, ამიტომ მთლიანად მოგვყავს შესაბამისი ადგილები: „ბატონიშვილი ლევან სამშაფათის აბანოში იყო რამდენსამე არჩეულის ამალითა (მეტი კარგი ამალა ჰყოლია, ორი ათასამდე რჩეული ქართული ცხენოსანი მორთულნი ბედაურის ცხენებით და თავდადებულნი ვაჟკაცნი სულ თავისი ხნის ყმაწვილი კაცები). ამ დროს მეფე ერეკლეს კაცი მოუვიდა: საგურამოს ტყიდან ლეკის ჯარი წამოვიდა, ავჭალაზე მოდიან, უნდა წაახდინონ. ლევან მაშინვე გამოვიდა, იმის ამალაც თან გამოჰყუა და სირბილით კუკიაში მივიდნენ ცხენები და იარაღი მოართუეს, რომლებიცა სულერთიან და საჩქაროდ გასწიეს. რა გლდანისა მხარეს გავიდნენ, იქ ექუსასი ლეკი დაინახეს ავჭალაზე მომაუალი ექვსის ბაირახით. ბატონიშვილმა ლევან ბრძანა მამაჩემის მეფის ბაირახი გაშალეთო (როდესაც ლევან მოესწრა, მეფე ირაკლიმ თავისი ბაირახი იმას გადასცა) და მეფის ირაკლის ბაირახი რომ დაინახა, დაიძახა, ერეკლე აქ არისო. ამასობაში ქართუელები კიდეც დაერივნენ. გამარჯვებულებმა ბევრის ტყუეებითა ქალაქი შემოიარეს. დიდი და პატარა ბატონიშვილი ლევანის დღეგრძელობას ღმერთს სთხოვდნენ“ [42. 11].

კიდევ ერთი ეპიზოდი: „გორიდან წამოსული მეფე ირაკლი მოეშურებოდა ოცის ცხენოსნის კაცით. საჩქაროთ ქალაქში ჩამოსულიყო. ამ დროს როდესაც ჭალას დაუახლოვდნენ, ორი ბაირახის ლეკი გამოვიდა ტყიდგან და ამათზე წამოვიდნენ მინდურად. ლევან ბა-

ტონიშვილიც იმ დროს იქ ხლებია მამას და ოთხი ზაალიც თანა. თავადი ზაალ ენდრონიკაშვილი (კუზიანი), თავადი ზაალ ბარათაშვილი (დიანბეგი), თავადი ზაალ მაჩაბელი (ბოროტი) და თავადი ზაალ ორბელიანი (ყაფლანიშვილი). თურმე მეფე ირაკლი იტყოდა ამ ოთხის ზაალისას: ოთხი ზაალი ჩემთან რომ იყოს, ოთხი ათას მტერსა არ დავერიდებიო. ასეთი გულოვანი ვაჟკაცნი ყოფილან ეს ოთხნი, მაგრამ ბოლოს ზაალს ორბელიანს მეფის ირაკლის ღალატი შემჩნევია, რომელსაც დაუჭერინებია და კარგა ხანი ხუნდ ქვუეშ ჰყოლია დაჭერილი... ესენი დამდგარან და რჩევა უკითხამს მეფეს, რა ვქნათო? ზოგს რა უთქვამს და ზოგს რა. მასუკან ლევანისათვის უკითხამს შენ რაღას იტყვიო. იმას მოუხსენებია: თუ თქუენ აქა არა ბრძანდებოდეთ, მე ვიცი რასაც ვიქმნდი, მაგრამ თქუენ რომ აქა ბრძანდებით, მე აღარა მეთქმის რა. მეფემ მეტის სიამოვნებით გაიცინა და მიუბრუნდა იმათ. „ამ წუნკლებზედ თოფი რომ გავცალოთ სირცხვილი არ არის ჩვენთვის“? ახლავ ჩახმახიდან წამალი გადაუყარეთ თოფებს. მაშინვ გადაუყარეს. ამასთანავე დაისუეს ხმლებს ხელი და შუა ლეკებში დაეძგერნენ, რომელთაცა იმ წამსვე მოშალეს იმათი დასი და წინ წაიყარეს. მეტი გაიქცა, ტყეში შეცვივდნენ, ზოგი დახოცეს, ზოგი ტყუედ წაიყვანეს და გამარჯვებულნი წამოვიდნენ [42. 11].

1772—1774 წწ. ელჩობის შემდეგ რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებულ ლევან ბატონიშვილს მეფე ერეკლემ არაგვის საერისთავო ჩააბარა სამართავად (ლევანის გარდაცვალების შემდეგ ეს თანამდებობა მის ძმას ვახტანგ ერეკლეს ძეს გადაეცა).

XVIII ს. მეორე ნახევრისთვის როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში დაიწყო სოფლის მეურნეობის ვაჭრობისა და მრეწველობის აღორძინება. წინა პერიოდთან შედარებით დაცხრა შინაფეოდალური შუღლი და მტრობა. ბოლო მოეღო თურქეთის აგრესიულ პოლიტიკას იმერეთში და იმერეთის სამეფოც დაადგა შედარებით „მშვიდობიანი“ განვითარების გზას.

აღნიშნულ პერიოდში ინტენსიურად ვითარდებოდა ძველთაგანვე არსებული მჭიდრო ეკონომიკური კონტაქტები, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობა აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს შორის, რასაც ხელს უწყობდა როგორც ერეკლე II თავისი დასით, ასევე სოლომონ I. წამყვანი როლი ამ ურთიერთობაში, რომელიც დამყარებული იყო მთელი საქართველოს სრული გაერთიანების ტენდენციაზე, ქართლ-კახეთს ეკუთვნოდა, რასაც ეთანხმებოდა დასავლეთ საქართველოც, განსაკუთრებით კი საზოგადოების მოწინავე ნაწილი სოლომონ I-ის თაოსნობით.

ერეკლე II იყო რა მომხრე ამიერკავკასიის და ახლო აღმოსავლეთის ბაზრებზე სომხური და ევროპული ბურჟუაზიის თავისუფა-

ლი კონკურენციისა, ცდილობდა გამოეყენებინა ორივე პროგრესული ეკონომიკური ძალა საქართველოს სრული გაერთიანებისათვის, ერთპიროვნული ხელმწიფის სკიპტრის ქვეშ. მისი მიზანი იყო თავი ეს და ეს ვით აღმაშენებლის „დიადემით“ დაემშვენებინა, ანდა „რუსეთის იმპერატრიცას მიერ ბოძებული“ გვირგვინით, შემდეგ კი ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტი ეანდერძა ლევან ბატონიშვილისათვის. აი, ასეთი დიდი მისიისთვის ამზადებდა ლევან ბატონიშვილს მისი სახელოვანი მამა.

აღნიშნული მისიის მიღწევაში ერეკლე II არა მხოლოდ თავისი თანამემამულე თავადაზნაურთა მხარდაჭერით სარგებლობდა, არამედ გამოჩენილი სომეხი (შ. შაამირიანის, საიათნოვას) და აზერბაიჯანელი (ვაგიფისა და ვადადის), ასევე საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა მხარდაჭერითაც [69. 62].

რეაქციული თავადაზნაურობა, რომელიც მუდმივ წინააღმდეგობას უწევდა მეფე ერეკლეს მის საქმიანობაში, ახალგაზრდა ბატონიშვილის სახით მისი საქმის ბრწყინვალე გამგრძელებელს ხედავდა, ამიტომაც ასე ვერაგულად ჩამოიცილეს გზიდან: 1782 წლის გაზაფხულზე ლევანი მოწამლეს.

მისი დალუპვის ირგვლივ სხვადასხვა ვერსია არსებობს. სომეხი კათალიკოსის გუკასის ცნობით, „... თითქოს ერთ-ერთი სოფლიდან ლეკებმა მოიპარეს ცხენები და გლეხები დაარბიეს. როდესაც ეს ამბავი თბილისში შეიტყვეს, გულადი მეფის ძე ლეონი მცირერიცხოვანი რაზმით დაედევნა მათ, მოუსწრო და ხელჩართული ბრძოლა გაუმართა. ლევან მირზა ისე შორს წავიდა წინ, რომ ერთ-ერთმა მოწინააღმდეგემ იგი თოფით მოკლა“ [49. 214].

მეორე ვერსიაც არ შეესაბამება სინამდვილეს. იგი რომანტიკული ელფერითაა შელამაზებული, თუმცა ტრაგედიის მოქმედი პირები სინამდვილიდან არიან აღებული. მოგვყავს ეს ვერსიაც:

ლევანი მიპატიჟებული ყოფილა ქორწილში, სოფ. ვეჯინში, აბაშიძე იოანე ქეშიქჩიბაშის ოჯახში. აქ იგი ეტრფიალა ასათ ვაჩნაძის ახალგაზრდა მეუღლეს. ქალი ქორწილიდან გააპარეს ს. კარდანახში, სადაც ფეხდაფეხ მიჰყვა ბატონიშვილი ლევანიც. ქალმა შეურაცხყოფა ვერ აიტანა და დანა აძგერა მუცელში. დაჭრილი ბატონიშვილი იმწამსვე ვეჯინში მიბრუნდა უვახშმოდ დაიძინა აბაშიძეების კოშკში, სადაც იმ ღამესვე გარდაიცვალა [90].

როგორც ჩანს, ლევან ბატონიშვილი ხანჯლით არ მოუკლავთ. იგი მოწამლეს, რასაც ააშკარავებს ალექსანდრე ორბელიანის მონათხრობი: „... მაშინდელმა მეფის ირაკლის ოჯახის მტრებმა... ხმები დაყარეს, ლევან ბატონიშვილზედ მისწრობია ერთი კაცი და იმ კაცსა თავის ცოლზედ ხანჯლით გაუგმირიაო ლევან. ეს ამბავი მაშინვე

მეფეს ირაკლის მოხსენდა, რომელმცა აღარც თვითონ და აღარც სხვები აგლოვა, უბრძანა აქ ტფილისში ჩამოიტანეთ იმისი გვამიო... რომელიცა მოასვენეს დარიის ეკლესიაში... ამის მეორე დილაზედ სასულიერო წოდება, ბატონიშვილები, დიდრონი კაცები და თვით მეფე ირაკლი ავლაბარში წასასვლელად რომ ემზადებოდნენ. იმათში ბრძანა მრისხანედ მეფემ. თუ მართლა ჩემი შვილი ლევან ხანჯლით განგმირულია დედაკაცზე ქმრისაგან, ჭეშმარიტებას ვფიცავ, სახალხოდ ვათრევინებო. ამასთანავე გამოვიდნენ და ცხენებით გაეშურნენ ავლაბრისკენ, მაგრამ დიდად დაღონებულები. იმ ლევანის სიკვდილს ხომ აღარ სწუხდნენ, იმას სწუხდნენ, უთუოდ ათრევინებს და საგანგაშო შეიქმნება ყოველს ქვეყანაშიო.

როდესაც მოვიდნენ და ეკლესიაში შევიდნენ, უბრძანა: ეგ ცხედარი კარზედ გაიტანეთო. გაიტანეს და იქ სრულიად ცხედრის გატიტვლება უბრძანა. როდესაც რომ გაატიტვლეს, კიდევ უბრძანა კარგად გაჩხრიკეთ, რომელ ადგილას არის განგმირულიო და თითონ თავზედ დაადგა. კარგა ხანს ჩხრიკეს, მაგრამ არსად არა იყო რა, მხოლოდ იმის მეტი, რომ მთელი სხეული ძალიან გალურჯებული ჰქონდა და სიშავე დასცემოდა. მაშინ მეფე ირაკლიმ დაუჩოქა და როგორც რიგი იყო მოთქმით ტირილს მოჰყვა [29. 19]. ალექსანდრე ორბელიანის დოკუმენტური სიზუსტით გადმოცემული მონათხრობი ეჭვს არ იწვევს.

ლევანის მკვლელობის მიზეზი შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ხსენებულმა ასათ ვაჩნაძემ ბატონიშვილი წინასწარი განზრახვით მოაკვლევინა ვინმე შერმაზან აფხაზის ყმებს, რომელთაც, მოკლეს რა თავისი შემაწუხებელი ბატონი მკვლელობის დაფარვის მიზნით, ასათ ვაჩნაძის ჩაგონებით, გამოაცხადეს, თითქოს ლევან ბატონიშვილი შერმაზან აფხაზმა მოწამლა, ჩვენ კი ამისათვის ვიძიეთ მასზე შურიო. ამ საქმის გამოძიება დაევალა ქართლ-კახეთის სამეფოს უმაღლეს სასამართლო კრებას. კრების განჩინება მთლიანად გამოქვეყნებულია და თავისთავად მეტად საინტერესო იურიდიულ დოკუმენტს წარმოადგენს [29. 251—255].

საბუთში ნათქვამია, რომ აფხაზიშვილის ყმები ლეონ ბატონიშვილის მკვლელად აცხადებდნენ თავიანთ ბატონს შერმაზან აფხაზს. და თითქოს მათ ლეონ ბატონიშვილის მოკვლისათვის თვით იძიეს შური თავიანთ ბატონზე და მოკლეს იგი. სინამდვილეში გამოძიებამ გამოარკვია, რომ მათ ანგარიში გაასწორეს თავიანთ ბატონთან და საკუთარი დანაშაულის დაფარვის მიზნით, ბატონიშვილის მკვლელობა მათ მიერვე მოკლულ ბატონს დააბრალეს. მაგრამ გაირკვა, რომ აფხაზიშვილი ლეონის სიკვდილის შემდეგ მთელი 40 დღე ცოცხალი იყო. თუ იგი ნამდვილად ლეონის მკვლელი იყო რატომ მისმა ყმებმა ეს

ადრევე არ აცნობეს მეფეს. მაშინ ხომ მათი ბატონი მეფისაგან სამაგალითოდ დაისჯებოდა, ისინი კი წყალობას მიიღებდნენ ერთგულებისათვის. ამასთან ყველაფერი, რითაც აფხაზიშვილის ყმები შერმაზინის დანაშაულის დამტკიცებას ცდილობდნენ, ბატონიშვილის შინაყმების ჩვენებით ყალბი აღმოჩნდა. ამგვარად, გამოძიებით დადასტურდა, რომ შერმაზან აფხაზი ბატონიშვილის მკვლელობაში უდანაშაულო იყო.

ამ საბუთს ხელს აწერენ: 9 დიამბეგი, სამეფო ოჯახის წევრები და სამღვდელოება კათალიკოსის მეთაურობით.

თავადმა ასათ ვაჩნაძემ ბატონიშვილ ლევანის დასაღუპავად ვაჩნაძეებსა და აფხაზიშვილებს შორის ჯერ კიდევ XVII საუკუნიდან არსებული მტრობა გამოიყენა. მტრობის მიზეზი შემდეგში მდგომარეობდა: ოსმალების მიერ აფხაზეთის დამორჩილებისას, ოსმალებისავე ნებით, აქ დადიანებს გაუვრცელებიათ თავისი ბატონობა. ამის შედეგად შერვაშიძეების სახლის ერთ-ერთ წარმომადგენელს თავი კახეთისათვის შეუფარებია, სადაც მეფისაგან ბოძებია ერთ-ერთი ამოწყვეტილი ვაჩნაძის მამული სოფელ კარდანახში. ამის შემდგომ ამ ორ გვარეულობას შორის გაუთავებელი მტრობა ჩამოვარდნილა.

ასათ ვაჩნაძემაც სწორედ ეს მტრობა გამოიყენა მიზეზად და ლევანის მკვლელობა თავის მოსისხლე მტერს შერმაზან აფხაზს გადააბრალა, რომელიც ადვილად გაიმეტა სასიკვდილოდ [90].

ამგვარად, 26 წლის ბატონიშვილი ლევანი ფეოდალური შუღლის მსხვერპლი გახდა. ამასთან დაკავშირებით ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე შემდეგს წერს: „... ოდეს ლეკნი აღსიხის (ახალციხის) მხრით ავაზაკობდნენ, ჟამსა მოიწია უბადრუკობა და გარდაიცვალა ძე ირაკლი მეფისა ლეონ და ოდეს მოესმა აღსიხის ფაშას სულეიმანს, მაშინ სთქვა ფაშამან. „მოხუცების ჟამსა მეფეს ირაკლისსა ერთი ფარდა აქვნდა საქართველოს, რომელიცა ოთხ კერძოვე იგურდივ იფარებდა და აწ დიდი შემწე მოეშალა ირაკლი მეფესაო. ჰსთქვა ესე და უმეტესად განიგულვა ქართლის ოხრობა“... [47. 257].

ანტონ კათალიკოსმა მწარედ დაიტირა ლეონი. ლეონის სიკვდილით მან დაკარგა უახლოესი თანამოაზრე და მის მიერ ჩაფიქრებული სახელმწიფოებრივი გარდაქმნების მომავალი შემსრულებელი. მოსკოვში მცხოვრებ თავის ბიძაშვილს, ანა ქაიხოსროს ასულს იგი წერდა: „... ჩემი მრავალ ყოვლად შუენიერ ყვავილოვანი წალკოტი და ყოვლად უსატრფიალოესი კვიპაროზი ლეონ მომცილდა... განქრა ყოვლად გასაკვირვებელი იგი სიმხნე, საბავთო იქმნა ყოვლად სამუღაბნო იგი სიჭაბუკე, აღივსო გლოვითა ყოვლად სახარულოვანი იგი სასძლო, მწუხარებამან დაუპყრობელმან მოიცვა უმაღლესი იგი პა-

ლატი მშობელთა და ამით დასცხრა სიხარული იგი ჩემისა აქაი საცხოვრებისა". ამავე წერილში იგი იძლევა ლეონის შესანიშნავ დახასიათებას: „ლეონ ნიადაგ განსაკვირვებელსა შინა წარმატებასა ადამატებოდა. თვითოსა შინა წელიწადსა მტერთა ზედა მრავალჯერ ძლევით იდიდა. ვჰგონებ, რომ ამისთანა ყმაწვილი ამ ქუეყანაში არ ნახულ იყოს ცხენოსნობასა შინა, არცა სიმხნესა და მამაცობასა, არცა გონიერებასა შინა და თვისისა მამისა და სახლისა და ქუეყნის სამჯობინოროსა გამორჩევასა შინა, არათუ ყოველს წელიწადს ოდენ, ითქმის რომ ყოველს თუეს უმჯობინობასა შინა აღვდოდა, დაღესტანს შინა ერთმანეთს ეუბნებოდიან: ერეკლე აღარ დაბერდებაო, ასეთი სხუა ერეკლე გამოჩნდაო, რომ ერეკლეს წინააღმდეგობა აღარავის შეუძლიაო, აქამდის ერთი იყო და ახლა ორი ერეკლე არისო. ამაზედ დიდად განკვირვებულ ვარ, რომ ამ შვიდს რუას წელიწადში რამდენჯერ ვნახავდი, ვხედავდი, რომ თავის მამის სახლისა და თავისის ქუეყნის სამჯობინაროს სიკეთე დღითი-დღე ლეონს ემატებოდა. ასე მოიხსენე ჩემგან, რომ ლეონს მწუხარება და გლოვა ჯერ არ მოჰკლებია. ღმერთმან ისე დღეგრძელობა მოგცეთ თქუნცა და ამათაც, როგორც კმა სამყოფი შვილები ვაჟი-კაცები თუ ყმაწვილები ამათ დარჩათ თავე/ან/-თი საკადრისნი და თავიანთ სახლისა და ქვეყნის გამოსადეგნი, მაგრამ ლეონის სიკვდილის მუღაბანობას ვეღარას მოგახსენებ, დუმილის მეტი აღარა გაეწყობა რა" [49. 117—118].

ლევან ბატონიშვილის მოულოდნელი სიკვდილით დიდი ზიანი მოუვიდა მის მიერ ორგანიზებული მორიგე ლაშქარს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ლაშქარი ბრძანებით არასდროს არ გაუქმებულა, თავადებმა თანდათანობით მოახერხეს მისი შესუსტება და ბოლოს სრული გაუქმება. სხვა ბატონიშვილები მის ორგანიზაციაზე არ ზრუნავდნენ. საქმე თანდათან ანგარებიან მოხელეებს ჩაუვარდათ ხელში, რომელთაც იგი საკუთარი გამდიდრების წყაროდ აქციეს. ქრთამის გაღებით ესა თუ ის მებატონე სულ უფრო და უფრო ადვილად აღწევდა თავს მორიგე ლაშქარს. ამიტომ მორიგეთა რიცხვმა თანდათან იკლო და ბოლოს სულ გაქრა. მორიგე ჯარის გაუქმება მეფე ერეკლეს პოლიტიკის უდიდესი მარცხი იყო.

ანტონ კათალიკოსი მოსკოვში თავის ბიძაშვილს ანა ქაიხოსროს ასულს წერდა, რომ მეფე ერეკლეს ბრძანებით ლეონ ბატონიშვილი ანჩისხატის ეკლესიაში დაკრძალეს „... ჩემის მწუხარების უძნელესობას მოგახსენებ — წერს იგი, რომ მეფემ ინება და აქ, სადაც მე ვცხოვრობ, ამ ჩემს ეკლესიაში დადუეს ლეონ და ლეონის განმხრწნელს საფლავს ნიადაგ თუალით ვუყურებ. ჩემი სიცოცხლე წაიღო ამ მწუხარებამ" [49. 117. 118].

პატრიარქის საცხოვრებელი სახლი იმხანად ანჩისხატის ეკლესიის ეზოში იყო [49. 117—118].

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ჩანს, ბატონიშვილი ლეონი დაკრძალეს ან თვით ანჩისხატის ეკლესიაში, ანდა კათალიკოსის მიერ, თავის სახლთან, ზედ მტკვრის პირზე აგებულ მცხეთის ჯვრის სახელობის პატარა ეკლესიაში, რომელიც 1795 წ. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად დაინგრა. ამ საყდრის ნანგრევებზე უკვე 1797 წელს მღვდელმონაზონმა გენადიმ ააშენა ორი ოთახი, რომელიც 1808 წლიდან მღვდელმონაზონ ათანასი ბიბილურის კუთვნილება იყო.

ჩვენი აზრით, ლეონი თავიდანვე ამ პატარა ეკლესიაში, რომც ყოფილიყო დაკრძალული, 1797 წელს ეკლესიის ნანგრევებზე ზემოხსენებული ორი ოთახის აგებისას მის ნეშტს, უთუოდ, ანჩისხატში გადმოასვენებდნენ.

## § 4. 1772—1774 წწ. ელჩობის მიმდინარეობა

1768—1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დასასრულის მოახლოება მეფე ერეკლემ და საქართველოს იმდროინდელმა მესვეურებმა ხელსაყრელ მომენტად მიიჩნევს და რუსეთის საიმპერატორო კარზე საგანგებო ელჩობა გაგზავნეს.

ელჩებს იმპერატორისათვის უნდა წარედგინათ ხელშეკრულების პროექტი, რომლის ძალითაც იურიდიულად უნდა გაფორმებულიყო საქართველოს რუსეთის მიერ მფარველობა.

ამ საპატიო და პასუხსაგები მისიის შესრულება წილად ხვდათ იმდროინდელი საქართველოს ყველაზე წარჩინებულსა და გავლენიან პირებს — ანტონ კათალიკოსსა და სრულიად ახალგაზრდა, 16 წლის ნიჭიერ და ენერგიულ ლეონ ერეკლეს ძეს.

როგორც საბუთებიდან ირკვევა, ელჩობის სამზადისი 1771 წლის დასასრულს დაწყებულა. საბუთების დიდი უმრავლესობა, რომლებიც ელჩებმა თან წაიღეს რუსეთში (ხელშეკრულების პროექტი და ოფიციალური წერილები) 1771 წლის 29—30 დეკემბრით თარიღდება.

ელჩობის ხელმძღვანელად მეფე ერეკლემ ანტონ კათალიკოსი დანიშნა. ამიტომ იგი ელჩობასთან დაკავშირებულ წარდგინებებსა და წერილებში თავდაპირველად კათალიკოსს ახსენებს, ხოლო შემდეგ ლეონ ბატონიშვილს. მიუხედავად ამისა, რუსეთში ჩასულ ელჩებს შორის მეფის მთავრობა უპირატესობას 16 წლის ბატონიშვილს ანიჭებდა. ამიტომ ელჩების მიმართ დაწერილ საბუთებში თავდაპირველად მიმართავენ ჯერ მას, ხოლო შემდეგ ანტონ კათალიკოსს.

ჩვენი აზრით, ანტონის მიმართ ასეთი დამოკიდებულება გამოწვეული იყო ერთგვარი უნდობლობით, რომელსაც მეფის მთავრობა მის მიმართ იჩენდა, როგორც ქართლის ბაგრატიონთა წარმომადგენლის მიმართ, რომელიც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ქართლ-კახეთის მეფეთა ამ მოწინააღმდეგე ბანაკის აქტიურ წევრად ითვლებოდა. საფიქრებელია რომ, რუსეთის საიმპერატორო კარზე ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ ათანასე ამილახვარსა და სიმონ მაყაშვილს შორის მომხდარი კონფლიქტი და, რომ ამგვარი ფაქტი კვლავ აღარ განმეორებულიყო, საქმიანი ურთიერთობა უშუალოდ კახელი ბაგრატიონების წარმომადგენელთან დაამყარეს. ამ მხრივ საინტერესოა ასტრახანში ჩასული ელჩებისა და მათი ამალის ხარჯების ნუსხაც, სადაც ლეონი და მისი მხლებლები პირველ რიგში მოიხსენებიან, ხოლო ანტონ კათალიკოსის სახელის გასწვრივ განსხვავებული, გაკრული ხელით მიწერილია: „განდევნილ იყო საქართველოდან ერეკლეს მამის მიერ და რამდენიმე წელიწადი ვლადიმირის ეპარქიაში გაატარა“ [12. 53—54].

ელჩებს საქართველოდან 60-კაციანი ამალა გაჰყვა. მაგრამ ასტრახანში ჩასულებს პეტერბურგში გამგზავრების წინ წინადადება მიეცათ, რათა ამალის რიცხვი 20-კაცამდე შეემცირებინათ. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ელჩს ამალაში 10—10 კაცი ჰყავდა,. მათთვის სახარჯოდ გაღებული თანხა დიდად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან: მეფის ძეს და მის ამალას 96 მან. და 90 კაპ. გამოეყო, ხოლო კათალიკოსსა და მის კრებულს — 57 მან. 60 კაპ. გადაეცა.

რაღა თქმა უნდა, ანტონის პატივმოყვარეობა საკმაოდ შელახული იყო, მაგრამ მან ეს არ შეიმჩნია და ამჯერად ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ინტერესების აქტიურ დამცველად მოგვევლინა. ელჩობის გამგზავრება მეფე ერეკლემ საქართველოში რუსეთის სამეფო კარის რწმუნებულის — ლვოვის ჩაგონებით გადაწყვიტა. თ. ჟორდანიას ცნობით: „1771 წ. 29 სექტემბრისთვის ერეკლემ რუსეთში გაისტუმრა ლევან ბატონიშვილი და ანტონ კათალიკოსი იმპერატრიცა ეკატერინესთან მფარველობის სათხოვნელად, ლვოვის ჩაგონებით, თან გაატანა ქაიხოსრო მდივანბეგი ენდრონიკაშვილი, სულხან მდივანი ბეგთაბეგიშვილი, დეკანოზი სოლომონ ალექსის ძე მესხი და სხვა“ [43. 395].

ამასვე მოწმობს 1771 წლის 19 დეკემბრით დათარიღებული მეფე ერეკლეს წერილიც რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის მინისტრ გრაფ ნიკიტა ჰანინისადმი, სადაც იგი წერს: „... და ვინათგან ჩემის სიყრმითგან მსუროდა ყოვლად დიდებულის რუსეთის დიდის მონარ-

ხიის თაყვანისცემა და ჩემი და ჩემი სამეფოებისა შემოვედრება საფარველსა შინა დიდებულებისა მათისასა, მაგრამ ჩუენის ქვეყნის ვითარება და მეზობლებისა ჩემისა ზოგისა რომელსამე სიავემ და მიზეზმა ამისი თავისუფლება არ მამცა, ჩემად მაგიერად წარმოვგზავნე ძმა ჩემი უწმინდესი და ძე ჩემი ლეონ, ყოვლად დიდებულისა მონარხისა მონანი, და ყოველნი აქაურნი და ამა მხრის საქმენი, და წიგნიცა იგი, რომელიცა მოგუცა ლვოვმა კაპიტანმა, ყოველივე მიერთმის უმაღლესსა კარსა" [75. 78—79].

ამგვარად, საბუთების მიხედვით დგინდება ლვოვის აქტიური მონაწილეობა ელჩობის მომზადების საქმეში. ამიტომ სრულიად მოულოდნელია, რომ 1772 წლის 30 იანვარს პანინისადმი მიწერილ წერილში იგი თითქოს თავს იმართლებდა მის წინაშე და წერდა, რომ როდესაც ერეკლე II რუსეთში ელჩობას ამგზავრებდა იმ დროს თითქოს იგი (ლვოვი) იმერეთში იმყოფებოდა, არაფერი იცოდა მეფის ამ გადაწყვეტილების შესახებ და ამ მიზეზის გამო რუსეთის სამეფო კარს წინასწარ ვერაფერი შეატყობინა (74.334).

ლვოვი, როგორც ჩანს, მიხვდა, ანდა მას უბრალოდ გააგებინეს, რომ თავისი მთავრობის დაუკითხავად ამ საქმეში არ უნდა ჩარეულიყო. ამიტომაც ოფიციალურ წერილში ზემოაღნიშნული ახსნა-განმარტება მისცა რუსეთის უპირველეს მინისტრს, რათა ამ საქმეში თავისი მონაწილეობა დაეფარა.

ელჩების გამგზავრების დღე ზუსტად არ არის ცნობილი. საბუთებიდან ირკვევა, რომ ისინი 1772 წლის იანვრის პირველ რიცხვებში გამგზავრებულან საქართველოდან [75. 88].

მეფე ერეკლე ოფიციალურ წერილში, რომელიც „სათხოვარ პუნქტებთან" ერთად თავის ელჩებს გაატანა, იმპერატრიცა ეკატერინე II-ს წერდა: „აჰა წარმოივლინენ ჩემგან დიდებულებისა თქუენისა ჩემი ძმა კათალიკოზი და ძე ჩემი ლეონ, რათამცა მოართვან დიდებულებასა თქუენსა წერილი, რომელნიც ჩემგან და ჩემისა სამეფოს ქვეყნისაგან შეიძლება სამსახურისა აღთქმა, და აგრეთვე თქუენის იმპერატორების დიდებულებისაგან ითხოონ წყალობა" [75. 80—81]. წარადგენდა რა რუსეთის საიმპერატორო კარზე „სათხოვარ პუნქტებს", მეფე ერეკლემ კარგად იცოდა, რომ მარტო ერთმორწმუნეობისათვის მფარველობასა და დახმარებას ვერ მიიღებდა. საჭირო იყო უფრო არსებითი რამ, რაც რუსეთის სამეფო კარს დაინტერესებდა.

ამიტომ „სათხოვარი პუნქტებიც“[4] ამის გათვალისწინებით იქნა შედგენილი [13. 111—112].

უპირველესად ყოვლისა, მეფე ერეკლე ითხოვდა: „... იმ პერატორობის დიდებულებისაგან... რომელ განვთავისუფლდეთ აწვე წარმართთაგან და როგორც უკაზით ებრძანა მეფესა ჩვენსა საქართველოსი მფარველობასა შინა თვისისა დიდებულებისასა მიღება, რომ ბრძანებული ესე აღსრულდესო“. მეფე ერეკლე ეკატერინე II-ისადმი მიწერილ წერილშიც ახსენებდა მას რუსეთის მეფეთაგან საქართველოსათვის ადრე მოცემულ პირობას მფარველობის გაწევის შესახებ. ამასთან დაკავშირებით წერილში ნათქვამია: „... მოწყალეო ხელმწიფეო, რომელიც წინაპართა ჩამომავლობათა ჩუენთა სუროდა, ვინაიდან ვიმყოფებით იმ დროსა შინა, რომელიცა აქვს ყოველთა საქართველოსა გამოხსნისა ღირსად დიდებით ხსენებულთა დიდთა ხელმწიფეთაგან მოცემული იმედი, და ჩუენცა უახლესი ბრძანება თქუენის დიდებულებისაგან უკაზით სრული სასოება გამოხსნისა“ [75. 80].

თუ რაში უნდა გამოხატულიყო რუსეთის მფარველობა, „სათხოვარ პუნქტებში“ შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „... მიეცეს ჯარი კაცი რიცხვით ოთხი ათასი რეგულარნი და თუ სულ რეგულარნი არ იქნებოდეს ნახევარი რეგულარნი და ნახევარი ურეგულო. საკუთრად ჩვენს მხარეზედ რათა ებრძოდნენ ესენი და მეფე ჩვენი ზოგად ჩვენის მხრიდან ოსმალთა. და როგორც მეფე ჩვენი ისმენდეს ამ თქმულს კორპუსის კამენდირისას ეგრევე კორპუსის კამენდირიც ისმენდეს ჩვენის მეფისას ვითარცა იქაურთა საქმეთა შინა გამოცდილისასა“..

აქვე ნათქვამია, რომ ბაგრატიონთა გვარეულობა კვლავ სამეფო ტახტზე დარჩებოდა, მაგრამ იქნებოდა მეფის რუსეთის მორჩილი და იმ სამსახურის შემსრულებელი, რომელიც აქვე „სათხოვარ პუნქტებში“ იყო ჩამოყალიბებული.

კათალიკოსის უფლებები უცვლელი უნდა დარჩენილიყო.

ამასთან, მეფე ითხოვდა, რათა ყირიმში განთავისუფლებული ტყვე ქართველებისათვის სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცათ.

მეფე ვალდებულებას კისრულობდა, რომ რუსეთის კორპუსისა და ადგილობრივი ლაშქრის ერთობლივი საბრძოლო მოქმედების შე-

---

4 ჩვენ ვსარგებლობთ ანტონ კათალიკოსისა და ლეონ ბატონიშვილის მიერ შედგენილი „სათხოვარი პუნქტებით“, რომლებიც იმავე შინაარსისაა, რაც ერეკლესი, რომელიც 1771 წლის 30 დეკემბრით არის დათარიღებული. ელჩებმა თავიანთი შედგენილი პირი წარადგინეს საგარეო საქმეთა კოლეგიის მინისტრ ნიკიტა პანინთან. იგი 1773 წლის 7 აპრილით არის დათარიღებული.

დეგად დაბრუნებული ქართული ტერიტორიებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში შეგროვილი გადასახადით გადაიხდიდა რუსეთის ხაზინის მიერ კორპუსისათვის გაწეულ დანახარჯს. ამასთან, ხელმწიფე კორპუსის საქართველოში ყოფნის პერიოდში საჭირო ხარჯებისა და თვით ქართული ჯარის შესანახი თანხის დასაფარავად იგი ხელმწიფისაგან სესხს ითხოვდა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წყალობის სანაცვლოდ, მადლობის ნიშნად, მეფე ერთ თავის ძეს და რამდენიმე თავადისა და აზნაურის შვილებს რუსეთის სამსახურში გააგზავნიდა. ამასთან ერთად, მეფე პირდებოდა: „... რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში მეტალი არის და ამიერიდან იპოვება და იქიდან სარგებელი მოიპოვება ნახევარი მისის დიდებულების ხაზინას მიერთმის“.

მეფე ვალდებულებას კისრულობდა ყოველ წელიწადში ქართლ-კახეთში მცხოვრებ თითო კომლზე რუსეთის იმპერიის ხაზინის სასარგებლოდ თოთხმეტი შაური გადასახადი შემოეღო. ამასთან ერთად, მას ყოველ წელს რუსეთის საიმპერატორო კარისთვის თოთხმეტი რჩეული ცხენი უნდა გაეგზავნა.

„სათხოვარ პუნქტებში“ ამასთან ნათქვამი იყო: „როდესაც მძლავრობით სპარსნი ფლობდეს საქართველოსა ზედა, ორს წელიწადში ერთჯერ ცხრას ტყვეს წაართმევიდიან და გლეხის თითოს კომლზე ათოთხმეტს შაურის მოჰკრეფდიან ამავე ტყვეების სახმარისთვის. და კვალად ორმოცდაათს საპალნეს რჩეულს ღვინოს თავიანთის ხარჯით წაიღებდნენ სახელმწიფოდ და ახლა ჩვენ რიცხვით ორიათას ვედროს ჩვენის ქვეყნის რჩეულს ღვინოს ყიზლარს სახელმწიფოდ ყოველს წელიწადს ჩვენის ხარჯით მოვიტანოთო“.

რუსეთის კორპუსისა და ქართველი ჯარის ოსმალთაგან მოტაცებული მიწების დასაბრუნებლად ერთობლივი ბრძოლის პერიოდში აღთქმული გადასახადის გადახდას მეფე კისრულობდა, ხოლო მიწების დაბრუნების შემთხვევაში რუსეთში გასაგზავნი გადასახადი ამ მიწების მცხოვრებლებისაგან აიკრიფებოდა. გადასახადის რაოდენობა ასე განისაზღვრებოდა: „რაოდენსაც რუსეთში სოფლების პატრონების გლეხნი აძლევენ იმის ნახევარი“. — ამასთან „თუ კახეთის მამულები, რომელიც წართმეული აქვს, დაიპყრობს ბედნიერობითა დიდებულებისა მისითა იმათგანაც აღთქმულისაებრ თვითოს გლეხის სახლისაგან ათოთხმეტი შაური სახელმწიფოდ მიერთმოდეს ყოველს წელიწადს და კვალად ორასი ფუთი აბრეშუმი. და თუ ის მამულები მეტს შეიძლებენ, მეტი მიერთმის“.

შემდეგ ერეკლე ითხოვდა თურქეთთან ზავის დადებისას გათვალისწინებული ყოფილიყო, რომ ახალციხე, როგორც ძველთაგან სა-

ქართველოს კუთვნილი მხარე, საქართველოსვე დაბრუნებოდა, მით უფრო, რომ აქ მცხოვრებ ქრისტიანებს თურქნი, „მძლავრობით მაჰმადიანად მრავალს გარდააქცევენ“.

ამასთანავე მეფე კისრულობდა, რომ როდესაც „... ჩვენი ქვეყანა წარმართთაგან განთავისუფლდება და დამშვიდდება, მაშინ ჩვენის მამულიდამ ქონებულისა და ახალ დაპყრობილიდამ მიართვამს იმის დიდებულებას გლეხის სახელზედ სალდათს რაოდენსაც სულზე რუსები აძლევსო“; ხოლო თუ ქურთველთა და რუსთა შეერთებული ძალებით „სხვადასხვა მტრის მამული დაიჭირება“[5] ის დაპყრობილი ადგილები იმპერატორის გამგებლობაში დარჩება [13. 111—112].

როგორც დავინახეთ, საქართველოს ერთიანობის აღდგენა და მაჰმადიან მტერთაგან მისი გამოხსნის გეგმა ქართველმა პოლიტიკოსებმა საფუძვლიანად დაამუშავეს. მაგრამ ქართველ მესვეურთა გეგმების განხორციელებას ხელს უშლიდა მეფის რუსეთის იმდროინდელი დაძაბული საშინაო და საგარეო ვითარება.

1771 წელს რუსეთში შავი ჭირის ეპიდემია გავრცელდა. იგი მოსკოვსაც მოედო. ამ ნიადაგზე მოსკოვში აჯანყება დაიწყო. აჯანყების ცეცხლი თანდათან იაიკის (ურალის) და დონის კაზაკებსაც გადაედო და ვოლგაზედაც გადაინაცვლა. გლეხთა ეს მღელვარებანი 1773 წლის გრანდიოზულ აჯანყებად გადაიზარდა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ემელიან პუგაჩოვი.

იმპერიის მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე მთავრობას აღარ ემორჩილებოდა, აქაური თავადაზნაურობის დიდი ნაწილი საზღვარგარეთ გასაქცევად გაემზადა. რუსეთის ცენტრალური გუბერნიების გლეხობაც არ იყო მშვიდად. გლეხთა აჯანყების ჩასახშობად მეფის მთავრობა იძულებული გახდა რუსეთ-თურქეთის ფრონტზე მებრძოლი რეგულარული ჯარები გადმოესროლა.

ბუნებრივია, რომ ამგვარ ვითარებაში მყოფი მეფის რუსეთი თურქეთთან სასწრაფოდ ომის შეწყვეტას და საზავო მოლაპარაკების დაწყებას ცდილობდა. რუსეთის წარმომადგენელს მითითება მიეცა, რათა საჭიროების შემთხვევაში საგრძნობ დათმობებზე წასულიყო. უფრო მეტიც, რუსეთი თანახმა იყო წინასწარ შემუშავებულ საზავო პირობებში რადიკალური ხასიათის ცვლილებებიც შეეტანა, რაც ყირიმის სახანოს საკითხის მოხსნას და ომამდელი მდგომარეობის უცვლელად დატოვებას ითვალისწინებდა. მაგრამ მთავარსარდალ

---

5 აღნიშნული „სათხოვარი პუნქტები“, ვრცელი, საფუძვლიანი კომენტარებით გამოქვეყნებული აქვს პროფ. ი. ცინცაძეს ნაშრომში: „1783 წ. მფარველობითი ტრაქტატი“, თბილისი, 1960 წ. გვ. 359—387. ამდენად, ჩვენ მხოლოდ საბუთის მოკლე შინაარსის გადმოცემით შემოვიფარგლეთ.

რუმიანცევის სიმტკიცემ და გამჭრიახობამ იხსნა ყველაფერი. მან მოლაპარაკების პროცესში საკუთარი ინიციატივით მტრის წინააღმდეგ შეტევა განაახლა და ახალი გამარჯვება მოიპოვა, რამაც რუსეთის მთავრობას საშუალება მისცა თურქეთის წარმომადგენლებისათვის აღარ გაემეღავნებინა ადრე ნავარაუდევი დათმობები. საზავო ხელშეკრულება ქუჩუკ-კაინარჯში მხოლოდ 1774 წლის 10 ივლისს იქნა დადებული. ხელშეკრულების ძალით თურქეთმა რუსეთს ყირიმი დაუთმო. მართალია, ყირიმის რუსეთთან სრული შეერთება უფრო გვიან, 1785 წელს მოხდა, მაგრამ ეს ფაქტი 1774 წლის ზავმა განაპირობა.

ასეთი იყო საქმის ვითარება რუსეთში, როდესაც მეფე ერეკლეს ელჩებმა რუსეთის საზღვრებს მიაღწიეს. ბუნებრივია, რომ ქართლ-კახეთის მფარველობაში მიღება, ერეკლეს პირობების შესაბამისად, მეფის რუსეთის გეგმებში იმხანად არ შედიოდა.

ჯერ კიდევ 1772 წლის 30 იანვარს, ელჩების ყიზლარში მისვლისთანავე, ასტრახანის გუბერნატორმა ბეკეტოვმა სპეციალური წერილით [17. 19] მიმართა მინისტრ პანინს, სადაც ინსტრუქციას ითხოვდა ასტრახანთან მიახლოებული ელჩების მიღებასთან დაკავშირებით, კერძოდ, გაემგზავრებინა ისინი პეტერბურგში, თუ ასტრახანში დაეყოვნებინა. ამგვარი ინსტრუქცია, წერდა იგი, მას მით უფრო ესაჭიროებოდა, რამდენადაც გაგებული ჰქონდა, რომ რუსეთ-თურქეთის ომში ქართველებმა რუსეთს მცირე დახმარება გაუწიეს. ბეკეტოვს საგარეო საქმეთა მინისტრი ნიკიტა პანინი 1772 წლის 28 თებერვლით დათარიღებულ წერილში ამასთან დაკავშირებით შემდეგნაირ ინსტრუქციას აძლევდა: „... საქართველოს მიმართ ამჟამად სხვა მდგომარეობა იქმნება. იმასთან შედარებით, რაც პორტასთან ომის დასაწყისში არსებობდა, კერძოდ, როდესაც მეფის მთავრობას ძირითადად ქართველების გამოყენებით თურქეთის წინააღმდეგ მძლავრი დივერსიის მოწყობა სურდა. მაგრამ, წერს იგი, — სინამდვილეში საქმე სხვაგვარად წარიმართა, ამ მხარის მფლობელთა შორის არსებული ურთიერთუთანხმოებისა და თითოეული მათგანის გამთიშავი მოქმედების შედეგად. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, მათი მიწების შინაგანი მოუწყობლობაც შეუძლებელს ხდის მნიშვნელოვან საომარ მოქმედებაში მათ გამოყენებას. პანინი დასძენს, რომ ხსენებული მიზეზის შედეგად, რუსეთის სამეფო კარმა გადაწყვიტა, რუსეთის კორპუსი გამოყვანილ იქნას საქართველოდან, ხოლო საქართველოს

საქმეების რწმუნებულად განსაზღვრული დროით იქ დატოვებულ იქნას კაპიტანი ლვოვიო"[6].

ცდილობს რა აიცდინოს რუსეთის სამეფო კარისთვის ... ველი უდროოდ წარმოგზავნილი ელჩობა, პანინი იმავე წერილში ბეკეტოვს შემდეგს აცნობებს: „ზემოხსენებული ვითარება ქართველი ელჩების მოსვლას რუსეთის საიმპერატორო კარზე ზედმეტს ხდის. მით უფრო, რომ მათ მიღებას საკმაო ხარჯი ესაჭიროება. რუსეთის კორპუსის სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით ირაკლისა და სხვა ქართველი მფლობელების შემდგომი მოქმედება გვიჩვენებს, საჭიროდ ჩავთვლით თუ არა ქართველი ელჩების პეტერბურგში მიღებას, თუ გადავწყვეტთ ასტრახანში მათ დაყოვნებას. ამგვარად, — წერს იგი, — შექმნილი ვითარება დაგვანახებს, რამდენად შესაძლებლად ჩაითვლება ელჩობის შემდგომი მგზავრობა. თუ ერეკლე ჩვენი ჯარის გამოყვანის შემდეგაც ჩვენს პატივისცემას დაიმსახურებს, ელჩებიც შესაბამისად მიიღებიან რუსეთის საიმპერატორო კარზე, ხოლო საწინააღმდეგო შემთხვევაში უკან უნდა გავაბრუნოთ მიზეზების ზუსტი განსაზღვრით [17. 21].

ასტრახანში მოსული ელჩები, ყოველივე ზემოთქმულის გასარკვევად ერთი წლის მანძილზე დააყოვნეს. ასეთი დიდი ხნით დაყოვნების ასახსნელად, ზემოაღნიშნული საბუთის მიხედვით, საგარეო საქმეთა სამინისტროს ინსტრუქციის თანახმად, ასტრახანის გუბერნატორ ბეკეტოვს მათთან ხან მდინარეთა ადიდება უნდა მოემიზეზებინა, ხან მგზავრობისათვის აუცილებელი კარანტინის გავლა, რაც თითქოსდა გამოწვეული იყო იმ მოარული სენისაგან საიმპერატორო კარის დასაცავად, რომელიც წინა წელს ზამთარში მოსკოვში მძინვარებდა. მართალია, ეპიდემია იმჟამად შეწყვეტილი იყო, მაგრამ ხომ შეიძლებოდა კვლავ ეფეთქა [17. 22].

ამასთან ერთად, — აღნიშნულია საბუთში, — გუბერნატორს ავალებდნენ ყოველი ღონე ეხმარა, რათა ელჩები მოწყენილი არ ყოფილიყვნენ. მათი შენახვისათვის საჭირო თანხა ძველი წესის მიხედვით უნდა განსაზღვრულიყო. გუბერნატორს მიუთითებდნენ, რათა წინადადება მიეცა ელჩებისთვის თავიანთი მრავალრიცხოვანი ამალა შეემცირებინათ, მაგრამ ეს ისეთი ფორმით უნდა ეთქვათ, რომ ელჩებს საწყენად არ მიეღოთ [17. 23].

---

6 ა. ცაგარელს ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის მხოლოდ ერთი ნაწილი აქვს გამოქვეყნებული (I ტომში). ჩვენ ის მთლიანად მოვიძიეთ არქივში, სადაც საბუთი შემდეგნაირად არის დასათურებული: „წერილი, ქართველი მფლობელის ირაკლის ძის ლეონის იქაური კათალიკოსის ანტონის თანხლებით ასტრახანში ჩამოსვლისა და ამ ადგილზე მათი დაყოვნების მიზეზის შესახებ".

იმავე საბუთში ნათქვამია, რომ იმავე წლის 29 მარტს ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიიდან პეტერბურგში ასტრახანის გუბერნატორი აცხადებდა, რომ ელჩები არა თუ ამცირებენ თავიანთ ამოცანას, არამედ ყიზლარში და ასტრახანშიც ახლებს იმატებენ, მიუხედავად იმისა, რომ მათს სარჩენ თანხას არაფერი არ დაემატა. ყიზლარის კომენდანტს მათ 12 მანეთი დაამატებინეს, მათივე ამალაში მყოფი ხერთვისის ციხის უფროსის თურქი იბრეიმ აღასათვის, რომელსაც 5 მხლებელი ჰყავდა. მათი განცხადებით აღნიშნული თურქი მათთან ერთად რუსეთის სამეფო კარზე მეფე ერეკლემ გამოაგზავნა იმასთან დაკავშირებით, რომ მან მეფესთან საიდუმლო შეთანხმების გზით ერეკლეს ხერთვისის ციხე ჩააბარა [17. 24].

იბრაჰიმ აღას ხერთვისის ბეგს, შეცდომით უწოდებენ აღნიშნულ საბუთში თურქს. იგი იყო გამაჰმადიანებული ქართველი თავადი ვაჩნაძეების გვარეულობიდან, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაწყვეტილი ნათესაური კავშირი თავის ქრისტიან ახლობლებთან — ციციშვილებთან. პირიქით, მათთან ახლო კონტაქტშიც იმყოფებოდა. საციციანოში მალვით გადმოსული იბრაჰიმ ბეგი ახალციხის სულეიმან ფაშას განუდგა, მეფის მხარეზე გადავიდა და ქართველთა ლაშქარს ხერთვისი ააღებინა.

„ხერთვისის აღებას და მისი წარჩინებული ბეგის მომხრობას, — წერს პროფ. შ. ლომსაძე, — დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ნიშნავდა, რომ მთელი ხერთვისის სანჯაყი, ე. ი. თითქმის მთელი მარჯვენა ნაპირის ჯავახეთი ქართლ-კახეთის სამეფოს ჰქონდა დაკავებული. ამ ფაქტს ერეკლე მით უფრო აქცევდა ყურადღებას, რომ ეკატერინე II პირდებოდა, თუ ომის დროს რაიმეს დაიპყრობდნენ, იმედი ჰქონოდა, რომ პორტასთან ზავით სამუდამოდ დაუმკვიდრებდნენ დაპყრობილ ტერიტორიას“ [36. 84].

როდესაც ხერთვისის ციხე, რუსი მოხელის ლვოვის წინადადებით ქართულმა ლაშქარმა დატოვა, იბრაჰიმმაც მიატოვა თავისი მამული და ერეკლესთან ქართლში გადმოვიდა. ქართლში გადმოსული იბრაჰიმი თავისი მამულის დაბრუნებისთვის იღწვოდა, რის გამოც დაუკავშირდა ერეკლეს პოლიტიკურ ხაზს, რათა დაკარგული მესხეთი რუსეთის ხელშეწყობით დაბრუნებოდა საქართველოს. „ამჯერად გაგზავნილი საქართველოს ელჩობა იმითაც იყო საინტერესო, — წერს პროფ. შ. ლომსაძე, — რომ მას შემოსაერთებელი ქვეყნის წარმომადგენელი თან ახლდა იბრაჰიმ ბეგის სახით“ [36. 87—88].

ამიტომ, იყო, რომ ერეკლე 1771 წლის 9 დეკემბრით დათარიღებულ თავის წერილში მინისტრ პანინს ატყობინებდა: „... და ამავე დროსა წარმოვგზავნეთ ბეგიცა, ხერთვისის ციხის და ქალაქის ჩვენ-

და მომცემი, ვინაითგან თვითცა ინება სურვილით თაყვანისცემა უმაღლესისა კარისა, ლეონს ძესა ჩემსა გამოჰყუა“ [75. 78—79].

დავუბრუნდეთ ზემოაღნიშნულ საბუთს. მასში ნათქვამია, რომ სუხოტინისა და ლვოვის ინფორმაციის მიხედვით, ცნობილია, ერეკლეს მიერ ხერთვისის ციხის აღების უშედეგობა, რადგან მიუხედავად ციხის დაკავებისა, მეფემ მისი შენარჩუნება ვერ მოახერხა თვით ციხის შორი მდებარეობის გამო, რაც შეეხება თვით ელჩების გამომგზავრებას, იგივე იმფორმატორები იუწყებოდნენ, რომ მეფემ ეს ღონისძიება მას შემდეგ წამოიწყო, რაც გენერალ-მაიორ სუხოტინთან უთანხმოება მოუხდა, ივარაუდა რა, რომ ამ აქტით ეკატერინეს გულს მოიგებდა, რადგან იცოდა რომ განაწყენებული სუხოტინი მასზე საჩივარს დაწერდა [17.19—25].

სინამდვილეში ინფორმატორების ცნობები ცენტრალური ხელისუფლების მიმართ სწორი არ იყო.

როცა ერეკლემ ხერთვისი აიღო, სუხოტინი ფოთში საშინლად დამარცხდა, შემდეგ კი შეუჩვეველი კლიმატურ პირობებში მთელი კორპუსი დაუავადდა. ასეთ პირობებში ერეკლეს წარმატება მეტად უსიამოვნო ფაქტი იყო საქართველოში რუსეთის წარმომადგენლებისათვის. ამიტომ იყო, რომ კაპიტანმა ლვოვმა 1771 წლის 30 ოქტომბერს მეფე ერეკლეს ხერთვისის ოპერაციის წარმატებით დაგვირგვინება ჯერ მიულოცა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ურჩია ხერთვისიდან მეციხოვნეები გამოეყვანა და კვლავ ოსმალებისთვის დაეტოვებინა. მეფეც იძულებული გახდა ჯარით ქართლში გადასულიყო [36. 84].

იმხანად ცარიზმი სრულიად არ ფიქრობდა საქართველოს ტერიტორიის გაზრდასა და მის გაძლიერებაზე. მის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა ადგილობრივი ძალების გამოყენებით რაც შეიძლება მეტად მიეზიდა კავკასიის ფრონტზე ოსმალთა ჯარები და ამით განეტვირთა დასავლეთის ფრონტი. აკი მინისტრი პანინი თავის ერთ-ერთ ინსტრუქციაში ხაზგასმით მიუთითებდა, რომ „რუსული საქმე უნდა გაკეთებულიყო ქართული ძალით“. ერეკლე კი ყოველ ღონეს ხმარობდა თურქეთ-სპარსეთის თვალში საქართველოს საკითხი რუსეთის პოლიტიკის საკითხის ნაწილად ექცია. სწორედ ამ მიზნით გაამგზავრა მან რუსეთში ზემოაღნიშნული ელჩობა. [36. 85—86]. ერეკლეს მიზნების დამადასტურებელია ზემოაღნიშნული საბუთის [17. 19—28] ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ ასტრახანის გუბერნატორი პეტერბურგს ატყობინებდა, რომ მას შემდეგ, რაც ერეკლემ 1772 წლის 4 თებერვალს ეკატერინე II-ის სიგელი მიიღო რუსეთის ჯარის საქართველოდან გაწვევის შესახებ, კაპიტან ლვოვს გამოუცხადა, რომ მან გადაწყვიტა ელჩების გამგზავრება რუსეთში, რათა რუსეთის საიმპერატორო კარისათვის მფარველობა და ქვეშე-

ვრდომობა გამოეთხოვა. ამასთან დასძინა, რომ არა მხოლოდ ერეკლე, არამედ ყველა ქართველი მეფე მთავარი და მთელი ქართველი ხალხი უკიდურესად შეწუხებული იყო რუსეთის ჯარის უკან გაბრუნებით. ისინი ამჟამად მხოლოდ იმაზე ამყარებდნენ თავიანთ იმედებს, რომ რუსეთსა და პორტოს შორის დადებული ზავის შედეგად რუსეთის მთავრობა ყოველ ღონეს იხმარდა მათი დაშოშმინების უზრუნველსაყოფად.

ამგვარად, თვით რუსი მოხელეები აღნიშნავდნენ, რომ მიუხედავად ჯარის გამოყვანით გამოწვეული უკმაყოფილებისა, ქართველ მეფეებსა და მთავრებს რუსეთზე ორიენტაცია მაინც არ შეუცვლიათ.

ზემოთ მოყვანილი საბუთიდან ირკვევა, რომ კაპიტან ლვოვს პეტერბურგში 1772 წლის 30 ივნისს გაუგზავნია დეპეშა. ამ დეპეშაში იგი წერს: „ირაკლის წინათაც თავისი ეროვნული ლაშქრის შესანახად არაერთხელ უთხოვნია რუსეთისთვის სესხი, ხოლო ამჯერად იგი თავის თავზე იღებს ამ ჯარის შენახვას, მისი რეკრუტებით შევსების შემთხვევაშიც, რათა საქართველოში მუდმივად იყოს ჯარის გარკვეული რაოდენობა მტრის შემოსევების მოსაგერიებლად“ [17. 26].

ლვოვი აქვე აღნიშნავს, რომ, ერეკლესაგან განსხვავებით, სოლომონი? ამგვარ დაპირებებს ვერ იძლევა, მაგრამ ისიც ითხოვს, რათა არ იქნეს დატოვებული დაცვის გარეშე მტრის საპირისპიროდ.

დაბოლოს, ამ ვრცელ საბუთში, რომელიც ყოველგვარი შელამაზების გარეშე გადმოგვცემს მეფის რუსეთსა და საქართველოს შორის არსებულ ურთიერთობას ელჩობის დასაწყისიდან მთელი ერთი წლის მანძილზე, როცა უნაყოფო ლოდინით შეწუხებული ელჩები ასტრახანში იცდიდნენ. ამ დროს კაპიტანი ლვოვი იტყობინებოდა: „ვგონებ ერეკლემ ივარაუდა, რომ ომის დასაწყისში შეყვანილ რუსეთის კორპუსს, რომელიც იქ არც თუ ყოველთვის უნაყოფოდ იდგა, თვით მან მცირედი დახმარება აღმოუჩინა, რამაც გამოიწვია მეფის მთავრობის გულისწყრომა. ამას, შესაძლოა, მოჰყოლოდა ომის დამთავრებამდე ჯარის უკან გაწვევა, ამიტომ ვადაწყვიტა დაესწრო და რუსეთში ელჩობა გაგზავნა. ელჩებად მან მიავლინა თავისი ძე ლეონ კათალიკოსითურთ, რომლებიც ასტრახანში ბევრად უფრო ადრე მოვიდნენ, ვიდრე გენერალ-მაიორ სუხოტინის სახელზე ბრძანება გაიცა ჯარითურთ უკან დაბრუნების შესახებ“ [17.27].

ამავე საბუთში აღნიშნულია, რომ ლვოვის ინფორმაციის შედეგად ცნობილი გახდა, რომ რუსეთის კორპუსი ირაკლის ბოლო ლაშქრობის დროს არ დახმარებია, რადგან ლაშქრობა იმერეთის მხრიდან განხორციელდა, სადაც გენერალი სუხოტინი საქართველოში ყოფნის

---

7 ლაპარაკია სოლომონ 1-ზე.

დროს იმყოფებოდა. ხოლო რაც შეეხება სოლომონს[8], იგი დიდ დახმარებას უწევდა რუსეთის ჯარს ძნელად გადასალახავ ადგილებში გადაადგილებისას [17. 27].

ამგვარად, სანამ ელჩები ასტრახანში იცდიდნენ, რუსეთის სამხედრო კორპუსმა საქართველოს ფარგლები დატოვა.

კაპიტანი ლვოვი რუსეთის სამეფო კარმა გარკვეული ხნით საქართველოში თავის რწმუნებულად დატოვა. მას დაევალა რუსეთის ჯარის წასვლით გამოწვეული მღელვარების დაშოშმინება. მასვე რუსეთის სამეფო კარისთვის უნდა მიეწვდინა საქართველოში არსებული ვითარების ზუსტი ინფორმაცია, ამასთან, დაევალა მეფეებისა და მთავრებისათვის სათანადო ახსნა-განმარტება მიეცა იმ „მიზეზებისა"; რამაც საიმპერატორო კარი აიძულა საქართველოდან თავისი ჯარი გმოეთხოვა. რაღა თქმა უნდა, ნამდვილი მიზეზი, კერძოდ, პუგაჩოვის აჯანყება და რთული საგარეო-პოლიტიკური ვითარება ნახსენები არ უნდა ყოფილიყო, რადგან მეფის რუსეთის მთავრობა თავის სისუსტეს არასდროს არ აღიარებდა ქართველ მეფეთა და მთავართა წინაშე. ამიტომ რუსეთის სამეფო კარს აწყობდა ადრე გამომუშავებული ის უკმაყოფილო ტონი, რომელიც ჯერ კიდევ ტოტლებენისა და სუხოტინის არასწორი ინფორმაციის შედეგად ჰქონდა შემუშავებული ქართველი მეფეებისა და მთავრობის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გამოგზავნილი მეფის მოხელეები (იაზიკოვი, ლვოვი) არაერთხელ ატყობინებდნენ რუსეთის სამეფო კარს ხსენებული გენერლების შეუფერებელი საქციელისა და მოქმედების შესახებ საქართველოში თურქეთთან ომის ვითარებაში, კერძოდ, იმ არასწორი პოზიციის შესახებაც, რომელიც მათ ეკავათ ქართველ მეფეთა და მთავართა მიმართ, მეფის რუსეთის დიპლომატები ოფიციალურად მაინც მუდმივად ერთსა და იმავეს იმეორებდნენ: ქართველმა მეფე-მთავრებმა თურქეთთან ომის დროს ვერ გაამართლეს რუსეთის იმპერიის იმედები და ჯეროვანი მონაწილეობა ვერ მიიღეს ამ დიდ ოპერაციებში, მაშინ როდესაც რუსეთიდან გაგზავნილმა ლაშქარმა დიდი სიძნელეების გადალახვის ფასად, ძირითადად, საქართველოს დასახმარებლად, ქართული ქრისტიანული მიწების დასახსნელად, ქართველ მეფე-მთავართა დასაცავად გადმოლახა ძნელად სავალი მთები, მაგრამ გავიდა დრო (3 წელი) გაუთავებელი დაბრკოლებების გადალახვაში და მტრის წინააღმდეგ არც ერთი რამდენადმე ღირებული შეტევა არ განხორციელებულა. ამგვარი წარუმატებლობა, — აღნიშნავდნენ ისინი, — გამოწვეული იყო ქართველ მეფეთა და მთავართა შორის მუდმივი განხეთქილე-

---

8 ლაპარაკია სოლომონ I-ზე.

ბითა და მტრობით. ამიტომ რუსეთის სამეფო კარმა თავისი სამხედრო კორპუსის საქართველოში შემდგომი ყოფნა მიზანშეწონილად არ მიიჩნიაო. [74.333].

მიუხედავად რუსეთის ლაშქრის საქართველოდან წასვლისა, საგარეო საქმეთა კოლეგიის მინისტრმა პანინმა საქართველოში მყოფ კაპიტან ლვოვს წერილობით შემდეგი დავალება მისცა. ვიდრე თურქეთთან ომის შეწყვეტა ოფიციალურად არ იყო გამოცხადებული და მხარეები 1772 წლის დროებითი ზავის **პირობებში იყვნენ, ლვოვს** უნდა მოეხდინა ქართველ მეფეთა და მთავართა ორგანიზება, რათა ამ შორეულ მხარეში მათ მტერზე თავდასხმები არ შეეწყვიტათ და ისევე განეგრძოთ საომარი მოქმედება, როგორც ამას ადრე აწარმოებდნენ თავისი ქვეყნის დასაცავად. ყოველივე ეს მეფის რუსეთს იმისათვის ესაჭიროებოდა, რათა მომავალი საზავო ხელშეკრულების დადებისას თურქეთს საშუალება არ ჰქონოდა საქართველოს ნაწილების დაპყრობით რუსეთის საზღვრებს მიახლოებოდა [74. 342]. პანინის აზრით, მეფის რუსეთის დაპირებანი ქართველ მეფეთა და მთავართა მიმართ, რომელნიც მიზნად ისახავდნენ მომავალ საზავო ხელშეკრულებაში მათი ინტერესების გათვალისწინებას, სრულიად საკმარისი იქნებოდა, რათა საზღაურად მათ კვლავ განეახლებინათ ადრე ჩვეული აქტიური მოქმედება თურქების წინააღმდეგ. პანინის აღნიშნული წერილიდან ირკვევა, რომ ამ ხანებში ერეკლე რუსეთის სამეფო კარის სრული ნდობით არ სარგებლობდა სუხოტინის ყალბი ინფორმაციის წყალობით, რომელიც მასზე წერდა: „... მან უფლება მისცა თურქეთის სასაზღვრო ჯარების უფროსებს მისი გული მოეგოთ და მათ შეურიგდა, რითაც დაამტკიცა, რომ, შესაძლოა იგი (ე. ი. ერეკლე) არასდროს არც ყოფილა რუსეთის მომხრე, ისევე როგორც მთავრები, გურიელი და დადიანიო, რომლებიც ყოველთვის თურქების ერთგული იყვნენ და მხოლოდ თვალთმაქცობდნენ ტოტლებენისა და სუხოტინის წინაშე. ამიტომ, ამგვარ პირობებში, განაგრძობს პანინი, მომხრედ გვრჩება იმერეთის მეფე სოლომონი, რომელიც, მიუხედავად თავისი თვითნებობისა, თურქეთის აშკარა მტერია და, ამდენად, საჭიროების შემთხვევაში იგი იქნება მტრის მიმართ აქტიური მოწინააღმდეგეო“.. ბოლოს ყალბად ინფორმირებული პანინი დასძენს: „ცნობილია, რომ ერეკლესა და დადიანს სოლომონის ტახტიდან ჩამოგდების დიდი სურვილი ამოძრავებთ, მაგრამ ეს უკანასკნელი ჩვენგან იმსახურებს, რათა იგი ერეკლესაგან დავიცვათო“ [74 342].

საქართველოდან რუსეთის საბრძოლო კორპუსის გაყვანამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო მეფე ერეკლე და სხვა მთავრებიც, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გამძვინვარებულ მუსლიმანთა რკალში

მოემწყვდხენ, არცერთ მათგანს, რუსეთის ორიენტაციაზე ხელი არ აუღია. ისინი ძველებურად მეფის რუსეთს თავის სრულ ერთგულებას ეფიცებოდნენ და ამას არა მხოლოდ სიტყვით აცხადებდნენ, არამედ საქმითაც ამტკიცებდნენ.

სუხოტინის მიერ მეფის მთავრობის წინაშე დისკრედიტირებული მეფე ერეკლე ეკატერინე მეორეს წერდა: „ჩემი აწინდელი კადნიერება მწუხარებისაგან არის, — დღეს ჩვენზედ იმისი მსგავსი დღე მოწევნულ არს ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისთვის, როგორადაც სული და ხორცი განიწვალების“. მეფე ერეკლე, გრძნობდა რა მის მიმართ მეფის რუსეთის კარის უნდობლობას, ეკატერინე II-ს უთვლიდა: „რაიცა ამას უწინდელი უნაყოფო საქართველოში მოხდა თ. დ.[9] ჯარის შეუერთებლობით; ღრ. ტოტლებენის დროს, ის ხომ თ. კ.[10] ბრძანებით ჩატარებულ იქმნა, და ვგონებ, რომ პოლკოვნიკის ნიკოლა დანიილიჩის (იაზიკოვი) აქაური იმ საქმეების განხილვით მე უბრალოდ ვიყო აღმოჩენილი და ახლის იარანალ მაიორის სუხოტინის მოსვლა ესრეთ იქმნა: მოსვლაში გზის ან ხარჯი, ან ბარგის გადმოტანა და ან სხვა სამსახური დაგვდვა, და კიდევ რაც მტერზე მტრობა გვირჩია... ჩვენის შეძლებით ეგრეთ აღვასრულეთ, და, რადგანაც მგზავრათ გამოიარა და ფოთს მივიდოდა, ჩვენ მაშინაც ყოვლითურთ ჩვენი შეძლებით ვცდილვართ უმჯობეს რჩევასაც და თქვენის კორპუსის შეერთებასაც. და არ მოხდა, და ვგონებ — გულუბრყვილოდ დასძენს ერეკლე, — რომ თვით სუხოტინს უმაღლესის კარისთვის მაშინ ჩემი კეთილი მოეხსენებინოსო“. [75. 81—82].

ამავე წერილში იგი აღნიშნავს, რომ მეფე სოლომონთან და სხვა მფლობელებთან არაერთხელ „უნამეტნავესისა გარჯითა“ ეცადა რათა ერთიანი ძალით გამოსულიყვნენ მტრის წინააღმდეგ, მაგრამ მისი რჩევა და „მშვიდობითი სიტყვა“ არ მიიღეს და, რადგან რუსეთის სამეფო კარისაგან ნაბრძანები არ იყო, მათზე ძალას ვერ იხმარდა [75. 82].

დაბოლოს, მეფე ერეკლე კვლავ გულმხურვალედ ევედრება ეკატერინეს: „რაცა უწესონი საქმენი და შეურიგებლობანი მოხდა, რომლითაც სახითა და რომლისა გვამისაგანაც, ყოველივე აპატივე შენსა შემყვარებელსა ქრისტესა, რომელმანცა გადიდა შენ, და ნუ მიგვცემ მოუთმენელსა მწუხარებასა და ქვეყნის აოხრებასა, და... მოგვეც წყალობა, ვითარცა მომიხსენებიეს ჩემის ძმისა და ძის გამოტანებულისა აზრებით და ეგრეთვე დაბარებულობითა [75. 82].

---

9 თქვენი დიდებულება.

10 თქვენი კეთილი.

მეფე ერეკლეს თავის ერთ-ერთ წერილში ბედავს და საიმპერატორო კარს საყვედურითაც კი მიმართავს. ამ წერილიდან ნათლად ჩანს საქართველოს ვითარება თურქეთის კომპანიის დაწყებამდე. იგი წერს: „სიმართლით ვიკადნიერებთ და ვიტყვით ამას: სანამდის მ. ი. დ. ბრძანება მოგვივიდოდა თურქთ მტრობისათვის — დაზავებით და მშვიდობით ვიყავით ხვანთქართან შერიგებულნი და დაწყნარებულნი და სპარსეთის მფლობელს ხანებთან ასეთის საქმით ვიყავით — ზოგნი შეშინებულნი გვყვანდენ და ხარკს გვაძლევდნენ, ზოგნი მეგობრობით დაზავებულნი გვყავდნენ, და ზოგის შეშინებას ვცდილობდით, და ზოგნი ლეკნი მათის შეძლებით გვმტრობდნენ და ქვეყანას გვიხდენდნენ, მაგრამ რამდენსამე წელიწადში ჩვენის ქვეყნის საქმეები ღვთით წარმატებაში მოგვყუანდა, — და ახლა... საქართველოში ქრისტიანობა მოისპობის და სრულებით აღორხდების თუ ეს კორპუსი აქედგან უკუმობრუნდების“ [75. 85—86].

ხატოვნად აღწერს ერეკლე საქართველოს იმდროინდელ მდგომარეობას. ერაფ ორლოვისადმი მიწერილ წერილშიც იგი ადრესატს სთხოვს ელჩების შეწევნას, იმპერატრიცასთან შუამდგომლობას: „ისმინოს ყოვლად დიდებულებამან... და ამ მწუხარებისა და წარმართთაგან ნიადაგ ოხრებისა და ახლანდელის კორპუსის წარმოსვლისათვის ყველრებისაგან გამოგვიხსნის რომ ამდროს უნამეტნავესისა სიხარულითა და საცინელისა საქმითა გვაყვედრიან და გვეუბნებიან: ვისგანაც სასოება გქონდათ — მოგეფარათ და ნუღარა (ხართ) სასოებით მათგანაო, ამისებრი სიტყვითა ნიშანს გვიგებს წარმართნი“ [75. 87].

მაგრამ მიუხედავად მეფე ერეკლეს არაერთგზის თხოვნა-ვედრებისა, მეფის რუსეთის დიპლომატია ურყევი იყო თავის გადაწყვეტილებაში და მხოლოდ სიტყვიერად, ფუჭი დაპირებებით ცდილობდა „შეემსუბუქებინა“ მეფეებისა და მთავრებისთვის მათი სავალალო მდგომარეობა.

ამასობაში ერეკლეს წარგზავნილი ელჩები მთელი 1772 წლის განმავლობაში ასტრახანში უნაყოფოდ იცდიდნენ. თავიანთი მდგომარეობით თავმობეზრებულებმა მათ წერილით მიმართეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ პანინს, სადაც შემწეობას ითხოვდნენ მათთვის დავალებული საქმის შესასრულებლად. ამასთან ისინი აღწერდნენ ყველა იმ სირთულეებს, რომელთა დაძლევაც მათ მოუხდათ კავკასიონის მთებში მგზავრობისას. მათი გადმოცემით, ისინი ხშირად ფეხით მგზავრობდნენ, რადგან არ იყო ცხენით მგზავრობის საშუალება. ყოველგვარ გაჭირვებას ისინი მოთმინებით იტანდნენ, რათა მათზე დავალებული საქმე პირნათლად შეესრულებინათ. ისინი წერდნენ, რომ 1772 წ. იანვრის პირველ რიცხვებში წამოსულებმა ასტრახანს

მხოლოდ 6 მარტს მიაღწიეს, „... ვართ შეწუხებულნი — წერდნენ ისინი — რადგან ვერ ვასრულებთ მეფე ერეკლეს დავალებას. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ გვიშუამდგომლოთ მ. ი. დ. წინაშე, რათა მრ= გვეცეს საშუალება, რაც შეიძლება სწრაფად გადავცეთ მას ჩვენი მეფის წინადადებანი მათზე რეზოლუციის მისაღებად [14. 16].

მაგრამ დრო გადიოდა და ელჩებს თავიანთ წერილზე პასუხი არ მოსდიოდათ. მათი გაუთავებელი ჩივილით თავმობეზრებული ასტრახანის გუბერნატორი 1772 წ. 28 ოქტომბერს გრაფ ნიკიტა პანინს შემდეგს მოახსენებდა: თავიანთ წერილზე ესოდენ დიდი ხნის განმავლობაში პასუხის მიუღებლობამ პატრიარქი და მეფის ძე ბოლოსდაბოლოს მწყობრიდან გამოიყვანა. მიზეზები, რომლებსაც გუბერნატორი ბეკეტოვი იშველიებდა, მათ აღარ ამშვიდებდა. ისინი გაუთავებლად აგზავნიდნენ მასთან ხალხს და, რაკი პეტერბურგში წასვლის უფლებას არ აძლევდნენ ითხოვდნენ სამშობლოში დაბრუნების ნებართვას.

„ნაწილობრივ ყველაფერში ბრალს მე მდებენო, — წერს გუბერნატორი, — რადგან ფიქრობენ, რომ მე მათ შესახებ თქვენთვის არ მიცნობებია, რისთვისაც ითხოვენ, რომ მათი ნდობით აღჭურვილმა პირმა თქვენთან მათი მეორე წერილი წამოიღეს, ამაზე უარი მათ ვეღარ ვუთხარი, რათა უკიდურესი შეურაცხყოფა არ მიმეყენებინაო“ [14. 30].

პანინთან ელჩების მიერ მეორედ მიწერილი წერილი პირველზე უფრო ვრცელია, რადგან მასში ელჩების მეტი სასოწარკვეთილება გამოიხატება. თხოვნა კი იგივეა [75. 88].

1772 წ. 30 დეკემბერს მინისტრმა პანინმა, როგორც იქნა შეატყობინა ასტრახანის გუბერნატორ ბეკეტოვს, რომ, მისი წერილის თანახმად, იმპერატრიცასაგან მიღებულია სანკტ-პეტერბურგში ელჩების გამგზავრების ნებართვა.

1773 წ. 22 იანვარს ბეკეტოვი ატყობინებდა მინისტრ პანინს ელჩებისა და მათი ამალის სანკტ-პეტერბურგში გამგზავრების შესახებ. ელჩებისთვის მთარგმნელად გამოუტანებიათ ყიზლარში მცხოვრები ქართველი მღვდელი გაბრიელ იაკოვლევი. [15. 51—52].

პეტერბურგში ჩასულმა ელჩებმა რუსეთის სამეფო კარზე წარადგინეს მეფე ერეკლეს საჩუქრები, წერილები და „სათხოვარი პუნქტები“.

იმპერატრიცა ეკატერინესათვის მისართმევი საჩუქრები საგულდაგულოდ იქნა შერჩეული. ისინი იმით იყვნენ ღირსშესანიშნავი, რომ ერეკლემ ისინი ინდოეთის ლაშქრობაში გამარჯვების დროს მოიპოვა. აქ იყო ინდოეთის ხელმწიფის მოღულის საცერე, ოქროთი და მინანქრით გაწყობილი უნაგირი, რომელიც ერეკლეს ნადირ-შაჰმა უბო-

ძე ბრძოლებში მონაწილეობისათვის, მინანქრით გაწყობილ ოქროს რახტი, აგრეთვე ნადირ-შაჰის მიერ ერეკლესთვის ნაბოძები. როგორც ჩანს, — წერს პროფ. ბ. ლომსაძე, — რუსეთს გასაგზავნი ძვირფასი საჩუქრები ისეთნაირად იყო შერჩეული, რომ ცხადად მეტყველებდა ერეკლე მეფის მიერ გარდახდილ საქვეყნო მნიშვნელობის ბრძოლებზე, მის ბრწყინვალე მთავარსარდლობასა და სახელმწიფო კაცობაზე [36. 88].

პეტერბურგში ჩასვლისთანავე კათალიკოსმა ანტონმა, სასულიერო პოზიციებიდან გამომდინარე, ჩვეული მაღალფარდოვანი, სიტყვაკაზმული სტილით დაწერილი ორი ოფიციალური წერილი [16. 41—42] მოამზადა ეკატერინე II-სა და ტახტის მემკვიდრე პავლე პეტრეს ძისთვის წარსადგენად. წერილების[11] შინაარსი ადრესატებს მოაგონებდა მათს მოვალეობას, დაეცვათ და დაეფარათ ყველა ჩაგრული ქრისტიანული ქვეყანა და მათ შორის საქართველო.

წერილში შესანიშნავი კალიგრაფიით არის შესრულებული. ისინი თავისთავად ანტონ კათალიკოსის საკმაოდ მდიდარი ეპისტოლური მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ. მაგრამ, რო-

---

[11] წერილი 1. წერილები მოგვყავს მთლიანად.

«Воспою благодарственно промысел ж ограниченный всех сущаго удостоившаго нас предстать предъ Величеством Освященного Императорства Вашего, в котором преувеснное предпромышленне положило толикою силу, что всю Европу и Азию удивляет, и даже до Африки достигает, ибо исполняет море и землю, и множества островов (изреченное силы сел чудо) яко то сокрушает гордющуюся главу взимающуюся на Разум Божий, и множества воин врагов Христа Бога нашего избивает, и грады и твердыню их крепости изтребляет, корабли и галеры их сокрушает, и сожигает, а по иных странах под видом с нами единыя церкви сущих братиев из плену и мучительства варварскаго разрешет, и освобождает, и великое спасение благовествует, и в прочих местах толикою свобождения ради братиев ж сказанною радостию исполняет и ко всем струю спасения и радости изливает.

И тако сей струи жаждущий царь наш, воспоминая слово сие, идите жаждущии к воде, возжелал приити к Вашему Величеству, которое сильным орудием разверзло течение сей Благодатной струи, дабы и он почерпнул от щадраго сего спасения, точию ж получа своего желания по причине близости около царства своего варварских соседов, отправил вместо себя нас к Вашему Императорскому Величеству, чтобы и он ж не лишился почерпания такой спасительной воды.

Мы же всей всеудивительный и счастливой случай осмеливаемся подвергнуть сами себя Вашего императорского Величества в высочайшую милость, которая для сынов своих и странных течет равно действием всеутешительнаго духа Божия.

გორც საბუთებიდან ირკვევა, ეს შესანიშნავი წერილები ანტონს გამოუყენებელი დარჩა, რადგან ელჩები სამეფო კარზე არ მიიღეს.

ელჩების პეტერბურგში ჩასვლა იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც რუსეთი თურქეთთან ზავის დასადებად ემზადებოდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ პერიოდში საქართველოში მყოფ კაპიტან ლვოვს მეფის მთავრობამ დაავალა, რათა ზავის დადებამდე ადგილობრივი ძალების მობილიზება მოეხდინა მტრის წინააღმდეგ აქტიური მოქმედების საწარმოებლად.

ამასთან დაკავშირებით 1773 წლის 30 მაისს კაპიტანი ლვოვი მინისტრ პანინს ატყობინებდა: „ქართველ მეფეთა შორის ადრევე არსებული უთანხმოება კვლავ გრძელდება. ერეკლესა და სოლომონს ერთმანეთთან შეხვედრა ჯერაც ვერ მოუხერხებიათ და მათ შორის ერთმანეთის დასახმარებლად პირობა ჯერაც არ დადებულა“ [74. 314].

მაგრამ ლვოვის ენერგიული ჩარევის შედეგად მეფეებმა გადალახეს მათ შორის არსებული უთანხმოება და 1773 წლის 27 ივლისს სოფელ სანგარში დასდეს ხელშეკრულება საერთო მტრის წინააღმდეგ ურთიერთდახმარების შესახებ. [75. 94—96]. 7 მუხლისაგან შემდგარი ხელშეკრულების ტექსტი კაპიტან ლვოვის თანდასწრებით იქნა ხელმოწერილი. ხელშეკრულების ასლი მათ რუსეთის მთავრობას გაუგზავნეს. ამის შემდეგ მათ კვლავ ერთიანი ძალით განაახლეს საომარი მოქმედება მტრის წინააღმდეგ.

ქართველ მეფეთა ერთობლივმა მოქმედებამ ახალციხის ფაშას საპასუხო რეაქცია გამოიწვია. რადგან მას საკუთარი ძალა არ შეს-

---

წერილი 2. Милостивейший Государь!

Се коль превеликое и радостное видение показует естество, котораго рождение началом было крайнейшаго утешения не токмо единым в России находящимся, но наипаче всем благочестивым; а младость и весма радостна, которой прекраснейший плод сей видим от корене Петра Великаго цвето распостертым обесселяющим всех благочестивых сердци.

Такое убо сие драгоценное цвето украшение ж точию ближийших токмо зрением увеселяет, но и дальных к себе влечет, котораго случаю удостоится счастливейшим себя считал и царь наш, но варвары злоссоседные воспрепятствовали ему в том, которой желает делом совершить крайнейшее свое усердие к Вашему Императорскому Высочеству, вместно же его от негож отправленные мы удостоилися ныне того щастия, которое превосходит ум наш изреши радостю превышшую и щастие вожделеннейшее предстать пред наше Императорское Высочество и узресть исполняющую преизлишнею радостию Богоукрашенную Вашего Высочества особу.

წევდა გაერთიანებული ქართული მხედრობისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, ამიტომ იმერეთს დადიანი და აფხაზები აუმხედრა, ქართლ-კახეთს ხუნძახის ბატონი და ჭარელები დაასხა თავს, ქართლს კი ახალციხის მხრიდან ლეკები შეუსია. მაგრამ მეფეებმა მომხდურნი დაამარცხეს და საქართველოდან გარეკეს. შემდეგ კი ერთობლივად ჯავახეთში ილაშქრეს.

იმერეთ-ქართლ-კახეთის 11-ათასიანი ლაშქარი გორში შეერთდა და აქედან ჯავახეთში გადავიდა. მეფეებმა ახალქალაქის ციხე დაიკავეს. ქართველებმა მტრის ტერიტორია მოარბიეს და ბოლოს ყარსსა და არტაანამდე მიაღწიეს, მაგრამ აქ იმერთა მეფე სოლომონი ციებცხელებით გახდა ავად და ისინი იძულებული გახდნენ თავიანთი ლაშქრით უკან გაბრუნებულიყვნენ [44. 136].

პროფ. ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „ეს შემთხვევა სრულებით ცხადჰყოფს, რომ რუსეთის წარმომადგენელს (ლვოვს) თავის მთავრობის გეგმისაებრ საქართველოს დანიშნულებად ამ ომში მიწა-წყლის დაჭერა კი არ მიაჩნდა, არამედ უმთავრესად შესევითა და თარეშის საშუალებით ოსმალეთის მუდმივი შეწუხება, რომ ოსმალეთის მთავრობა ამის გამო იძულებული ყოფილიყო აქ საკმაო ჯარი დაებანდებინა [55. 19].

1773 წლის 11 ოქტომბერს მეფეებმა ერთობლივი წერილი მისწერეს ეკატერინე II-ს, სადაც ატყობინებდნენ მას, რომ, თანახმად მათი ხელშეკრულებისა, რომელიც მისი უდიდებულესობის ბრძანებით შეკრეს, „რაოდენ შეიძლებოდა ჩვენგან ჯარები გავიკეთეთ და ახალციხის ქვეყანაში შევედით, და, ყოვლად ძლიერის ღვთით და თქვენის ბედნიერობით, რაც მტერს დააკლდებოდა, სრულის ცდით ვეცადენით მათს აოხრებასა, და არა მცირედი მიიღეს ვნება. კვალადცა მოხსენდეს... ვინაითგან უბედურება ჩვენი გვეწია მიზეზითა უდიდესისა სნეულებისა გამო, მსწრაფლად უკუმოქცევა შეგვემთხვა; და უკეთუ ამა სამძიმოსა ჩვენსა მიზეზსა არ მივცემულვიყავით და მცირედსა დროსა მტრის მამულში დაგვცალებოდა, უდიდეს ვნებასა და ოხრობასა მიიღებდნენ, მაგრამ კვალადცა გვაქვს იმედი... რომ თავთავის დროს რაოდენად შევიძლებთ თქვენის მოწყალებით მტრის მტრობა არც დაგვიკლია და არც დავაკლებთ. აწ ვითხოვთ... ვინათგანცა თ. ი. დ[12]. ის ელვარე გონება ჩვენის და ჩვენის ქვეყნების გარემოებათა სრული მეცნიერი ბრძანდება, ყოვლითურთ და ყოველსა შინა დაუგდებელნი და დაფარულნი ვიყვნეთ“ [75. 96—97].

---

12 თქვენი იმპერატორობითი დიდებულება.

13 მისი უმაღლესობა.

ამგვარად, ისედაც სავალალო მდგომარეობაში მყოფმა ქართველმა მეფეებმა იმპერატრიცას ეს მოთხოვნაც შეასრულეს იმ იმედით, რომ უზრუნველყოფდნენ რუსეთის იმპერიის მფარველობას.

ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფეებს არც დადიანი ჩამორჩებოდა რუსეთის მფარველობის ძიებაში. 1773 წლის 11 დეკემბერს კაპიტანი ლვოვი საქართველოდან პეტერბურგში მინისტრ პანინს ატყობინებდა: „თავადმა დადიანმა დაინახა რა თავისი მფარველის (თურქეთის) მუდმივი წარუმატებლობა და მეფეთა შეთანხმებული მოქმედება, როგორც იქნა სინანული გამოსთქვა მ. უ.[13] მფარველობის დაკარგვის გამო... მისი ბრწყინვალება დედოფალი — ერეკლეს შეუღლე, ხსენებული დადიანის ახლო ნათესავი, აქაურებში ყველაზე მეტ მონაწილეობას იღებს მის საქმიანობაში“ [74. 392]. კერძოდ იგულისხმება რუსეთის მფარველობის ძიება.

მაგრამ ლვოვი ტყუილად სწამებდა ცილს კაცია დადიანს. მისი დიდი სურვილი და თხოვნა რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ, დარეჯან დედოფლის დავალებით, ელჩებმა წერილობით ჩამოაყალიბეს და ისე წარუდგინეს საგარეო საქმეთა მინისტრს პანინს. მასში ნათქვამი იყო შემდეგი: საქართველოს დედოფალს, მთავარ დადიანის დას, თავის ძმისაგან მოხსენდა, რომ მას დიდი გულმოდგინებით სურს მისი უდიდებულესობის ქვეშევრდომობა, რისთვისაც კიდეც დაუპირებია თავისი ქვეყნის მოვდელმთავრის უმაღლეს კარზე გაგზავნა, მაგრამ გარემოებათა გამო საწადელს ვერ მიაღწია.

აქვე ნათქვამია, რომ იგი გამოჩენილი გვარის შთამომავალია. მისი სამეფო უკვე 300 წელია, რაც თურქეთის სულთანის გარდა არავის მფარველობაში არ ყოფილა. სულთანთან მიმოწერისას იგი ყოველთვის მეფედ იწოდება. აქვე ნათქვამია, რომ მის სამთავროს შავი ზღვის პირად საკმარისად ვრცელი ფართობი უჭირავს, სადაც საკმაო რაოდენობის მოსახლეობა ცხოვრობს. ყოველივე ზემოთქმული მას საშუალებას აძლევს მის იმპერატორობით დიდებულებას სათანადო სამსახური გაუწიოს.

ამავე წერილში ელჩები მეფის მთავრობას ახსნა-განმარტებას აძლევენ თურქეთთან ომის პირობებში დადიანის უმოქმედობის ასახსნელად. კერძოდ, ისინი წერდნენ, რომ, როდესაც იმპერატრიცას გამოგზავნილი „უკაზი“ მეფე ერეკლემ თავისი კაცის ხელით მასთან გაგზავნა, მეფე სოლომონმა, როგორც დადიანის მოწინააღმდეგემ, დესპანი თავის ქვეყანაში არ შეუშვა, ხოლო სხვა გზა დადიანის სამფლობელომდე არ არსებობდა. ამ მიზეზით დადიანი იმპერატორის მოწოდებას ვერ გამოეხმაურა.

ბოლოს ელჩები დასძენდნენ, რომ „ეხლა კნიაზ დადიანი ითხოვს, რათა მისი იმპერატორობის დიდებულების პოდდანობასა შინა მიღებულ იყოს, და ეს ბრძანება ჰქონდეს თუ როდესაც თვითონ მოინდომოს წამოსულა უმაღლესს კარზედ, და ან თავისი კაცი გამოგზავნოს დამყოვნებელი არავინ იყოს იმისი". საბუთს ხელს აწერენ ანტონ კათალიკოსი და ლეონ ბატონიშვილი. საბუთი უთარიღოა. [16. 27].

ამგვარად დადიანი, რათა პორტა არ გაეღიზიანებინა რუსეთის მფარველობაში შესვლის ოფიციალური მოთხოვნით (რასაც ადვილი შესაძლებელია დადებითი პასუხი არ მოჰყოლოდა), ქართლ-კახეთის ელჩების მეშვეობით შეეცადა თავისი თხოვნა საიმპერატორო კარზე წარედგინა.

მაგრამ ვერც მეფეების ერთობლივმა მოქმედებამ მტრის წინააღმდეგ და ვერც დადიანის ცდამ მფარველობის მიღებისა, სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მეფის რუსეთმა ჯერ კიდევ 1773 წლის დასაწყისში გადაწყვიტა უარი ეთქვა მეფე ერეკლეს „სათხოვარ პუნქტებზე". ერეკლეს მიმართ მიწერილი წერილის შინაარსი, რომელიც სამოქალაქო საქმეთა მრჩეველის ბაკუნინის ხელით მხოლოდ 1774 წლის 5 თებერვალს გადაეცა ელჩებს სანკტ-პეტერბურგში [74. 375—379], მეფე ერეკლეს მიერ პანინისადმი 1772 წლის 3 ივნისს მიწერილი წერილის [74. 359] ნაგვიანები პასუხია. წერილში მინისტრი პანინი მადლობას უცხადებს მეფეს იმ პატივისათვის, რომელიც მან დასდო, როდესაც თავისი ელჩების მეურვეობა დაავალა. პანინი არწმუნებს მეფეს, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი მის მიმართ ძველებურად კეთილგანწყობილია, მაგრამ შექმნილი ვითარება, გამოწვეული თურქეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყებით, სამეფო კარზე ელჩების მიღების საშუალებას არ იძლევა. აქვე პანინი ერეკლეს არწმუნებს, რომ საჭიროა შეირჩეს უფრო ხელსაყრელი მომენტი საქართველოს რუსეთის მფარველობაში მისაღებად. შემდეგ იგი წერს, რომ, რადგან რუსეთის სამხედრო კორპუსის საქართველოში ყოფნამ, რაზედაც თავის დროზე დიდ იმედებს ამყარებდა რუსეთის სამეფო კარი, არათუ წარმატება არ მოიტანა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ პირიქით, სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ ამ საერთო საქმეს წინ მრავალი დაბრკოლება გადაეღობა არა მხოლოდ ურთიერთუთანხმოებისა, მეფე-მთავართა გამთიშავი მოქმედებისა და ქართული მიწების შინაური მოუწყობლობის გამო, არამედ ქართველი და რუსი ლაშქრის სხვადასხვა საბრძოლო წესების არსებობის გამოც, რაც ამ ორი ლაშქრის ერთდროულ მოქმედებას უშლიდა ხელს, ამიტომ — წერს პანინი — ახალი საომარი მოქმედების წამოწყებაზე ფიქრი ზედმეტად მიგვაჩნია. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოსთვის უფრო მიზანშეწონილია, რათა

მისი ბედი და უშიშროება პორტასთან მომავალი ზავის დადებისას აქაური ცდებით იქნას უზრუნველყოფილი, ვიდრე ისედაც გაღიზიანებულ მტერს კიდევ უფრო დიდი გაღიზიანების საბაბი მივცეთ ახალი საომარი მოქმედების დაწყებით [74. 373—374]. ეს ყოველივე იმ დროს იწერება, როდესაც, რუსეთის სამხედრო კორპუსის სამშობლოში დაბრუნების გამო, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი მეფეებისა და მთავრების სავალალო მდგომარეობის მიუხედავად, კაპიტან ლვოვს ავალებენ თურქეთთან ზავის დადებამდე ადგილობრივი ძალების ორგანიზებას თურქეთზე ახალ-ახალი თავდასხმების მოსაწყობად. ამავე დროს, რუსეთში ჩასულ ელჩებს, ამჯერად, ერთი წლის განმავლობაში პეტერბურგში აყოვნებენ პასუხის მოლოდინში, რათა, როგორც ჩანს, უდროო უარყოფითი პასუხით ხელი არ შეეშალათ ლვოვის მიერ ორგანიზებული მეფეთა ერთობლივი საომარი მოქმედებისთვის საქართველოში. პროფ. იასე ცინცაძის ვარაუდით კი ელჩების სამშობლოში გამომგზავრება იმ მიზეზით არ ხერხდებოდა, რომ ვოლგისა და ურალის მხარეები 1773—74 წწ. პუგაჩოვის აჯანყების ალში იყო გახვეული, რაც ელჩების მგზავრობას სახიფათოს გახდიდა [53. 82].

ზემოხსენებულ წერილში პანინი წერს, რომ, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მისი იმპერატორობითი დიდებულება თვლის, რომ საქართველოში რუსეთის რწმუნებულის შემდგომი ყოფნა მიზანშეწონილი არ არის. ამიტომ ლვოვს განკარგულება მიეცა, რათა რუსეთში დაბრუნდეს [74. 373—374].

აღნიშნული წერილის დაწერის შემდეგ, თითქმის მთელი ერთი წლის განმავლობაში, ლვოვი ჯერ კიდევ საქართველოში იმყოფებოდა და რუსეთის დიპლომატიის ფარულ დავალებებს ასრულებდა. ოფიციალურად მას მხოლოდ 1774 წ. 3 იანვარს ეუწყა, რომ მისი მისია საქართველოში დასრულებულია და მას ევალება საქართველოდან გამომგზავრებისას წამოიღოს ყველა მასთან არსებული საბუთი, საგარეო საქმეთა კოლეგიაში ჩასაბარებლად. [74. 339].

მეფე ერეკლეს „სათხოვარ პუნქტებზე“ ოფიციალური პასუხი ელჩებმა წერილობით მიიღეს, 1773 წლის 31 დეკემბერს, მათი სამშობლოში გამომგზავრების წინ. იგი ძირითადად იმავე შინაარსისაა, რაც პაპინის წერილი. მასში ნათქვამია: „დადგა მომენტი, როდესაც საქართველო სიმშვიდეს ითხოვს, ამჟამად მისთვის ყველაზე არსებითს წარმოადგენს თურქეთის მხრიდან უშიშროების გარანტირება, რომელსაც რუსეთის იმპერია მომავალი საზავო ხელშეკრულების დადებისას გაითვალისწინებს“. აქვე ხაზგასმულია, რომ იმპერატრიცა პეტერბურგში ელჩების ქცევით კმაყოფილია და ასაჩუქრებს მათ [16. 29—32].

ლეონ ბატონიშვილი დაასაჩუქრეს 1000 ოქროთი და ძვირფასი ბეჭდით, ხოლო ანტონ კათალიკოსს 2000 მანეთი გადაეცა [12. 147].

სამშობლოში დაბრუნების წინ ლეონ ბატონიშვილმა, მეფე ერეკლეს ერთ-ერთი „თხოვნის პუნქტის“ თანახმად, რომელიც ყირიმში ტყვედ ჩავარდნილი ქართველების სამშობლოში დაბრუნებას გულისხმობდა, შემდეგი წერილობითი თხოვნით მიმართა საგარეო საქმეთა კოლეგიის მინისტრს ნიკიტა პანინს. „სხვათა და სხვათა ჟამთა, — წერს იგი, — გამოსრულნი ყირიმიდან და განთავისუფლებულნი საჭურველითა როსიისათა ქართველი ტყვენი, რომელთაგან მრავალი რიცხვ, მოწყალების უკაზით განტევებულნი მოვიდნენ საქართველოს, ხოლო აწ მეუწყა მე, ვითარმედ გამოსრულთა მათ ტყვეთაგანნი დაყენებულ არიან სხვათა და სხვათა ადგილთა რომელთამე კომანდორთაგან, და ვითარმედ ძალით ასახელებენ მათ სხვათა და სხვათა ადგილთა როსიის სამპყრობელოსათა, რომელთამე მამულსა შინა მათსა ჰყავთ ცოლნი და შვილნი... და ვითარ მამა ჩემი, ეგრეთვე მეცა დარწმუნებული ვართ უმაღლესითა მისის იმპერატორობის დიდებულების მოწყალებათა ამისათვის ყოვლად უმდაბლესად გთხოვთ თქვენს მაღალს ღრაფობის ბრწყინვალებას... რათა ზემოხსენებულნი ტყვენი ნაწილისაებრ მათისა თვინიერ ყოვლისა დაყენებისა განტევებულ იქნენ მამულსა შინა თვისსა საქართველოსა, რომელისათვის სადაცა სათანადო არს ინებოთ შეტყობინება მუნ მყოფთა მეკომანდეთა“ [16.39].

საინტერესოა წერილის დასასრული, სადაც იგრძნობა უდიდესი სიყვარული და ღრმა პატივისცემა თავისი მამისადმი. ლეონ ბატონიშვილი წერს: „თქვენის მაღალი ღრაფობის ბრწყინვალების, ჩემის მოხუცის ხელმწიფის ყოვლად დამორჩილებულესი მოსამსახურე მეფის ძე ლეონ“ [16. 39].

წერილი 1774 წ. 8 თებერვლით არის დათარიღებული. საინტერესოა, რომ ეს ბოლო მინაწერი რუსულ თარგმანში გამოტოვებულია. როგორც ჩანს, მთარგმნელს ზედმეტად ჩაუთვლია მისი გადმოთარგმნა და მხოლოდ ბატონიშვილის ხელმოწერით დაუმთავრებია წერილი.

აღნიშნული წერილი საკუთარ ღირსებასა და სიმართლეში დარწმუნებული ტონით არის დაწერილი. იგი ერთხელ კიდევ გვიდასტურებს ჯერ კიდევ სრულიად ყრმა 16 წლის ლეონის ბრწყინვალე გონებრივსა და ზნეობრივ თვისებებს.

პროფ. მაჭარაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ „XVIII ს. მეორე ნახევარში ქართველი ტყვეების დაცვა რუსეთში სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ავიდა. 1758 წელს იმპერატორის ბრძანებულებით

რუსეთის გუბერნიების მესვეურებს დაევალათ, ტყვეობიდან გაქცეული ქართველებისადმი — „ტყვეობაში გატარებული გაჭირვებისთვის მიეცათ სამგზავრო პასპორტი, უზრუნველეყოთ გზაში სურსათით, ღამის გასათევით და მეგზურით, რომ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ“ [39. 16].

ლეონ ბატონიშვილის წერილობით თხოვნაზე გაცემულ იქნა საპასუხო განკარგულება: „ქართველი ტყვეების შესახებ არსებული წერილის პასუხად მის ბრწყინვალება გრაფ ნიკიტა ივანეს ძისგან (პანინი) სამოქალაქო მრჩეველ ბაკუნინს (რომელიც, როგორც ჩანს, შუამავლის როლს ასრულებდა რუსეთის საიმპერატორო კარსა და ელჩებს შორის) გამოეცხადა, რომ მოლაპარაკება უკვე განხორციელებულია მის ბრწყინვალება გრაფ ზაქარია გრიგოლის ძესთან (ჩერნიშოვი)[14], რის შედეგად შესაბამის პუნქტებში გაიგზავნა სამხედრო კოლეგიის განკარგულება, რათა სამშობლოში წამსვლელი ქართველები თავიანთი სურვილის წინააღმდეგ რუსეთში არ იქნენ დატოვებულნი [16. 34]. ეს ბრძანება 1774 წ. 25 თებერვლით თარიღდება.

ამგვარად, ლეონ ბატონიშვილის გამჭრიახობის წყალობით, მრავალი ქართველი ტყვე თავის სახლ-კარს დაუბრუნდა.

აქვე გვინდა მოვიხსენიოთ ელჩობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი.

საელჩო ხარჯებთან დაკავშირებული საბუთიდან ირკვევა, რომ ლეონის ამალას პეტერბურგში შეუერთდა რუსეთში საქართველოდან ადრე ჩამოსული ვინმე ანდრონიკაშვილი (სახელი არ არის აღნიშნული), რომელმაც რუსეთის მთავრობას თხოვნით მიმართა, რათა ფულადი დახმარება მიეღო, რაც ესაჭიროებოდა ლეკთა ტყვეობიდან მისი ოჯახის წევრების, ცოლ-შვილის, დედისა და დების გამოსახსნელად, რომლებიც ტყვედ იმ დროს ჩავარდნენ, როცა იგი მეფე ერეკლეს ახალციხეში სალაშქროდ ახლდა. აქვე აღნიშნულია, რომ ანდრონიკაშვილს თავისი თხოვნის წერილობითი დასტურიც გააჩნდა, გაცემული ანტონ კათალიკოსის მიერ, ჯერ კიდევ მისი სამშობლოში ყოფნის დროს; [12. 147—148]. ელჩობის ხარჯების ნუსხის შემადგენელი საბუთის ბოლოს მიმართავს საგარეო საქმეთა კოლეგიას: „იმის გამო, რომ იგი აგრერიგად შორი მანძილიდან ჩამოვიდა მისი იმპერატორობითი დიდებულების გულუხვობის იმედით და რომ აქ ტყუილად საყიალოდ არ დარჩეს, ხომ არ იქნებოდა მიზან-

---

14 ჩერნიშოვი ზაქარია გრიგოლის ძე 1763 წლიდან იყო სამხედრო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგში რუსეთის სამხედრო მინისტრი [26. 85].

შეწონილი არსებული შემთხვევა გამოგვეყენებინა საშმობლოში მის დასაბრუნებლად. ამასთან, ხომ არ ინებებდით ამ უბედური ადამიანის, მცირედი მოწყალების გაღებით, გახარებას [12. 147–148]. აღნიშნული საბუთის პასუხი ამოვიკითხეთ პროფ. ვ. მაჭარაძის მონოგრაფიაში „გეორგიევსკის ტრაქტატი". „1773 წლის 31 დეკემბერს, — წერს ვ. მაჭარაძე, — ეკატერინე მეორემ განკარგულება გასცა, ასპინძის ბრძოლის მონაწილე თავად პავლე ანდრონიკაშვილისათვის მიეცათ 500 მანეთი ლეკების მიერ 1770 წელს გატაცებული დედის, ცოლისა და ორი დის გამოსახსნელად". [39. 17].

რაც შეეხება საქართველოსათვის დანაპირებ სიმშვიდესა და მომავალი მფარველობის გარანტიას, იგი ძალზე სუსტად გამოიკვეთა ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებაში.

ხელშეკრულების 23-ე მუხლში, რომელიც საქართველოს შეეხება, აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ სიტყვაც არ არის ნახსენები. იგი ძირითადად დასავლეთ საქართველოს ეხება. მეფე ერეკლეს თხოვნა, რომლის გათვალისწინებას რუსეთის საიმპერატორო კარი პირდებოდა მას, მხედველობაში არ იყო მიღებული. აღმოსავლეთ საქართველოს შეეხებოდა ხსენებული მუხლის მხოლოდ ის პუნქტი, სადაც თურქეთი რუსეთს აღუთქვამდა, რომ ომში მონაწილეობისათვის ქართველ მეფეებს არ დასჯიდა. განა ასეთი შედეგისათვის იბრძოდა და ქართველთა სისხლს ღვრიდა მეფე ერეკლე თუნდაც ასპინძის ბრძოლის დროს?

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ჩვენი აზრით, არც მისი კეთილდღეობისთვის იზრუნა რუსეთის საიმპერატორო კარმა. დასავლეთ საქართველო, ზავის შედეგად, კვლავ თურქეთის ვასალურ სახელმწიფოდ რჩებოდა. დიდი ვერაფერი შეღავათი იყო დასავლეთ საქართველოს ეკლესიისათვის თურქეთის ვალდებულება, რომელიც დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის ხელშეუხებლობას ითვალისწინებდა. იგი რეალურად არ განხორციელებულა. ცნობილია, რომ თურქების მძლავრობის შედეგად XVIII ს. ბოლოს მრავალი ეკლესია-მონასტერი იხურებოდა, სამღვდელო პირები კი სხვა ქვეყანას აფარებდნენ თავს. ამის მკაფიო მაგალითია ჩვენ მიერ განხილული ისტორია ეპისკოპოს ფილიმონ ხოფელის შესახებ. აღნიშნული პროცესი არ შეჩერებულა არც ქუჩუკ-კაინარჯის ზავის დადების შემდეგ. თვით კათალიკოსმა მაქსიმემ ორჯერ იმოგზაურა რუსეთში ელჩად. ერთხელ სოლომონ I-ის დავალებით, ზურაბ წერეთელთან და დავით კვინიხიძესთან ერთად, 1768 წელს, მეორედ კი, დავით მეორის დავალებით, — 1784 წელს. ორივეჯერ მის სათხოვარს თურქე-

ბის წინააღმდეგ დახმარების გაწევა შეადგენდა. საბოლოოდ იმედგაცრუებული იგი აღარ დაბრუნდა სამშობლოში და სამუდამოდ დარჩა კიევში, სადაც 1795 წ. 30 მაისს გარდაიცვალა, რის შემდეგაც დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსომ შეწყვიტა არსებობა და აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსის სამწყსოს დაექვემდებარა.

ზავის ერთადერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო ქალ-ვაჟით ხარკის გადახდის აღკვეთა.

ტყვის სყიდვა, მართალია, ოფიციალურად იკრძალებოდა, მაგრამ სოლომონ I-ს მაინც ხმლით მოუხდა მისი ცხოვრებაში გატარება, რადგან თურქეთის წარჩინებული ფენა ადვილად არ თმობდა თავისი ჰარამხანებისა და იანიჩართა რაზმების ქართველი ქალ-ვაჟებით შევსების შესაძლებლობას.

ზავის მიხედვით დასავლეთ საქართველოს ციხეები კვლავ თურქების კუთვნილებად ჩაითვალა. რუსეთის მიერ დამარცხებული თურქეთის სისუსტით სოლომონ I-მა მოხერხებულად ისარგებლა და დასავლეთ საქართველოს ციხეები მთლიანად დაანგრია, რითაც საშუალება მოუსპო თურქებს კვლავ ფეხი მოეკიდებინათ დასავლეთ საქართველოში. იმხანად დასუსტებულ თურქეთს ამ ციხეების ხელახალი აგება არ შეეძლო, მაგრამ მომავალში მისგან ამ უფლების გამოყენება არ იყო გამორიცხული.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ საიმპერატორო კარს კი არ უღვაწია დასავლეთ საქართველოსათვის, რასაც იგი არაერთხელ პირდებოდა მის მესვეურებს, არამედ ობიექტურმა ფაქტორებმა განაპირობა იმხანად სოლომონის პოზიციის შედარებითი სიმყარე.

ამგვარად, ქართველი მეფეების ჩაბმამ 1768—1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში და ამასთან დაკავშირებით რუსეთის სამხედრო კორპუსის საქართველოში მოქმედებამ, საქართველოს ვერაფერი სარგებლობა მოუტანა. პირიქით, მაჰმადიანურ ქვეყნებთან ადრე დამყარებული შედარებითი სიმშვიდე მთლიანად დაარღვია. საქართველოდან რუსეთის კორპუსის წასვლის შემდეგ შექმნილი ვითარება შესანიშნავად გამოხატა მეფე ერეკლემ ერთ-ერთ თავის წერილში, რომელიც მან რუსეთის სამეფო კარზე გაგზავნა: „გველებივით პირდაღებული თურქები რკალს გვარტყამენ, სპარსელები მძინვარე ლომებივით შემოგვყურებენ, ხოლო ლეკები მშიერი მგლებივით ჩვენზე კბილებს ილესავენ“ [74. 408].

გამოიყენა რა თავისი მიზნებისათვის ქართველი მეფეები, მეფის რუსეთმა მათ, ფაქტიურად, არავითარი დანაპირები არ შეუსრულა, პირიქით, კრიტიკულ მომენტში მარტო დატოვა მოძალებული

მტრების რკალში. იმედგაცრუებულ მეფეებს კვლავ საკუთარი ძალების მაქსიმალური დაძაბვის ფასად უხდებოდათ მტრების მოგერიება.

ევროპაში რევოლუციური ძვრებითა და ქვეყნის შიგნით პუგაჩოვის მიერ ორგანიზებული გლეხთა გრანდიოზული აჯანყებით შეშინებულმა მეფის რუსეთის დიპლომატებმა XVII საუკუნის ბოლოს ამიერკავკასიიდან უკან დახევა გადაწყვიტეს: იქაური ანტითურქული და ანტიირანული ძალების დარაზმვით მათ დრო მოიგეს და ამ რეგიონში Status qvo შეინარჩუნეს. ყოველივე ამის მისაღწევად, მეფის რუსეთის დიპლომატები ათასგვარ ხრიკებსა და თვალთმაქცობას მიმართავდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხი და მისი მესვეურები მათ ამგვარ მოქმედებას დროებით მოვლენად მიიჩნევდნენ და თავისი საბოლოო გამოხსნის იმედს მაინც რუსეთთან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობაზე ამყარებდნენ.

ამით აიხსნება ქართველი ხალხის მუდმივი ლტოლვა რუსეთისაკენ, რომელიც არასდროს არ შენელებულა. ამიტომ იყო, რომ, მიუხედავად გულისტკივილისა, მეფე ერეკლე 1774 წ. 24 ავგისტოს რუსეთის უპირველეს მინისტრ პანინს ატყობინებდა რა ელჩების სამშობლოში მშვიდობიანად დაბრუნებას, კვლავ ერთგულებას ეფიცებოდა, იგი წერდა: „რომელიც იმედიანი წყალობის უქაზი კათალიკოზისა და ძისა ჩემისა ლეონისათვის გამოგეტანებინათ და ჩემ მონისა თქვენისათვის გებოძათ — მივიღე და ვსასოობ მოწყალებითა თქვენითა არ დამაგდოთ, და ჩემი უერთგულესის გონების თქვენის სამსახურის სურვილიცა და, თურამ მიმსახურია თქვენს უმაღლეს კარს, არ დამიკარგოთ“. [75. 98].

მართალია, 1772—1774 წწ. ელჩობას რუსეთში ქართლ-კახეთისათვის დადებითი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ მან გარკვეული როლი შეასრულა, რადგან ელჩების მიერ რუსეთის სამეფო კარზე წარდგენილი „სათხოვარი პუნქტები“, შემდეგში საფუძვლად დაედო 1783 წელს გეორგიევსკში დადებულ ტრაქტატს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დასკვნა

XVIII საუკუნის 40-იან წლებში ქართლისა და კახეთის სამეფო ტახტზე კვლავ ქრისტიანი მეფეების (თეიმურაზი, ერეკლე) მოსვლა ახალი ეტაპის მომასწავებელი იყო. ოსმალობა-ყიზილბაშებით აკლებულ ქვეყანაში მათმა პირველმა წარმატებებმა უმალ დაბადა იმედები, რომ, თუ ქვეყანა საუკუნეებით შემუშავებულ გზას გაჰყვებოდა (ერთმორწმუნე მფარველ-მოკავშირეს გაიჩენდა) და ვახტანგ VI-ის დროს წამოწყებულ და შემდეგ შეწყვეტილ პოლიტიკურ-კულტურულ საქმიანობას აღადგენდა, მიყენებულ ჭრილობებსაც მოიშუშებდა და განვითარების ახალ გზაზეც გამოვიდოდა, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ახალ ფაზაში შედიოდა.

ქრისტიანობის დროშით აღმდგარი საქართველო კავკასიურ ძალად ყალიბდებოდა და სულ მეტ ენერგიას იკრებდა. ამასთან დაკავშირებით ნაშრომში საკმაოდ არის გაშუქებული ქართლ-კახეთის სამეფოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკური ვითარება (ირანთან ურთიერთობის მოგვარება და სხვა).

აღნიშნულია, რომ მთელი რიგი სამხედრო წარმატებების მიუხედავად, ქვეყნის მაჰმადიანური გარემოცვიდან გამოსვლისა და შემდგომი წინსვლის საქმე ძლიერი და ერთმორწმუნე მოკავშირის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა; რომ მოვლენათა გათვალისწინება დღის წესრიგში კვლავ რუსეთზე ორიენტირების საკითხს აყენებდა.

1752 წ. რუსეთში მფარველობის საძიებლად და სხვა საგარეო პრობლემათა გასარკვევად გაგზავნილ იქნა ელჩობა, რომელსაც თბილელი მიტროპოლიტი ათანასე ამილახვარი თაოსნობდა. როგორც ცნობილია, ამ ელჩობას მაშინ რაიმე სასიკეთო ძვრა არ მოჰყოლია. სამეცნიერო ლიტერატურაში ამის მთავარ მიზეზად დასახელებულია ელჩობისთვის შერჩეული არახელსაყრელი დრო.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიერ ახლად მიკვლეულ საარქივო მასალაზე დაყრდნობითა და ზოგიერთი ძველი ტექსტის ახლებური წაკითხვის მეოხებით, ელჩობის მიმდინარეობის ახალი პერიპეტიები გადაიშალა. კვლევის პროცესში ჩვენი ყურადღება მიიქცია ელჩობის მეთაურისა და მისი წევრების ვინაობის გარკვევამ, მათი პოლიტიკური მრწამსისა და მეთოდების შესწავლამ. არქივებში სათანადო მასა-

ლის მიკვლევისა და მისი შეჯერება-შესწავლით ჩვენს წინაშე ელჩობის მიმდინარეობის სხვაგვარი სურათი გადაიშალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ირკვევა, რუსეთში ჩასული ელჩობის მოსახუსხავად დაირაზმნენ ქართლის ემიგრანტი ბაგრატიონები და ელჩები, ყოველგვარი საშუალებით, თავიანთი ინტრიგების ქსელში გააბეს. ნაშრომში ცოცხალი მაგალითებითაა ნაჩვენები არა ერთი ემიგრანტი ბატონიშვილისა და მათი აგენტის ფილიმონ ხოფელი და სხვათა საქმიანობა.

აქვეა მოთხრობილი იმ კონფლიქტის შესახებ, რომელიც მოხდა ათანასესთვის განკუთვნილი წერილის დაკარგვის გამო. დასაბუთებულია, რომ სიმონ საგინაშვილის ორჭოფობას საქმე საქვეყნო დავალების შეუსრულებლობამდე მიჰყავდა.

გულმოდგინედ არის შესწავლილი ელჩობის მეთაურის ათანასე ამილახვრის მოღვაწეობა როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სარბიელზე. შრომაში ნათლად გამოიკვეთა მისი პიროვნების გაორებული სახე: სახე იმ კაცისა, რომელმაც კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში ბევრი სასარგებლო შრომა იტვირთა, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სარბიელზე კი ვერ გამოიჩინა სიმტკიცე, ვერ დარჩა თავისი მოვალეობის და აღთქმის ერთგული. აქვე, საბუთებზე დაყრდნობით, ახსნილია მიზეზი, რომელმაც ათანასე ამილახვარი მის წინაშე დასმული ამოცანის შეუსრულებლობით ღალატამდე მიიყვანა.

შემდეგ შესწავლილია 1772—1774 წწ. განხორციელებული ელჩობა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ კათალიკოსი ანტონ ბაგრატიონი და ერეკლე მეფის ძე ლეონი.

აქვე მიმოხილულია XVIII საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება. აღნიშნულია, რომ ამ პერიოდში ხდება რუსეთისა და საქართველოს ინტერესთა დამთხვევა, რაც გამოიხატა მათი ერთობლივი მოქმედებით 1768—1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში. ამდენად, ელჩების მდგომარეობა და მათ მიერ წარდგენილი მოთხოვნებიც სხვაგვარია. საჭიროდ ვცანით, ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით, შეგვესწავლა ელჩობის ხელმძღვანელების: ანტონ კათალიკოსისა და ლევან ბატონიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა. აღსანიშნავია, რომ ლევან ბატონიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ასახვა პირველად ჩვენ ვცადეთ.

ახლად მოძიებულ საარქივო მასალაზე დაყრდნობით, შესაძლებლობა მოგვეცა მთელი სიგრძე-სიგანით შეგვესწავლა 1772—1774 წწ. მეტად საინტერესო ელჩობა. მუშაობამ დადებითი შედეგი გამოიღო

და ელჩობის არაერთი ახალი ასპექტი გადაგვიშალა. აღსანიშნავია, რომ ამ ელჩობას სპეციალისტები მხოლოდ გაკვრით ეხებოდნენ და სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით განიხილავდნენ. სპეციალური კვლევის საგანი იგი აქამდე არ ყოფილა და თანამიმდევრულად, უმთავლოდ საარქივო მასალაზე დაყრდნობით, არავის შეუსწავლია.

აღნიშნულ ელჩობებს, და განსაკუთრებით 1772—1774 წწ. ელჩობას, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1783 წლის ტრაქტატის მომზადების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

М. Н. БУЛЕИШВИЛИ

# ЦЕРКОВНОСЛУЖИТЕЛИ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ НА ДИПЛОМАТИЧЕСКОЙ СЛУЖБЕ МЕЖДУ РОССИЕЙ И ГРУЗИЕЙ

## (ВТОРАЯ ПОЛОВИНА XVIII В.)

Резюме

Тема касается самого значительного периода русско-грузинских взаимоотношений.

В труде освещены две проблемы: 1. дипломатическая взаимосвязь между Россией и Грузией во второй половине XVIII века, в частности история двух посольств (1752—1754 гг. и 1772—1774 гг.) и 2. так как выполнение данных посольских миссий было возложено на первосвященников тифлисского митрополита Афанасия Амилахвари и Антония католикоса, рассматривается один из аспектов взаимоотношения церкви и государства, а именно роль церковнослужителей в государственной жизни Восточной Грузии.

На основе новых архивных данных уточнено, что руководитель посольства 1752—1754 гг. Афанасий Амилахвари в начале своей посольской миссии был верен доверенному ему делу и в мыслях не имел оказывать царям противодействие. Однако, оказавшись опутанным сетью интриг со стороны своих родственников — картлийских Багратионов, он не смог преодолеть все трудности возникшие на его пути и фактически не выполнил свои посольские обязанности, чем подчеркнул наличие в Грузии феодальной раздробленности и тем самым нанес большой вред своей Родине.

По новым архивным материалам стало известно, что оставшись в России на постоянное жительство Афанасий свою духовную деятельность совмещал со службой в сыскном приказе, чем еще более усугубил свою вину перед Отчизной.

Новый архивный материал выявил недобросовестную деятельность эпископа Филимона Хонниского и священика Симеона Сагинашвили связанную с вышеуказанным посольством.

В труде нашел свое отражение доныне неизвестный факт спора, который возник между поручиком Ахвердовым, Анной

Георгиевной Грузинской (жены царевича Бакира) и Афанасием Амилахвари.

В труде впервые в историографии последовательно изучена посольская миссия 1772—1774 гг.

Посольство 1772—1774 гг., которое возглавляли католикос Антоний и царевич Леон, так же как и первое, безрезультатно завершилось. Анализируя фактический материал, связанный с этим посольством, выяснилось, что царское правительство после вывода войска из Грузии, для осуществления своей дальнейшей цели оставило там капитана Львова, который несмотря на бедственное положение создавшееся вокруг Грузии, должен был способствовать объединению усилий царей Ираклия и Соломона для дальнейших нападений на Турцию со стороны Грузии, дабы помешать врагу концентрировать свои силы на основном фронте.

На основе нового архивного материала также выяснилось, что царское правительство без причины задерживало послов то в Астрахани, то в Петербурге, чтоб они, прибыв раньше времени, с отрицательным ответом в Грузию не смогли бы помешать Львову до конца выполнить свою миссию.

История посольства 1772—1774 гг. обогатилась новым фактическим материалом. Например: письмами Антония Католикоса к императрице и наследнику престола, письмом царевича Леона о пленных в Крыму грузин, документом с просьбой Кация Дадиани о принятии его под покровительство России, документом о Павле Андроникашвили и др.

На основе архивных данных были выявлены те важные политические и внутригосударственные причины, в силу которых Россия в то время воздержалась от принятия Восточной Грузии под свое покровительство.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Архив внешней политики России (АВПР), ф. Сношения России с Грузией, 1752, д. № 4.
2. « » 1753, д. № 6.
3. « » 1753, д. № 8.
4. « » 1754, д. № 5.
5. « » 1754, д. № 6.
6. « » 1754, оп. 110/1, д. № 4.
7. « » 1756, д. № 1.
8. « » 1756, д. № 3.
9. « » 1758, д. № 3.
10. « » 1760, д. № 4.
11. « » 1761, оп. 110/1, д. № 1, ч. II.
12. « » 1771—1775, д. № 16.
13. « » 1771—1775, оп. 110/2, д. № 16.
14. « » 1771—1775, оп. 110/11, д. № 16.
15. « » 1771—1775, оп. 110/1, д. № 16.
16. « » 1771—1775, оп. 110/3, д. № 453.
17. « » 1772, оп. 110/11, д. № 16.
18. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი A=1448.
19. ხელნაწერთა ინსტიტუტი A-2440.
20. ალექსიძე ლ. ა. საქართველო-რუსეთის საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობა XV—XVIII საუკუნეებში, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1983, 244 გვ.
21. ავალიანი ს. შ. ანტონ პირველი (ბაგრატიონი), თბ., „მეცნიერება“, 1987, 191 გვ.
22. ბაგრატიონი ა. წყობილსიტყვაობა ქმნილი ანტონისაგან პირველისა კათალიკოს-პატრიარქისა ყოვლისა საქართველოსი, ტფილისი, 1953, 316 გვ.
23. ბატონიშვილი ბაგრატ. ახალი მოთხრობა, 2. 1941.
24. ბერძენიშვილი ნ. ა. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი II, „მეცნიერება“, თბ., 1965, 513 გვ.
25. ბერძენიშვილი ნ. ჯავახიშვილი ი., ჯანაშია ს. საქართველოს ისტორია. წ. I, უძველესი დროიდან XIX ს. დამდეგამდე, საქ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1948, 426 გვ.
26. დე გრაი დე ფუა. ცნობები საქართველოს შესახებ, „მეცნიერება“, თბ., 1985, 108 გვ.
27. დუმბაძე მ. კ. დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალ-ეკონომიური განვითარება), თბ., 1957, 425 გვ.
28. თამარაშვილი მიხ ისტორია კათოლიკოსებისა ქართველთა შორის ნა-

მდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით მე-13 საუკუნიდან ვიდრე მე-20 საუკუნემდე, ავტორის გამოცემა, ტფილისი, 1902, 344 გვ.
29. კ ა კ ა ბ ა ძ ე ს. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. 1, თბ., 1914, 139 გვ.
30. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი პ. იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მკღვდელთმთავრნი, თბ., 1900, 212 გვ.
31. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი ნ. ი. ქართული მჭერმეტყველება, „ხელოვნება“, თბ., 1975, 327 გვ.
32. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე მ. საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია, ქუთაისი, 1928, 202 გვ.
33. კ ე კ ე ლ ი ძ ე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, ძველი მწერლობა, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, თბ., 1923, 525 გვ.
34. ნ ი კ ო ლ ა ძ ე ე ვ გ. საქართველოს ეკლესიის ისტორია, ქუთაისი, 1918, 263 გვ.
35. ლ ა ი ს ტ ი ა. საქართველოს გული, თბ., 1899, 112 გვ.
36 ლ ო მ ს ა ძ ე შ. ვ. სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), „მეცნიერება“, თბ., 1965, 559 გვ.
37. მ ა ჭ ა რ ა ძ ე ვ. გ. ასპინძის ბრძოლა, სახელგამი, თბ., 1957, 135 გვ.
38. მ ა ჭ ა რ ა ძ ე ვ გ. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. II, თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში, თბ., 1978, 581 გვ.
39. მ ა ჭ ა რ ა ძ ე ვ. გ. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, „ხელოვნება“, 1983, 188 გვ.
40. მ ა ი ს უ რ ა ძ ე გ. ი. ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII—XVIII საუკუნეებში, „მეცნიერება“, თბ., 1982, 329 გვ.
41. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი სულხან-საბა, ქართული ლექსიკონი, „ქართული წიგნი“, თბ., 1928, 480 გვ.
42. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ა. ვ. დაღესტნიდან ლეკობის გამოსვლა და სხვა ამბები ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანისა, თბ., 1914, 23 გვ.
43. ჟ ო რ დ ა ნ ი ა თ. ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, ფოთი, 1903, 272 გვ.
44. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი მ. ს. იმერეთი XVIII საუკუნეში (ნარკვევები), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1982, 351 გვ.
45. რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი ივ. როსტომაშვილის რედაქციით, წ. I, II, III, IV, თბ., 1898, 831 გვ.
46. ს ა მ ს ო ნ ა ძ ე მ. საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 316 გვ.
47. საქართველოს ცხოვრება. ახალი მოთხრობა 1469 წლიდან ვიდრე 1800 წლამდე, ორ წიგნად აღწერილი, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ, თბ., 1913, 375 გვ.
48. ტ უ ხ ა შ ვ ი ლ ი ლ. ვ. რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი), „მეცნიერება“, თბ., 1983, 129 გვ.
49. ქ ა ვ თ ა რ ი ა მ. ნ. XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან (ანტონ ბაგრატიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობა), „განათლება“, თბ., 1977, 280 გვ.
50. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ.

წიგნი მეორე (1213 წლიდან 1700 წლამდე). გამოცემა კონსტანტინე ივანეს ძის მუხრან-ბატონისა, ტფილისი, 1897, 536 გვ.
51. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი მესამე (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე), „მეცნიერება“, თბ., 1967, 809 გვ.
52. ჩუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ. ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1961, 482 გვ.
53. ცინცაძე ი. ზ. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1960, 302 გვ.
54. ჭეიშვილი ა. ს. ერევნის ხანების მიერ საქართველოში გამოგზავნილი წერილები (მე-18 საუკუნის II ნახევარი), „მეცნიერება“, თბ., 1982, 92 გვ.
55. ჯავახიშვილი ი. ა. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში, თბ., 1919, 64 გვ.
56. ჯანაშვილი მ. საქართველოს ისტორია, თბ., 1894, 50 გვ.
57. Амилахвари А. Д. История Георгианская о юноше-князе Амилахорове с кратким прибавлением истории тамошней земли от начала до нынешнего века, которую рассказывает Усим купец анатолийский сотоварищам своим между разными известиями, Спб., 1779, 104 с.
58. Болховитинов Е. Историческое изображение Грузии в политическом, церковном, и учебном ея состоянии, издательство Шнора, Спб., 1802, 100 с.
59. Бутков П. Г. Материалы для новой истории Кавказа с 1772 г. по 1803 год, г. Санкт-Петербург, 1869, 548 с.
60. Бурнашев С. Д. Картина Грузии или описание политического состояния царств карталинского и кахетинского. Сделанное пребывающим при его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклий.
61. Иоселиани П. Описание древностей города Тифлиса, сочинение Платона Иоселиани, Тифлис, 1866, 314 с.
62. История грузинской иерархии, с присовокуплением обращения в христианство Осетии и других горских народов по 1-е января 1825 года, Москва, 1826, 96с.
63. Месхия Ш. А., Цинцадзе Я. З. Из истории русско-грузинских взаимоотношений X—XVIII вв., «Заря Востока», Тбилиси, 1958, 147 с.
64. Муравьев А. Н. Грузия и Армения, ч. I, Спб., 1848, 393 с.
65. Новосельцев А. П. Генезис феодализма в странах Закавказья (опыт сравнительно-исторического исследования), «Наука», М., 1980, 284 с.
66. Пайчадзе Г. Г. Георгиевский трактат, «Мецниереба», Тбилиси, 1983, 245 с.
67. Пурцеладзе Д. П. Грузинская дворянская Грамоты. Тифлис, 1881, 62 с.
68. Романовский В. Е. Очерки из истории Грузии, Тифлис, 1902, 461 с.
69. Рогава А. А. Зачатки капитализма в Грузии и политика Ираклия II, «Сабчота Сакартвело», Тбилиси, 1974, 254 с.

70. Тарсаидзе Н. Г. Исторические этюды, Тбилиси, 1972, 168 с.
71. Тарсаидзе Н. Г. Сведения о грузинах в России во второй половине XVIII в., Тбилиси, 1983, 141 с.
72. Тарсаидзе Н. Г. Материалы по истории поселения грузин в России в первой половине XVIII века, Тбилиси, 1964, 52 с.
73. Хаханов А. С. Очерки по истории грузинской словесности. Литература XIII—XVIII вв. Выпуск 3-й, М., 1901, 435 с.
74. Цагарели А. А. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, с. 1768 по 1774 гг. Под редакцией А. А. Цагарели, Санкт-Петербург, 1891, 518 с.
75. Цагарели А. А. Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии, т. II, выпуск. I. Санкт-Петербург, 1898, 209 с.
76. О повреждении нравов в России князя М. Щербатова и путешествие А. Радищева 1858—1883 гг. Факсимальное издание, «Наука», М., 1884, 173 с.
77. Евецкий О. Статистическое описание Закавказского края, с присовокуплением статьи: Политическое состояние Закавказского края в исходе XVIII века и сравнение оного с нынешним, в двух частях. Санкт-Петербург, 1835, 306 с.
78. ანტონ კათალიკოზის წერილები, ჟურნ. „ივერია“, 1879, № 7—8, ტფილისი, 106, 120 გვ.
79. ბერძენიშვილი ნ. ა. XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან. კრებ. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. I, თბ., 1944, 174—211 გვ.
80. ბოცვაძე თ. დ. ჩრდილო-კავკასიის ხალხები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში (XVI—XVIII სს.). კრებულში: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, II, „მეცნიერება“, თბ., 1972, 120—140 გვ.
81. ეგრი, ანტონ I კათალიკოზი საქართველოისა, გაზ. ივერია, 1892, № 45.
82. იოსელიანი ა. თვისებრივად ახალი ეტაპი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში. წიგნში: საისტორიო მოამბე, № 51, 52, „მეცნიერება“, თბ., 1985, 337—378 გვ.
83. მთვარელაშვილი ნ. ანტონ I საქართველოს კაათლიკოზი (გამოკრეფილი ცნობები ვრცელის ცხოვრებისაგან), ჟურნ. ივერია, 1879 წ., № 9—10, ტფილისი, 1879, 40—66 გვ.
84. პაიჭაძე გ. გ. ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან XVIII საუკუნის 50—60-იან წლებში, კრებულში: ქართული სამეფო სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, II, „მეცნიერება“, თბ., 1973, 241 გვ.
85. პაიჭაძე გ. გ. „რუსეთში ქართლ-კახეთის 1752 წლის ელჩობის საკითხისათვის“, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1967, № 2, 61—67 გვ.
86. საისტორიო მოამბე, წ. I, საქართველოს სსრ ცენტრ. არქივის გამოცემა. რედაქტორი ს. კაკაბაძე, ტფილისი, 1925, 321 გვ.
87. ქავთარია მ. ნ. ბაგრატიონთა ქართლ-კახეთის სამეფო სახლის გენეალოგია და ქრონოლოგია (XVII—XVIII სს.), კრებულში: მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი V, თბ., 1975, 198 გვ.
88. შველიძე დ. სანკტ-პეტერბურგის უწყებანი ერეკლე II-ის შესახებ, ჟურნ. „ცისკარი“, 1983, № 2, 108—109 გვ.

89. ცინცაძე. ზ. ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში (1752—1754 წწ.), კრებულში საისტორიო მოამბე, წ. 6, თბ., 1952, 85—175 გვ.

90. ცხვილოელი პ. „ლევან ბატონიშვილის სიკვდილი ვეჯინში“, გაზ. „ივერია“, 1892, № 121.

91. Берзенов Н. Католикос Антоний I, газ. Кавказ, 1853, № 2.

92. Жордания Ф. Антоний I, католикос Грузии архиепископ Владимирский и Яропольский. Прибавления к Духовному вестнику грузинского экзархата, 1891, № 1, 37—44 с.; № 2, 26—32 с.; № 4, 25—28 с.; № 5, 17—27 с.; № 6, 6—15 с.; № 13, 26—29 с.; № 15, 20—24 с.; № 16, 19—25 с.; № 4, 15—19 с.; № 6, 22—28 с.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი


| | |
|---|---|
| წინასიტყვაობა | 3 |
| თავი I. 1752—1754 წწ. ქართლ-კახეთის ერთობლივი ელჩობა რუსეთში ათანასე ამილახვრის ხელმძღვანელობით | 12 |
| 1. რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის საწყისები | 12 |
| 2. საქართველოს პოლიტიკური ვითარება 1752-1754 წწ. წინა ხანებში | 14 |
| 3. ათანასე ამილახვრის ცხოვრება და მოღვაწეობა | 18 |
| 4. 1752—1754 წწ. ელჩობის მიმდინარეობა | 21 |
| 5. აღმოსავლეთ საქართველოს საელჩო მისიები რუსეთში 1772—1774 წწ. ელჩობის წინა პერიოდში | 40 |
| თავი II. ანტონ ბაგრატიონისა და ლეონ ბატონიშვილის ელჩობა რუსეთში 1772—1774 წწ. | 44 |
| 1. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება 1772—1774 წწ. ელჩობის წინა პერიოდში | 44 |
| 2. ანტონ ბაგრატიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა | 47 |
| 3. ლეონ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა | 62 |
| 4. 1772—1774 წწ. ელჩობის მიმდინარეობა | 71 |
| დასკვნა | 98 |
| რეზიუმე | 101 |
| გამოყენებული ლიტერატურა | 103 |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4394

გამომცემლობის რედაქტორი ც. თ ო დ უ ა
მხატვარი გ. ლ ო მ ი ძ ე
ტექრედაქტორი ნ. შ ო ვ ნ ა ძ ე
კორექტორი ნ. მ ა ჩ ა ი ძ ე

გადაეცა წარმოებას 13.7.90; ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.1.91;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 2; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 7;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.98;
ტირაჟი 1300; შეკვეთა № 1878;

ფასი 1 მან. 20 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარინა ნიკოლოზის ასული ბულეიშვილი

# ქართველი ეკლესიის მსახურები რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთოგაში

(XVIII ს. მეორე ნახევარი)

(ქართულ ენაზე)

თბილისი
„მეცნიერება"
1991

ეროვნული
ბიბლიოთეკა
ეკ21/5